საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 აპრილი, 2015 წელი.

№60 (7705)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

ამქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს და, რასაკვირველია, ხელისუფლების მოთმინებასაც!

დრო აღარ ითმენს. ნამდვილად დადგა ჟამი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში ყოველგვარი ხელისშემშლელი ბოროტი ძალის წინააღმდეგ დაუნდობელი სამართლიანი ბრძოლისა და დიდი პირუთვნელი სიმართლის თქმისა. ჩვენი ხალხი, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მტკიცე უარი უთხრა ნაციონალების ცხრაწლიან სისხლიან რეჟიმს და ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოიყვანა „ქართული ოცნება“, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს, თავისი სამომავლო ბედის განმსაზღვრელ არჩევანში შეცდა თუ სწორი ისტორიული ნაბიჯი გადადგა...

ორწელიწადნახევარი არც ისეთი დიდი დროა, რომ ყველა წინასაარჩევნო დაპირებას სრულად შესხმოდა ხორცი და დღეს სოციალურად უკვე სამოთხეში აღმოვჩენილიყავით, მაგრამ არც ისეთი მცირე დროა, რომ ახალი ხელისუფლება უკვე მოსწრებული არაერთი კეთილი საქმის გამო პირნათელი არ იყოს თავისი ამომრჩევლის წინაშე. მოსწრებით კი დროის ამ გარკვეულ მონაკვეთში, მართალია, მცირე, მაგრამ არაერთ სოციალურ სიკეთესთან ერთად ხელისუფლებამ უწინარესად ის მოასწრო, რომ ქვეყანამ ცხრაწლიანი პოლიტიკური ჰაერის უკმარისობის შემდეგ აშკარად სული მოითქვა, თავისუფლად ამოისუნთქა. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული უტყუარი დემოკრატიისა და თავისუფლების მაღალი ხარისხი არა გვგონია, რომ ჩვენი საზოგადოების უდიდეს კეთილგანწყობილ ნაწილში რამე ეჭვს იწვევდეს.

მაგრამ აქვე ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ უტყუარი დემოკრატიისა და ადამიანის პიროვნული თავისუფლების მაღალ ხარისხს მხოლოდ იმ შემთხვევაში ედება მაღალი ფასი, როცა თითოეული მოქალაქე თუ არა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მაინც სახელმწიფოში ამ დემოკრატიისა და თავისუფლების თანაბრად გრძნობს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მდგომარეობის მაღალ ხარისხსაც, რასაც, დიდად სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ დავიკვეხნით და რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, რა მიზეზებიც სულაც არაფერ დასამშვიდებელს არ ეუბნება სიღარიბის მარწუხებწაჭერილ ადამიანებს, რომლებიც ჩვენდა სამარცხვინოდ, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ წელებზე ფეხს იდგამენ ლუკმა პურის საშოვნელად.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ იმ ნიშანსვეტურ 2012 წელს საქართველო მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების სიაში მხოლოდ 114-ე ადგილის „მფლობელი“ იყო. და ისევ ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ამ „თავის მოსაჭრელ“ თუ „თავის მოსაჯაყ“ ადგილს დღესაც ისევ ვინარჩუნებთ, რაც, რა თქმა უნდა, ხელშესახებ საბაბს აძლევს ავი თავდასხმებისთვის არა კერძოდ „ქართულ ოცნებაზე“, არამედ, უწინარესად, იმ ყოველმხრივ გააზრებულ სოციალურ პოლიტიკაზე, რასაც ხელისუფლება დღენიადაგ ეწევა, ჯერ კიდევ წინა „ნაციონალური წლებიდან“ მომდინარე ამ სიღარიბის ჭაობიდან ქვეყნის ერთხელ და სამუდამოდ ამოსაყვანად.

მაგრამ ეს ერთგვარად თითქოს „ბერწი“ სოციალური პოლიტიკა ჩვენი ავისმნდომი ეგრეთ წოდებული „ნათლია ოპონენტებისთვის“ ავი განზრახვით იმის საფუძველი აღმოჩნდა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება „უუნარო“ და „უნიათო“ ხელისუფლებად მოენათლათ და ორივე ბინძური პოლიტიკური ბრძოლის იარლიყი თავიანთი მტრული დემაგოგიურ-პროვოკაციული ტაქტიკისა და სტრატეგიის ნაწილი გაეხადათ.

საქართველოს მთავრობის საგანგებო განცხადება

ჩვენი მთავარი „უუნარობა“ და „უნიათობა“ კი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, ესეც პირდაპირ და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ეს გასული ორწელიწადნახევარი ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან თავსმოხვეული ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაციის წყალობით, — იმის მაგივრად, რომ ყველა დამნაშავისთვის დროულად მოგვეთხოვა პასუხი, — ნამდვილად არასწორი გზა ავირჩიეთ და ისევ და ისევ ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით ავად თუ კარგად ვეთანამშრომლეთ ცხრაწლიანი ცოდვებით სულდამძიმებულ, დამნაშავე, ნეოფაშისტურ ნაციონალურ პარტიას, რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ აშკარად ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაზოგადოებრივ სექტად ჩამოყალიბდა და თავისი ყოველდღიური ანტიკონსტიტუციური, მტრული მეთოდური საინფორმაციო პოლიტიკით (რა თქმა უნდა, ფრიად საეჭვო არასამთავრობო კუდებთან ერთად და თავისი მავნე იდეოლოგიური რუპორის „რუსთავი-2“-ის უშუალო ხელშეწყობით) უტიფრად ცდილობს ახალი ხელისუფლებისგან ბევრის მომლოდინე ხალხში უიმედობისა და ქაოსის დანერგვას, ანუ ქვეყნის არევას და ამღვრევას, რათა მერე ადვილად „ითევზაოს“ თავისი ბნელი მიზნების მისაღწევად.

კვლავ პირდაპირ და გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი, როგორც ახალი ხელისუფლების, ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ეს სხვათაგან ბოროტგამიზნულად თავსმოხვეული კოჰაბიტაცია აღმოჩნდა. ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საჭირო პრინციპულობა. თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად ერთი და ორი წელი იქნებ საკმარისი არც არის, ეს ორწელიწადნახევარი ნამდვილად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ქვეყანაში სრულფასოვანი სამართლიანობა აღდგენილიყო, ამას ინვესტიციების შემოდინება არ სჭირდებოდა, არც საბიუჯეტო ხარჯები, ამას მხოლოდ ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება მოაგვარებდა, თანაც დროულად და სათანადოდ. მით უმეტეს, რომ ეს იყო ახალი ხელისუფლების მიმართ ამჟამად ძებნილი სააკაშვილის ცხრაწლიანი ბოროტმოქმედებისგან გატანჯული ხალხის უპირველესი დავალება, რის ესოდენ გაჯანჯლების გამოც ისღა დაგვრჩენია, რომ ბოდიში მოვუხადოთ ჩვენს ხალხს, ამასთანავე, მადლობა ვუთხრათ მოთმინებისთვის და საბოლოოდ აღუთქვათ: 2015 წელი მთლიანად იქნება საქართველოში სამართლიანობის საფუძვლიანად აღდგენის წელიწადი. ვერც ერთ დამნაშავეს ვერც გარე-გარე სიარული უშველის და ვერც კიდევ რამე დამცავი იმუნიტეტი. ყველა ბრალეული კანონიერად დაისჯება, ყველა უდანაშაულოდ დასჯილი და დაზარალებული კანონიერად გამართლდება.

ჩვენ ამიერიდან არავის არ მივცემთ იმის უფლებას, რომ გარედან ჩაერიოს ჩვენს შიდა სახელმწიფოებრივ საქმეებში. ჩვენ ამიერიდან არც შიგნით მივცემთ ვინმეს იმის უფლებას, რომ ათასგვარი დემაგოგიით, პროვოკაციითა და შანტაჟით ძირი გამოუთხაროს სახელმწიფოს, ბოროტი სიცრუითა და ძალადობით ეცადოს არსებული ხელისუფლების დამხობას, არავის არ მივცემთ არც აშკარა ან ფარული ცილისმწამებლური საინფორმაციო ომის უფლებას. ყოველგვარი ბოროტი ჭორი და ცილისწამება კანონის ძალით აილაგმება.

უტყუარი დემოკრატიის დამკვიდრებასთან ერთად, ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მიგვაჩნია როგორც სიტყვის გამოხატვის თავისუფლება, ისე თავისუფალი სასამართლოს შექმნა.

ამასთანავე, იმის აღნიშვნაც აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება უწინარესად ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობას ნიშნავს.

პასუხისმგებლიან სახელმწიფოში მოქალაქეც პასუხისმგებლიანი უნდა ცხოვრობდეს.

ხალხის კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა სახელმწიფო მართლა ზრუნავს მოქალაქეზე, ხოლო მოქალაქე მართლა იღვწის სახელმწიფოსთვის, რომელიც ერთდროულად თავის სამშობლოდ მიაჩნია.

როცა სახელმწიფო სამშობლოდ არ აღიქმება, იქ ხალხსა და ხელისუფლებას შორის გაუგებრობა გარდაუვალია.

ამიტომაც არის ჩვენი, როგორც ხალხის წინაშე პასუხისმგებლიანი ხელისუფლების, უპირველესი ამოცანა ისეთი ქართული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ნამდვილად თვალისჩინივით გასაფრთხილებელი სამშობლო იქნება.

„სამშობლო კი, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“ პარტიები მოდიან და მიდიან, დღეს კი არიან, მაგრამ ხვალ აღარ იქნებიან, ხოლო სამშობლო ხალხთან ერთად მარადიულად დარჩება და მუდამ იქნება თითოეული, გულანთებული მამულიშვილის უპირველესი საზრუნავი!

დასასრულ, ერისა და ბერის გასაგონად ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადოთ, რომ „ქართული ოცნება“ ამიერიდან, მართალია, იქნებ ზოგჯერ მტკივნეულს, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ კანონიერების ფარგლებში უაღრესად პრინციპულ ნაბიჯებს გადადგამს და ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

იმედია, ჩვენი ხალხი, ჩვენი მოსახლეობა გაგებით შეხვდება ხელისუფლების ამ საგანგებო განცხადების ერთგვარ სიმკაცრესა და სიმწვავეს, რაც ქვეყანაში დაგროვილი მოუთმენელი გადასაჭრელი პრობლემების სიმწვავით არის ნაკარნახევი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ვითარება

ნატოს დახმარება და საქართველოს დამატებითი შანსის ბედი

კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი 30 მარტს საქართველოდან დასმულ შეკითხვებს ონლაინ რეჟიმში პასუხობდა. საქართველოს ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებული ღონისძიების ფარგლებში კიდევ ერთხელ გამეორდა ნატოს სურვილი, დაუახლოვდეს საქართველოს და დაეხმაროს ქვეყანას თავდაცვითი პოტენციალის გაზრდაში. პარალელურად, შესაძლებელია თანამშრომლობა ნატოს ცალკეულ ქვეყნებთან, თავდაცვითი საშუალებების მოპოვების თვალსაზრისით, და ეს არის საკითხი, რომლის გამოც ერთმანეთს საქართველოს ხელისუფლება და „თავისუფალი დემოკრატები“ დაუპირისპირდნენ.

ჯეიმს აპატურაისთვის დასმული შეკითხვების უმრავლესობა იყო იმის გაგების მცდელობა, თუ როდის უნდა მოელოდეს საქართველო მეტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან და რა შეიძლება იყოს ეს მეტი?

მაგრამ ნატოს სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ ნამდვილად არ იცის, თუ რა შეიძლება მიიღოს საქართველომ, მაგალითად, ვარშავის სამიტზე 2016 წლის ზაფხულში, ანდა როდის და როგორ გადაწყვეტენ ნატოს წევრი ქვეყნები ალიანსის გაფართოებას. თუმცა ერთი რამ ცხადია: **ნატო კვლავაც ერთგულია 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებისა, რომ (მას შემდეგ, რაც სტანდარტებს დააკმაყოფილებს) საქართველო ერთ დღეს აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.** გარდა ამისა, ჯეიმს აპატურაი ამბობს, რომ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს „არსებითი პაკეტით“ გათვალისწინებული გეგმის შესრულების პროცესი, საქართველოს მთავრობა გულმოდგინედ მოქმედებს და რომ ერთობლივი წვრთნა 2015 წლის ზაფხულში გაიმართება. წერილობით გაგზავნილ შეკითხვებს ჯეიმს აპატურაია 30 მარტს ასევე წერილობით პასუხობდა. ის საქართველოს მიერ თავდაცვითი საშუალებების მოძიების შესაძლებლობაზეც აკეთებს აქცენტს:

„საქართველოში ჩვენ ვქმნით ერთობლივ საწვრთნელ ცენტრსა და თავდაცვითი პოტენციალის განვითარების სკოლას, რა მიზნითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მივავლენთ ექსპერტებს. პარტნიორების ჩართულობით ნატოს წვრთნა საქართველოში ამ წელს ჩატარდება. არსებითად, ეს იქნება მეტი ნატო საქართველოში — როგორც ხედვის ჩამოყალიბების, ასევე კონკრეტული დახმარების კუთხით. თუკი ცალკეული ქვეყნები გადაწყვეტენ საქართველოს დახმარებას ორმხრივ ფორმატში, აღჭურვილობის მიწოდებისა თუ წვრთნის თვალსაზრისით, ეს მხოლოდ შეავსებს ნატოს ძალისხმევას“.

წევრი ქვეყნების საქართველოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ნატო უკვე კარგა ხანია, ლაპარაკობს, კერძოდ, მას შემდეგ, რაც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართველოსთვის თავდაცვითი საშუალებების მიწოდების მოთხოვნით მიმართა. ის პერიოდულად ატყობინებდა მედიას, რომ პროცესი ამ მხრივ წარმატებით მიიწევდა წინ. ამ კუთხით, საგანგებო ყურადღების ცენტრში მოექცა საფრანგეთი. პოსტიდან გათავისუფლებამდე მხოლოდ მიანიშნა, ხოლო გათავისუფლების შემდეგ ირაკლი ალასანიამ არაერთხელ განაცხადა, რომ საფრანგეთში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს მას თავდაცვის ამჟამინდელმა მინისტრმა მინდია ჯანელიძემ დაურეკა და მემორანდუმისთვის ხელმოწერაზე უარის თქმა მოსთხოვა, მაგრამ ის ამ მოთხოვნას არ დაემორჩილა. თავად მინდია ჯანელიძე, როგორც მან 30 მარტს განაცხადა, უსაფუძვლოდ მიიჩნევს ოპონენტების ეჭვებსა და შიშს საქართველოს მიერ თავდაცვითი შესაძლებლობების დაკარგვის თაობაზე:

„ჩვენ ნაბიჯებს ვდგამთ მხოლოდ წინ, მათ შორის - საჰაერო შესაძლებლობების განვითარების კუთხით, მათ შორის — ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების კუთხით... ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი გამოწვევა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში და ყოველი ზედმეტი სიტყვა - მით უმეტეს, საიდუმლო თემებზე ღიად და საჯაროდ საუბარი - მხოლოდ ზიანის მომტანია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ამიტომ ყველას მოვუწოდებთ, რომ თავი შეიკავონ და ცოტა მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საკითხებზე საუბარს. ყველაფერი არის ძალიან კარგად“, — ამბობს მინდია ჯანელიძე.

მართალია, მინდია ჯანელიძის გვარი მართლაც ფიგურირებდა ირაკლი ალასანიას კომენტარებში, მაგრამ მას ის მხოლოდ შემსრულებლად მიიჩნევს და საფრანგეთთან წარმატებული მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობაში მთელ პასუხისმგებლობას პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს აკისრებს.

„თავდაცვითი შეიარაღების გადმოცემაზე ხელის შეშლა არის სახელმწიფო მავნებლობა. რა თქმა უნდა, ეს საკითხი არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის... რა თქმა უნდა, მე არ მისაუბრია და არც ვისაუბრებ ამ თემის ტექნიკურ დეტალებზე... მაგრამ გადაწყვეტილებების მიღების ხელშეშლა რომ იყო, ეს არის ფაქტი და ამაზე, ბუნებრივია, მას მომავალში პასუხი მოეთხოვება“, — განაცხადა 26 მარტს ირაკლი ალასანიამ პრემიერ-მინისტრის კრიტიკის საპასუხოდ.

ამ ეტაპზე ზუსტი დასკვნების გამოტანა ძნელია, რადგანაც, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხარეები დეტალებს არ აკონკრეტებენ. თუმცა, როგორც ირაკლი ალასანია აცხადებს, მის მიერ საფრანგეთში ხელმოწერილ მემორანდუმს მოქმედების ვადა მარტის ბოლოს ამოეწურება და თუკი საქართველოს მთავრობა ამას დაუშვებს, მაშინ ის იძულებული იქნება, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

◎ გულისტკივილიანი რეპლიკა

დავით კიკალიშვილის P.S., ანუ „რუსთავი-2“-ის გამიზნული უმადურობა და დაუნახაობა

გასულ შაბათს, 28 მარტს, შუმი ნაციონალი პროპაგანდისტის (ასევე არანაკლები მიმისტის) დავით კიკალიშვილის „რუსთავი-2“-ის PS-მა გვამცნო, რომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრი საზეიმო გახსნისთვის ემზადება, რაც 2015 წლის ოქტომბერშია დაგეგმილი.

მსახიობებისთვის კომფორტული პირობებით იგი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მსოფლიოში, ხოლო გარე ფასადის რესტავრაციამ განსაკუთრებით გამოკვეთა საოპერო თეატრის, როგორც დედაქალაქის დამამშვენებელი არქიტექტურული ნაგებობის ღირსება.

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, თამამად შეიძლება თქმა, რომ ფაქტობრივად ახალი თეატრი იქმნება.

თეატრის სიმფონიურ ორკესტრს უკვე აქვს ინსტრუმენტებისა და პულტების სრული კომპლექტი. სულ ცოტა ხანში შემოვა 30 როიალი და პიანინო, მათ შორის მარტო „სტეინვეის“ ორი საკონცერტო როიალის ღირებულება 240 ათას ევროს შეადგენს.

გერმანულ ფირმა „გერენტში“ 11 აპრილს დამთავრდება თეატრის მთავარი ფარდის კერვა, იქვე მზადდება ეკრანები, რეეკრანები და სცენის ჩაცმულობის სხვადასხვა აქსესუარები. შეძენილია „პანასონიკის“ ფირმის ორი მძლავრი პროექტორი, რომელიც საგრძნობლად შეამცირებს საოპერო და საბალეტო სპექტაკლების საადგმო ღირებულებას.

ავსტრიულმა ფირმა „ვაგნერმა“ და სერბეთის ფირმა „სვეტლიოსტმა“ უკვე დაამონტაჟეს მხატვრული განათების თანამედროვე პროჟექტორები, ხოლო გერმანულმა ფირმა „ზალცბრენერმა“ — გახმოვანების უახლესი აპარატურა. მთლიანად შეიცვალა ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა.

ერთი სიტყვით, თბილისს ექნება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვედ აღჭურვილი ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომელიც ტოლს არ დაუდებს არც სახელგანთქმულ ლა სკალასა და არც მეტროპოლიტენ ოპერას.

უსმენ, ყურებს არ უჯერებ, უზომოდ გიხარია, მაგრამ თან გაოცებული ხარ, ნუთუ ჩვენმა უფულო სახელმწიფომ შეძლო ასეთი მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი თეატრის ხელახალი დაბადება, რაც, როგორც ამბობენ, რამდენიმე ათეული მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა. მართალია, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ისიც ყრუდ და ისიც სასხვათაშორისოდ, გაისმა სიტყვა „ქართუ“, მაგრამ კიკალიშვილმა, როგორც ჩანს, თავისი ნაპროკურორალი დირექტორის მითითებით საჭიროდ არ ჩათვალა იმ ქველმოქმედის გვარისა და სახელის ხსენება, რომელმა ქველმოქმედმაც როგორც სამების და კიდევ ძალიან ბევრი საშვილიშვილო საქმისთვის უშუალოდ თავისი ჯიბიდან დადო ის რამდენიმე ათეული მილიონი, ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის აგრერიგად განახლებას რომ დასჭირდა (აბა მიშიკოს ჯიბეზე ხელი გაეკრა, სააკანთ ბიჭს საქველმოქმედოდ, რა ამბავს ატეხდა ყოველგვარ შანტაჟსა და დემაგოგიაზე ავად მომართული „რუსთავი-2“!).

* * *

თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი, კერძოდ, გუნდი, სოლისტები, კონცერმეისტერები, ბალეტის მსახიობები სიტყვებს ვერ პოულობენ ბატონ ბიძინა ივანიშვილისთვის მადლიერების გამოსახატავად, — მეუბნება თეატრის ტექნიკური დირექტორი ზურაბ ლომიძე, რომელსაც კიკალიშვილის PS-ის შემდეგ შევხვდი.

მაგრამ ამავე დროს გამოიკვეთა უმწვავესი პრობლემა, განაგრძობს იგი ჩემთან საუბარს, — რომელიც არ ითმენს გადადებას და იგი უკვე სახელმწიფომ და პირველ რიგში, ქ. თბილისის მერიამ უნდა გადაწყვიტოს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, ხანძრის შემდეგ აღდგენილი თეატრის შემდგომი განვითარების პროგრამა იმთავითვე ითვალისწინებდა თეატრის ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსის მთლიანი ინფრასტრუქტურის მოგვარებას. ამ მიზნით თეატრს გადაეცა ირგვლივ მიმდებარე განაშენიანებული ტერიტორია, დამუშავდა შესაბამისი პროექტიც. ამ სახლების მცხოვრებელთათვის გამოიყო ბინებიც, რომელთა უმრავლესობა იყო გლდანის, თემქისა და ვარკეთილის მასივებში, სადაც, ცხადია, ცენტრიდან არავინ გადიოდა.

1998 და 2001 წლებში რესპუბლიკის მთავრობამ ორჯერ დაადასტურა ზემოაღნიშნული ტერიტორიების თეატრისათვის გადაცემის აუცილებლობა იქ მცხოვრები მოსახლეობის გაყვანის შემდეგ. სამწუხაროდ, იმ დროს ფინანსური კრიზისის გამო ამ გეგმის განხორციელება კვლავ ვერ მოხერხდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობა მზად არის, დღესვე დატოვოს შენობები სათანადო კომპენსირების შემთხვევაში.

დღეს უაღრესად სახიფათოა საწარმოო კორპუსის მშენებლობის დაწყება, რადგან თატრის ეზოს მომიჯნავე თაბუკაშვილის ქუჩის №42 სახლის კედლები ორივე მხრიდან გახსნილია და როგორც მისი ყველა მიმდებარე სახლი, წარმოადგენს მწვავე ავარიულ და ამორტიზებულ შენობას, არ არის გამორიცხული საწარმოო კორპუსის საძირკვლის გათხრისას იგი ჩამოინგრეს და გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი. ამიტომ მშენებლები თავს იკავებენ კორპუსის მშენებლობის დაწყებისგან.

ფონდი „ქართუ“ და პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილი მზად არიან ამ კორპუსის ასაშენებლადაც. პროექტით, რომელიც დაუკვეთეს დანიელ არქიტექტორ ლარსენს, გათვალისწინებულია მყარი დეკორაციების სამონტაჟო დარბაზები, სამღებრო და სამრეცხაო საამქროები, 600 საკიდზე გაანგარიშებული ქალთა და მამაკაცთა თეატრალური ტანსაცმლის გარდერობი, დეკორაციის შესანახი საცავები, თეატრის ადმინისტრაცია, ტექნიკური სამსახურის საამქროები, სპექტაკლებზე მოსულ მაყურებელთა ავტომანქანების სადგომი და სხვა.

თეატრი ამჟამად ქალაქის მერიის გადაწყვეტილების მოლოდინშია. ეს მოლოდინი კი უკვე თითქმის 10 წელიწადი გრძელდება. იმედია, ახალი მერი სასწრაფოდ გადაწყვეტს ამ პრობლემას.

ჟორნალისტ დავით კიკალიშვილს კი მეგობრულად ვურჩევთ, უმადურობასა და დაუნახაობას ბინძური იდეოლოგიური ბრძოლის შემადგენელ ნაწილად ნუ გახდის, რაც უწინარესად თავადვე დააზიანებს.

საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ ნამდვილად უნდა დამთავრდეს „ხელის მოჭრა“ რატომ კარგი აგიგიას გულისთვის. ამ წმინდა საქმეში ბინძური პოლიტიკის გარევა დიდად სამარცხვინო რამ არის...

გურამ წიკლაური

◎ ინფორმაცია

ბესო ხარძიანის საქმეზე ირაკლი კორძაია დაიკითხა

ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმეზე მთავარ პროკურატურაში ჟურნალისტი ირაკლი კორძაია დაიკითხა. როგორც კორძაიამ პროკურატურის დატოვების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი დაკითხვა მოხდა იმ ინფორმაციების ირგვლივ, რომელიც ბიზნესმენის მკვლელობის შემდეგ გაახმოვანა.

როგორც კორძაიამ აღნიშნა, დეტალებზე, რაზეც გამოძიებასთან ისაუბრა, კომენტარს ვერ გააკეთებს გამოძიების ინტერესებდან გამომდინარე. კორძაიას ინფორმაციით, მის გარდა, იგეგმება მოკლული ბიზნესმენის სხვა მეგობრების დაკითხვაც.

დაგეგმილ მკვლელობებზე ირმა ინაშვილმა პროკურატურაში ისაუბრა

პროკურატურაში „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე ირმა ინაშვილი დაკითხეს.

ინაშვილი პროკურატურაში იმ განცხადების გამო მივიდა, როდესაც მან ოთხი ადამიანის დაგეგმილ მკვლელობაზე ისაუბრა.

„მაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობის შიგნიდან გეგმავენ 4 ადამიანის მკვლელობას. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც იბრძვიან სამართლიანობის აღდგენისთვის, თუმცა კონკრეტულად ვისზეა საუბარი, ჩემთვის უცნობია“, — განაცხადა ინაშვილმა.

ინაშვილი გახმაურებულ უკვე მომხდარ მკვლელობებსა და დაგეგმილ მკვლელობებში ბრალს მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და სხვა ქვეყნიდან წასულ მაღალჩინოსნებს სდებს.

◎ სოციოლოგიური კვლევა

„წარმოჩნდა ხელისუფლების ნაკლოვანებები“...

ნაციონალების „წითელი ბარათის“ შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილის „მთავრობამ ყვითელი“ ბარათი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის IRI-ისგან მიიღო. ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის კითხვაზე — დღეს რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდი ხმას, პარტიათა ჩამონათვალი ასე გადანაწილდა — „ქართული ოცნება“ 36%; „ნაციონალური მოძრაობა“ 14%; „თავისუფალი დემოკრატები“ 10%; „ლეიბორისტული პარტია“ 6%; „დემოკრატიული მოძრაობა“ და „პატრიოტთა ალიანსი“ 5-5 პროცენტს ინარჩუნებენ.

გარდა ამისა, გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნდობით 62 პროცენტით საქართველოს პრეზიდენტი და ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სარგებლობენ. რეიტინგებში მესამე ადგილს 57 პროცენტით იკავებს ირაკლი ალასანია, მეოთხე ადგილს 56 პროცენტით იკავებენ პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე. კვლევის დეტალურ ანგარიშს ორგანიზაცია პარასკევს გაასაჯაროვებს.

რატომ დაეცა მთავრობის მეთაურის რეიტინგი, რის ხარჯზე იზრდება გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი და არის თუ არა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა პოლიტიკურად მოტივირებული? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge დამოუკიდებელ ექსპერტს ზაალ ანჯაფარიძეს ესაუბრა.

— კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დაეცა სახელმწიფო უწყებების რეიტინგიც და მათ შორის შეიარაღებული ძალებისა. ბატონო ზაალ, რა მიზეზით შეიძლება აიხსნას ქართული ჯარის რეიტინგის 91 პროცენტიდან 87-მდე ჩამოსვლა?

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან სერიოზული ვარდნაა. მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის ბოლო პროცესები, რაც განვითარდა შეიარაღებულ ძალებში; თავდაცვის მინისტრის შეცვლა, თავდაცვის მაღალჩინოსნების დაკავება; ბოლო თვეების განმავლობაში შეიარაღებული ძალების ირგვლივ უარყოფითი აურა შეიქმნა. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ამ ყველაფერს გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა საზოგადოებრივ განწყობაზე.

— რაც შეეხება ინსტიტუტების მიმართ ნდობის კლებას, ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ სერიოზულ ნეგატიურ ტენდენციაზე? თითქმის ორნიშნა ციფრით არის დავარდნილი მთავრობისა და პარლამენტის მიმართ ნდობა...

— პრინციპში ესეც ახსნადია, გამომდინარე იქიდან, რომ, ერთი მხრივ, რა აქტიური საინფორმაციო პროპაგანდისტული კამპანია წარმოებდა ოპოზიციის მიერ ორივე ინსტიტუტის მიმართ და მეორეც, თავად ამ ინსტიტუტებმა არაერთი წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება მიიღეს, დაწყებული საყდრისის თემით და დამთავრებული წინააღმდეგობრივი კანონებით. რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ეს კვლევა ჩატარდა თებერვალში. ეს არის ის პერიოდი, როდესაც პიკს მიაღწია ლარის გაუფასურებამ და აქედან გამოწვეული ნეგატიური შედეგები აისახა მოსახლეობის განწყობაზე.

რა ფონზეც ჩატარდა ეს კვლევა, ეს ფონი გავლენას იქონიებდა საზოგადოების განწყობაზე. თუმცა, მაგალითად, ის მონაცემი, რომლის მიხედვით 55 პროცენტი ამბობს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, ცოტა არ იყოს, კითხვის ნიშანი მიჩნდება, რას მიიჩნევს რესპონდენტთა ეს ჯგუფი ქვეყნის არასწორად განვითარებად? კითხვა თავისებურად არის დასმული. ანუ ჯერ უნდა გავიგოთ, ეს ადამიანები რას მიიჩნევენ ქვეყნის სწორად განვითარებას და მერე ვკითხოთ, სწორად ვითარდება თუ არა ქვეყანა. ყოველ შემთხვევაში კითხვის ასე დასმა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— როგორ ფიქრობთ, კვლევის ავტორების მიზანიც ეს იყო, რომ კითხვის ადეკვატური პასუხი დასმულიყო? სწორედ ამიტომ, კვლევის პოლიტიკურ მხარეზე საუბრობს მმართველი კოალიცია...

— მმართველი კოალიციაც პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე აფასებს. იმ ძალიან რთული პერიოდიდან და ჩავარდნებიდან გამომდინარე, რაც ბოლო პერიოდში ჰქონდა მმართველ გუნდს, საჩივლელი მაინცდამაინც არაფერი არ აქვთ. თუ დააკვირდებით, ყველა პოლიტიკური ძალის რეიტინგმა დაიწია. თუმცა, ის პარტიები, რომლებსაც სტაბილური ამომრჩეველი ჰყავდათ, იმავე დონეზე ინარჩუნებენ მხარდაჭერას, იგივე ლეიბორისტული პარტია, პატრიოტთა ალიანსი, ნინო ბურჯანაძის პარტია. ცოტა არ იყოს, არაბუნებრივად მეჩვენება ის 10 პროცენტი, რომელიც „თავისუფალ დემოკრატებს“ მიანიჭეს.

შესაძლოა, ეს იმის გამოც არის, რომ გამოკითხვის პერიოდში პარტია აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ატარებდა რეგიონების მასშტაბით და ირაკლი ალასანია აქტიურად ჩანდა მედიაში. შეიძლება, ამ ფაქტორმაც შეასრულა თავისი როლი, მაგრამ 10 პროცენტი მაინც გადაჭარბებული მეჩვენება. სხვა მხრივ, ამ კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებაში შექმნილია ნეგატიური განწყობის მუხტი, რაც ხელისუფლებას კარგს არაფერს უქადის.

— კვლევიდან ჩანს, რომ დაეცა სახელმწიფო უწყებების რეიტინგი - პოლიცია, სასამართლო და ჯარი. ეს ის უწყებებია, რომლის პოლიტიზებაზე და უმოქმედობაზე საუბრობს ნაციონალური მოძრაობა. შესაბამისად ჩნდება კითხვა, კვლევის მიზანი იყო ნაციონალური მოძრაობის ბრალდების სოციოლოგიით გამაგრება?

— არ შემიძლია, ასე ცალსახად ვუპასუხო, რომ ეს მაინცდამაინც იმისკენ არის მიმართული, რომ ხელისუფლებას ძირი გამოუთხაროს, მისდამი საზოგადოების ნდობა შეარყიოს. მესმის, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ასეთი განცდა დარჩა გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხელისუფლება მაინცდამაინც დასავლეთის სიმპათიებით არ სარგებლობს. წარმოჩენილია ხელისუფლების ნაკლოვანებები, ამას ვხედავთ და ამას არ სჭირდება სოციოლოგიური კვლევა. ბევრმა მოქალაქემ საკუთარ თავზე საკმაოდ მძიმედ იგრძნო ხელისუფლების შეცდომები.

ეს არის ის ფასი, რასაც ხელისუფლება მის მიერ დაშვებული შეცდომებით იხდის, მათ შორის, არასწორი საკადრო პოლიტიკით, რამაც თავის მხრივ წარმოშვა პრობლემები. კვლევის შედეგებში შეიძლება, იყოს ხარვეზები, გარკვეული ინტერესები იკვეთებოდეს, მაგრამ მთლიანობაში კვლევა ასახავს იმ განწყობას, რაც არის საზოგადოებაში და ეს ხელისუფლებისთვის ერთგვარი გაფრთხილება უნდა იყოს. შეიძლება, ითქვას, რომ ეს არის ყვითელი ბარათი.

— რაც შეეხება პოლიტიკოსებს, 62 პროცენტით ლიდერობენ გიორგი მარგველაშვილი და დავით სერგეენკო, 56 პროცენტი აქვს პრემიერ-მინისტრს. მოგეხსენებათ, რომ სერგეენკო განიხილება მომავალ პრემიერად, შესაბამისად მიზანიც შეიძლება იყოს ღარიბაშვილ-სერგეენკოს დაპირისპირება?

— ეს ვერსია ნამდვილად არ არის გამორიცხული. სულ რაღაცა 5 პროცენტია განსხვავება, მაგრამ, თუ პრემიერი შემდეგი კვლევისთვის კარდინალურ ნაბიჯებს გადადგამს, შეიძლება, პირიქით მოხდეს. ასე რომ, ამ რეიტინგებში კატასტროფულ სხვაობას ვერ ვხედავ. კარგია, რომ ხელისუფლების პირველი პირების მიმართ საზოგადოებას ნდობა აქვს.

მაგრამ, ყურადღება მიაქციეთ ერთ მომენტს, რეიტინგული ფიგურების სიაში ფიგურირებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხოლოდ ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე, სხვა მათი პარტიის არც ერთი წარმომადგენელი მაღალრეიტინგულ პოლიტიკურ ლიდერებს შორის არ არის მოხვედრილი. ის, რომ მარგველაშვილს და სერგეენკოს აქვთ მაღალი რეიტინგი, ეს პირადად ჩემთვის სიურპრიზს არ წარმოადგენს.

მარგველაშვილმა შეძლო, რომ მის ირგვლივ შეექმნა პოზიტიური აურა. საზოგადოების თვალში წარმოჩნდა, როგორც გაწონასწორებული ლიდერი, რომელიც იჩაგრება საპარლამენტო უმრავლესობისა და „ქართული ოცნების“ მხრიდან. შესაბამისად, მარგველაშვილის ქმედებებში საზოგადოებამ ვერ დაინახა ის ნეგატიური მომენტები, რომ მისთვის პროტესტი გამოეცხადებინათ.

— 62 პროცენტი ნდობას უცხადებს გიორგი მარგველაშვილს, რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ არის. ბატონო ზაალ, საზოგადოების რომელი ფრთა უჭერს მარგველაშვილს მხარს?

— ჩემი აზრით, ძირითადად ეს არის ლიბერალურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი. თუმცა, უნდა დაზუსტდეს, საიდან გამოიყვანეს 62 პროცენტი. ხშირად ხდება, რომ 62 პროცენტი არის არა მთლიანად რესპონდენტების რაოდენობა, არამედ იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც პასუხის მიცემაზე თანხმობა განაცხადეს. უნდა გავიგოთ, რა ციფრიდან არის გამოყვანილი 62 პროცენტი და ამის მიხედვით გავიგებთ, რამდენი არის მის მიმართ მხარდაჭერა.

თამთა ქარჩავა

◎ კანონმდებლობა

წარმოების ეფექტიანობისა და სურსათის უვნებლობისთვის

ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობაში

საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ და „გრანტის შესახებ“ გარკვეული ცვლილებები იგეგმება. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები და განხილვები სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით.

მოგეხსენებათ, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი შედარებით ახალია — პარლამენტმა ის 2013 წლის ივლისში მიიღო. წელიწადნახევრის განმავლობაში დარეგისტრირდა ასობით კოოპერატივი, პრაქტიკაში გარკვეული მიმართულებები გამოვლინდა, რომლებიც დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, კანონპროექტით შემოდის ახალი ცნებები, რომელთა თანახმადაც კოოპერატივის შემადგენლობაში ახალი ასოციირებული წევრის არსებობისა და დამატებითი საპაიო შენატანის შესაძლებლობა გაჩნდება: კოოპერატივის უკვე არსებულ წევრს ექნება შესაძლებლობა, რომ, სავალდებულოს გარდა, დამატებითი საპაიო შენატანიც განახორციელოს. ასოციირებული წევრი კოოპერატივის სრულუფლებიანი წევრი არ არის, ის სარგებლობს მხოლოდ ნომინალური უფლებამოსილებით, მაგრამ აქვს უპირატესი მოგების უფლება კოოპერატივიდან. ასოციირებული წევრობის უფლება ექნება ნებისმიერ პირს, იურიდიულსაც და ფიზიკურსაც, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რაც ასევე სიახლეა: არსებული კანონმდებლობის თანახმად, მეპაიე მხოლოდ საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ასოციირებულ წევრს უფლება აქვს, საერთო მოგებიდან დივიდენდის სახით მიიღოს არაუმეტეს 30 პროცენტისა. მეპაიეს, რომელმაც თავისი ვალდებულება ძირითადი პაის შეტანისა უკვე შეასრულა და აქვს შესაძლებლობა, ჩადოს ინვესტიცია თავისსავე კოოპერატივში, ამის საშუალება ეძლევა დამატებითი საპაიო შენატანის სახით. ასევე ისიც უფლებამოსილია, რომ 30 პროცენტის ფარგლებში დამატებითი შემოსავალი მიიღოს.



ცვლილებების პაკეტი პარლამენტს, სავარაუდოდ, ერთი თვის ვადაში წარედგინება. კანონში სხვა ცვლილებებიც არის მოსალოდნელი, ევროპულ კანონმდებლობასა და ევროპული კოოპერატივების პრინციპებთან მის დასაახლოებლად.

კოოპერატივის შესახებ კანონმდებლობის გარდა, იგეგმება სურსათის უვნებლობის მიმართულებით საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრებაც. 2015 წლის დასაწყისიდან დღემდე უკვე განხორციელდა 971 ინსპექტირება. აქედან, საწარმოო პროცესი შეუჩერდა 12 ბიზნესოპერატორს, ხოლო დაჯარიმდა — 63.

არაერთ შემთხვევაში გამოვლენილი კრიტიკულად შეუსაბამო დარღვევები საფრთხეს უქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ წარმოებული სურსათი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია, იგი ვალდებულია, აღკვეთოს სურსათის სარეალიზაციო ქსელში მოხვედრა, ან უზრუნველყოს სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი პირველ ჯერზე 1000 ლარით ჯარიმდება, ანალოგიური ქმედების განმეორების შემთხვევაშიც ჯარიმა კვლავ 1000 ლარია.

სამინისტროს მიაჩნია, რომ სურსათის უვნებლობის კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისათვის საჯარიმო სანქცია სამართალდარღვევის ადეკვატური უნდა იყოს. ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს საჯარიმო პოლიტიკის გამკაცრებას და ამ საკითხზე გამოხატავს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას.

ირინა გურული.

ბრძოლის ველზე ერთიც მეომარია

— არ მოკვდე სიკვდილამდე! — ამავე სახელწოდების რომანის პერსონაჟს ევედრებოდა ჩემი დიდი მეგობარი, საინტერესო ხელწერის მწერალი და ერისკაცი აკაკი გეწაძე.

დღეს მეც ამას შევთხოვ ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში ყველას, ვისაც უნდა, რომ მომავალში ისევ ჟურნალისტი ერქვას და ქვეყნის ღირსეული მემატიანის სახელი შეინარჩუნოს: დაკვირვებით აწონ-დაწონეთ თითოეული სიტყვა, რადგან იგი უაღრესად ფეთქებადსაშიშია და თუ სიკეთის ნაცვლად ქაოსს დათესავს და უბედურებას დაატრიალებს, ამგვარი სავალალო შედეგი მისი ავტორისათვის სამოქალაქო სიკვდილის ტოლფასი გახდება.

— **ტელევიზიებს** კი არა, საქმეს მიხედეთ, საქმეს, ბატონო პრემიერო, ხალხი შიმშილით იხოცება! — ვკითხულობ ფეისბუქში ერთ-ერთი შენიშვნის ავტორის, კერძოდ ქალბატონ ანა კალანდიას სიტყვებს. იქვე, ამავე გვერდზე ბატონი შალვა დალაქიშვილი სრულიად საწინააღმდეგოს მოითხოვს:

— არ დაიღალეთ ამ კუკუმალობანას თამაშით?.. ნუ გააჩუმებთ, მაგრამ სიცრუეს რატომ პატიობთ? იმის შნოც არა გაქვთ, ცრუპენტელა ჟურნალისტები მოაშოროთ ეთერს? მართლა არაფრის მაქნისები ხართ!

* * *

განაჩენი რამდენადმე გადაჭარბებული მეჩვენება, მაგრამ, საერთოდ, მის მიერ გამოთქმული აზრი გაცილებით მისაღებად მიმაჩნია და ამიტომ შევეცადე, იმათთვის, ვისთვისაც კომპიუტერით საუბარი საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი და ბევრჯერ ერთადერთი აქტიური ფორმაა, ჩემი შეხედულება იმავე გვერდზე უფრო გამოწვლილვით მიმეწოდებინა, შემდეგ კი გაზეთის ფურცლებზე კიდევ უფრო გავრცობილად დამეფიქსირებინა, რამეთუ ეს ყოველთვის აუცილებლად მიმაჩნია, რადგან ნაბეჭდს, ანუ კალმით ნაწერს ნაჯახითაც ვერ ამოშლი..

მე ძალიან კარგად ვიცნობდი და ყოველთვის უაღრესად დიდ პატივს მივაგებდი სულგანათლებულ ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას, რომელიც ჩემზე რამდენიმე წლით იყო უმცროსი და პირველად, როგორც ჟურნალისტი, მაშინ შევხვდი, როდესაც 1969 წელს რედაქციისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა დავალებით მისი მეგობრების — მეტალურგიული ფაკულტეტის 5 საეჭვო საბაბით გარიცხული დიპლომანტის ინსტიტუტში დასაბრუნებლად და მათი მოქალაქეობრივი ღირსების აღსადგენად რიგაში უნდა გავმგზავრებულიყავი. ამ ფრიად წარმატებული მივლინების შემდგომაც ხშირად ვხვდებოდი და კარგად ვიცნობდი მის ცხოვრებისეულ გზას. იგი არა მარტო თავად იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, არამედ ჟურნალისტებსაც გვთხოვდა, რომ კითხვა არ დაგვრჩენოდა უპასუხოდ. ამის დაწყებას კი საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ, რამეთუ შენს სათქმელს შენსავით ვერავინ იტყვის და თუ ცოდნა და გამოცდილება გყოფნის, ქვეყნისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო კითხვაზე პასუხგაუცემლობა მიუტევებელია. ეს მით უფრო ითქმის, თუ გწამდა და დღესაც გწამს, რომ ბრძოლის ველზე ერთიც მეომარია.

ამან გადამაწყვეტინა გაზეთში უფრო ვრცლად გამომექვეყნებინა ფეისბუქში ჩემი ჩანაწერი.

* * *

წერილს იმით ვიწყებ, რომ მივმართავ პირველი კომენტარის ავტორს:

— ცდებით, ქალბატონო ანა, როდესაც აკნინებთ ტელევიზიისა და, საერთოდ, მედიის როლს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში.

რა კეთილისმყოფელი გავლენაც შეუძლია მოახდინოს ტელევიზიამ, ამის მკაფიო მაგალითის დასასახელებლად შორს წასვლა არ მომიწევს, პირადად ჩემი და ჩემი გუნდის მიერ შექმნილი „კაკაბეთის ზარებიც“ კმარა. იგი ზუსტად 35 წლის წინათ, 1979 წლის 5 დეკემბერს გადაიცა, მაგრამ მნახველებს დღემდე დაუვიწყარ შთაბეჭდილებად შემორჩა, რამეთუ მას შემდეგ საქართველოში 12 წლის მანძილზე აღარ განმეორებულა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცება. ეს გრძელდებოდა დიდი კატაკლიზმების იმ პერიოდამდე, ვიდრე ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში აღზევებულმა ზოგიერთმა გარეწარმა თვითონ არ დაიწყო ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცება. იმდროინდელი ინფორმაციის მინისტრი და იმავდროულად მაშინდელი საქართველოს ერთადერთი ტელევიზიის თავკაცი, ცნობილი ჟურნალისტი არჩილ გოგელია, ვფიქრობ, დამიდასტურებს, რომ სახალხოდ არაერთხელ მთხოვა, მიმეტოვებინა ყველა და ყველაფერი, დავბრუნებოდი ტელევიზიას, აღმედგინა ჩემი გუნდი და ამ უმძიმეს სენს ისევ შევბრძოლებოდი, მაგრამ სხვადასხვა საბაბით ყოველთვის უარს ვეუბნებოდი, რამეთუ იმ პირობებში, როდესაც რეკეტსა და ადამიანთა გატაცებაში უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები უშუალოდ იყვნენ ჩართულნი, ამგვარი ანომალიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა არა მარტო უაზრო თავგანწირვა გახლდათ, არამედ ამ ბრძოლისთვის სახელის გატეხვაც და ადამიანებში უიმედობისა და სასოწარკვეთის ისეთი განწყობის შექმნა, რომელიც სამომავლოდაც შეუძლებელს გახდიდა სასურველ შედეგს.

* * *

„კაკაბეთის ზარები“ ერთადერთი და გამონაკლისი სრულიადაც არ გახლავთ.

არასამთავრობო ტელევიზიის, კერძოდ კი ჟურნალისტ **ირინე ინაშვილისა** და მისი გუნდის მიერ შემოკრულმა საყოველთაო განგაშის ზარებმა და მაყურებლამდე სწორად მიტანილმა *„ციხის კადრებმა“* დიდად განაპირობეს ნაციონალთა დამარცხება.



უფრო მცირე განზომილების, მაგრამ ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის საშუალებით მსგავსი დადებითი ეფექტის შემთხვევა ერთი და ორი არ არის. მაგრამ ახლა საწინააღმდეგოც „განვჩხრიკოთ“, რათა ბოლომდე გავისიგრძეგანოთ ტელეგადაცემათა ზოგიერთი ბლოკისა თუ ამგვარ გადაცემათა გეგმაზომიერი და უწყვეტი ერთობლიობის სავალალო შედეგები.

გახსოვთ, ალბათ, მავანის მიერ არც თუ შემთხვევით მოკლული ეროსი კიწმარიშვილისა და „რუსთავი-2“-ის გუნდის წევრების არაერთგზისი განცხადება იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი და მისი ნაციონალები მათ მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში.

ამგვარი გამონათქვამები არ გახლავთ საფუძველს მოკლებული.

„რუსთავი-2“-მა ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულა ნაციონალთა მოსვლასა და მათ ცხრაწლიან ბატონობაში.

სამწუხაროდ, ეს ტელეკომპანია დღესაც პირადად სააკაშვილისა და უშუალოდ მისი გუნდის განკარგულებაშია და ძალების სრული მობილიზებით, ტყუილ-მართლის გაიძვერულად გამოზომილი შერევით, ფერების მკვეთრი გამუქებითა და უარყოფითი ემოციების მასებისათვის უაღრესად გამაღიზიანებლად თავზე მოხვევით საზოგადოებაში მიზანმიმართულად აღვივებს არსებულისადმი უნდობლობის, ნიჰილიზმისა და სრული სასოწარკვეთის განწყობას, რაც „ყოფილებს“ ადამიანთა ზონდირებისა და მანქურთი ზაციისთვის იმიტომ ესაჭიროებათ, რომ ხელისუფლება კვლავ ჩაიგდონ ხელში.

სხვა ფაქტორთან ერთად მათი მიზანმიმართული პროპაგანდისტული მანქანის მიერ გავრცელებული და საგანგებოდ უარყოფით ემოციათა გამომწვევი მცდელობის შედეგიც არის ის პანიკური განწყობა, რომელმაც ლარის კურსის არაბუნებრივი რყევა გამოიწვია.

* * *

როდესაც ნაციონალებს არა მარტო „რუსთავი-2“, არამედ რამდენიმე სხვა „ჯიბის ტელევიზიაც“ ეხმარება უბინძურეს, ქვეყნის დამღუპველ პროპაგანდაში, საპირწონედ მთავრობასა და მმართველ კოალიციას — „ქართულ ოცნებას“ კი საკუთარი საინფორმაციო საშუალებები საერთოდ არ აქვს, რაც მიუტევებელი შეცდომაა.

ამის თქმა ცოტაა. ქვეყანა ფეთქებადსაშიშ ვითარებაში ცხოვრობს და არა თუ მტრულ და ქაოსის გამომწვევ პუბლიკაციებს, არამედ თუნდაც სრულიად შემთხვევით წამოცდენილ, გაუაზრებელ, მოუზომავ ერთ ფრაზასაც კი შეუძლია საშინელი უბედურების დატრიალება და ქვეყნის დაღუპვა. არადა, როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიაში საოცრად მომრავლდნენ არაპროფესიონალები და ჟურნალისტიკას შემთხვევით შეხიზნულები, რომლებიც არ ითვალისწინებენ, რომ საქართველო საომარ მდგომარეობაშია.

დიახ, ჩვენი სამშობლო ამჟამადაც საომარ მდგომარეობაშია, რადგან ჯერ კიდევ გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყანასთან, რომელიც გვეომებოდა. 2008 წლის შემდგომ მასთან დღემდე არ არის ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება; ქვეყნის დედაქალაქს დამიზნებული აქვს ზარბაზნები ძალიან ახლო მანძილიდან; ანექსირებულია საერთო ტერიტორიის ერთი მეხუთედი; საკუთარი კერიიდან აყრილი და ლტოლვილია ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობის თითქმის მეოთხედი; უაღრესი შეჭირვების გამო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ემიგრირებულია დაახლოებით 1.5 მილიონი ჩვენი მოქალაქე.

ყოველივე ზემოთქმული, ჩემი ღრმა რწმენით, როგორც პარლამენტს, ისე ქვეყნის მთავრობასა და მის სამართლებრივ ორგანოებს ავალდებულებს **(დიახ, ავალდებულებს!)** დაუყოვნებლივ განახორციელონ საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებული გადაუდებელი ქმედებები და დროებით მაინც დაივიწყონ მავანთა მიერ თავსმოხვეული „დემოკრატობანას“ ის უაზრო და კომიკური თამაში, რომელსაც არც თუ კეთილი განზრახვებით პიტნასავით ცხვირში გვჩრის ხან ავადსახსენებელი მაკ-კეინი, ხან მისი „ენდიაი“, რომელმაც მრავალი სიყალბით დაგვახსომა თავი, ხან კი „ნაციონალთა“ უამრავი ბოროტების ჩამფარცხველ-დამფარავი ევროპის ეგრეთ წოდებული სახალხო პარტია.

* * *

გამოვფხიზლდეთ კოლეგებო! გამოვფხიზლდეთ, ხალხო!

როცა ვხედავთ, რომ სამშობლო შაგრენის ტყავივით ხელში შემოგვადნა, მოვალენი ვართ, სათანადო სათქმელი დროულად ვუთხრათ ყველას, ვინც გაიძახის, ამა თუ იმ ტელევიზიის მიერ ქვეყნის დამაქცევარ, ანტისახელმწიფოებრივ და ცილისმწამებლურ გამოსვლებს ნუ აკრიტიკებთო!

* * *

სავსებით ვეთანხმები ბატონ ***შალვა დალაქიშვილს:*** სიცრუე არავის უნდა ეპატიოს. ელექტრონულ და ბეჭდვურ სიტყვას ანგარების გამო თავშეფარებული ყველა შემთხვევითი პირი, ყველა გაიძვერა, გამომძალველი და ქვეყნის დამაქცევარი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს!

ახლა საპასუხო სიტყვა თითოეულ ჩვენგანზეა, კოლეგებო! მით უფრო, რომ საკმაოდ ხანგრძლივი, უმწვავესი, ამასთან შეურიგებელი ბრძოლა მოგველის ყვავ-ყორნებივით მოყრანტალე და დამქირავებელთა მიერ გაყოყოჩებულ იმ თვითმარქვიებთან, რომლებმაც ავი ტაროსით ისარგებლეს, მედია უკანონოდ დაიპყრეს და ქვეყანას იმით ანგრევენ, რომ ცდილობენ ქაოსის დამკვიდრებას, რათა კვლავ ტყუილებითა და ჭორებით გაიტანონ საკუთარი ლელო, რათა ამით რაც შეიძლება მეტი პირადი სარგებელი ნახონ.

ამ ბრძოლაში ჭეშმარიტად პატიოსანი პროფესიონალის უკანდახევა ღალატის ტოლფასია, რამეთუ ბრძოლის ველზე ერთიც მეომარია.

ალექსანდრე შენგელია.

◎ ალიან-ჩალიანი

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად დეკლარაციების წარდგენა დაიწყო

დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირთა საყურადღებოდ შემოსავლების სამსახური ინფორმაციას ავრცელებს.

„სსიპ შემოსავლების სამსახური გაცნობებთ, რომ, თუ თქვენ მიერ 2014 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6 000 ლარს, უფლება გაქვთ შესაბამისი კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითოთ დაუბეგრავი მინიმუმი - 1800 ლარი და მოითხოვოთ აღნიშნულზე გადახდილი შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნება. კერძოდ, თუ თქვენ მიერ 2014 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი 1800-დან 6000 ლარამდეა, მოცემულ შემთხვევაში უფლება გაქვთ მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან დაიბრუნოთ 360 ლარი, ხოლო თუ 1800 ლარამდეა, დაბრუნებას ექვემდებარება (მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან) კონკრეტული თანხის 20 %“, — ნათქვამია განცხადებაში. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ამ მიზნით, 2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს დეკლარაციის შევსება.

„პირადი ნომრის მითითებით უნდა გაარკვიოთ, სარგებლობთ თუ არა დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით, შემდეგ შეავსოთ ელექტრონული დეკლარაცია და შეიტყოთ თქვენთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა. თუ თქვენ არ მიეკუთვნებით დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირთა კატეგორიას, დეკლარაციაში პირადი ნომრის მითითების შემდგომ ვეღარ განაგრძობთ დეკლარაციის შევსებას და ამის შესახებ სისტემა გაცნობებთ“, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

ᲪᲘᲠᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

21 მარტს მრავალათასიანმა მიტინგმა თავისთავად გააჩინა საფიქრალი, რომელიც უფრო თავსატეხია, ვიდრე ჩვეულებრივი ფიქრი. მაინც რა აჩენს თავისტკივილს, რა იწვევს შეშფოთებას, უძილო ღამეს მოძალებულ ფიქრებთან ჭიდილს?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქვეყნის მოსახლეობას, საზოგადოებას არადა არ სურს, სიღრმისეულად შეაფასოს ქვეყნის არსებობის ბოლო 23 წელიწადი, სათანადო დასკვნები გააკეთოს და ტვინიდან ამოიღოს ვიღაცისადმი, რაღაცისადმი – პიროვნება იქნება ის თუ ქვეყანა, მონური დამოკიდებულება.

მესიის მოლოდინი დიდხანს გაგრძელდება, გაცილებით დიდხანს, ვიდრე ჩვენ გვგონია, რამეთუ თანამედროვე მსოფლიოში, ცინიზმით, მლიქვნელობით, მომხვეჭელობით, ტყუილით გაჟღენთილში, სრულიად წარმოუდგენელია რომანის გმირის, მხსნელის ზეციდან მოვლენა – პატიოსნის, რაინდის, უმწეოთა დამხმარის, ბოროტებასთან მებრძოლის, კეთილი ადამიანის.

ქართულმა საზოგადოებამ, წყალწაღებულმა და ხავსს მოჭიდებულმა დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ ასეთი მესია არსებობს – მდიდარი, ქველმოქმედი, უმწეოთა დამხმარე. ირწმუნა და საბაბიც ჰქონდა – ინტელიგენციისთვის, ცნობილი ადამიანებისთვის მრავალი წლის განმავლობაში დანიშნული ხელფასის, ხელოვნების ძეგლების აშენება-რესტავრაციის, „სამების“ ტაძრის მშენებლობაში მილიონების დახარჯვის სახით.

საზოგადოებას წამითაც არ გასჩენია ეჭვი, რომ ადამიანი, რომელიც საკუთარ სახლს თბილისს დაადგამს თავს და დაჩრდილავს „ქართლის დედის“ მონუმენტს, მეტადრე საკუთარი ამბიციებითაა გაჟღენთილი, ვიდრე ქვეყნის კეთილდღეობით; რომ მას, მოჭარბებული ფულის და პატივმოყვარეობის გამო, ქვეყანაც და ხალხიც პატარებად მიაჩნია, უმწეოებად, რომელთაც უნდა ასწავლო, შეაგნებინო ის, რაც მას უნდა. დაარწმუნო იმაში, რომ ხარ ქვეყნის ერთადერთი მხსნელი და რახან ასეა, იმაშიც დაარწმუნო, რომ შენი ყოველი სიტყვა, წინადადება ტვინში ჩაიბეჭდოს და მუდამ მორჩილად გიმზიროს თვალებში. და მან მიაღწია ყოველივე ამას გაცილებით ადრე, ხელისუფლებაში მოსვლამდე.

2012 წლის ოქტომბრამდე მოხდა ყოველივე ეს – ქუჩაში ინტელიგენციის, პოლიტიკოსების, ერისა და ბერის, ქუდზე კაცის გამოსვლამდე. 2012 წლის ოქტომბერი უბრალო დამაგვირგვინებელი აქტი იყო მესიის სახელის მოხვეჭისთვის გაწეული მრავალწლიანი მეცადინეობისა.

და დამარცხდა „ზეციდან“ მოვლენილ რაინდთან ასთავიანი ურჩხული – ბოროტი და ხალხთმოძულე, სისხლისმსმელი ჯალათი. საქართველოს ცის კაბადონზე მზემ ამოანათა. ბედნიერი ხალხი, სიხარულით აღვსილი, სამარადისოდ მადლიერი, კეთილი ბიძინასი (ბოროტი მიშას დამარცხებისთვის), ახალი ცხოვრების ასაშენებლად განეწყო.

განეწყო ... და უმალ დაინახა, რომ მისი სათაყვანო რაინდის მიერ შერჩეული მოხელეები, ნამუსაწყვეტით შეესივნენ ქვეყნის ხაზინას: რა არ იკადრეს „შეგირდებმა“ განვლილი მმართველობის მოკლე პერიოდში – დიდი ხელფასები, დიდი პრემიები, ხელფასებზე დიდი დანამატები, დიდი ავტომანქანები, დიდი კაბინეტები, უზომო უცხოური მოგზაურობები, ნათესავ-მეგობრების უზომო დასაქმება - მოჭარბებულად დაუსაქმებელ ქვეყანაში. უზომო დაპირებების უზომო დავიწყება, წინამორბედი ჯალათური ხელისუფლების უზომო თავზე ხელისსმა, დამნაშავე ყოფილი მმართველების შენდობა და ამით დაზარალებული ხალხისთვის სულში ჩაფურთხება.

ახლების ყველაზე დიდი დანაშაული უხვი დაპირებების შეუსრულებლობა გახდა მთავარი ფაქტორი უკმაყოფილებისა და 21 მარტის მიტინგისა.

მაინც რა უნდა გაეკეთებინა რაინდსა და მის მთავრობას ისეთი ნეგატიური, რომ ორი წლისწინანდელი ზიზღი ნაციონალებისა ხალხისთვის დაევიწყებინა? ბევრი რამ, რაც ნაწილობრივ ჩამოვთვალე, ზოგიერთს ქვემოთ მოგახსენებთ.

21-ე საუკუნე იმით არის გამორჩეული წინა საუკუნისგან, რომ ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება. ინტერნეტი და გლობალიზაცია იძლევა ამის საშუალებას. დღეს, რევოლუციებსაც, მიტინგებსაც და საჯარო მარშებსაც ინტერნეტით აწყობენ. გავიხსენოთ არაბული რევოლუციები, სწორედ ინტერნეტით ორგანიზებული. არც საქართველოა გამონაკლისი, ისიც ჩართულია ინტერნეტულ ფერხულში და რახან ჩართულია, გულდასმით ეცნობა კარგს თუ ცუდს, დადებითსა და უარყოფითს, ნამდვილსა თუ ტყუილს – გამოქვეყნებულს ინტერნეტში.

ინტერნეტული ომი კარგა ხანია, დაწყებულია და მასში „ნაცური“ ახალგაზრდების აქტიურობა თვალშისაცემია. სწორედ მათი აქტიურობის წყალობით, საჯაროზეა გამოტანილი „მეოცნებე“ ხელისუფლების „საქმენი“. დავუმატოთ ამას ქვეყნის თითქმის ყველა ტელევიზია – ნაცური მენტალიტეტით გაჟღენთილი და მივიღებთ იდეოლოგიური სარბიელის უკიდეგანო ნაცურობას.

იდეოლოგია კი ისეთი რამაა, ტვინს რომ უხვრეტს ახალგაზრდასაც და ძველგაზრდასაც. სწორედ ამ იდეოლოგიურ ომში დამარცხდა საქართველოს მოსახლეობა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს. შემცდარია ის, ვინც გულუბრყვილოდ აცხადებს, „ვარდების რევოლუცია“ რევოლუცია კი არა, სამთავრობო გადატრიალება იყოო.

არა, პატივცემულო მკითხველო. 2003 წლის რევოლუცია ახალი სახის რევოლუცია იყო, უსისხლო, მაგრამ შემდგომში სისხლიანი. ერთის შეხედვით, თითქოს უგეგმო, არაფრის შემცვლელი, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფრის და რაც მთავარია, აზროვნების შემცვლელი.

„ვარდების რევოლუციამ“ სანაგვეზე მოისროლა არა მარტო შევარდნაძის ხელისუფლება, არამედ საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა, საშუალო და მეტი ასაკის ადამიანების სახით. წინა პლანზე წამოსწია გამოუცდელი, ქარაფშუტა ახალგაზრდობა, უწიგნურობით შეპყრობილი. და უთხრა მას – „შენ ხარ ამ ქვეყნის მბრძანებელი, შენ უნდა აკეთო ის, რასაც აშშ დაგავალებს“.

„ვარდების რევოლუცია“ იყო ოკეანისგაღმელთა შემოქმედება, მათი შეკვეთა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ანტირუსული სულისკვეთების ძალისმიერი ჩანერგვა. ვერავითარი ნაცი ან ნაცები, ვერავითარი საკაკაშვილი ან ჟვანია-ბურჯანაძე, ბოკერია და სხვები ვერავითარ რევოლუციას ვერ განახორციელებდნენ, რომ არა დასავლეთი, კერძოდ აშშ და მათი ფული, სხვადასხვა სახის მენტალური ტექნოლოგიები.

ზემოთ ვახსენე და გავიმეორებ – ჩვენ ვებრძვით შედეგს, ანუ ნაცმოძრაობას, მაგრამ უყურადღებოდ ვტოვებთ მიზეზს, საწყისს და იმას, საიდან წამოვიდა ყოველივე ეს. ჩვენ გვინდა ნაცებისგან განთავისუფლება, მაგრამ არ გვინდა განვთავისუფლდეთ ამერიკული დიქტატიდან, რაც ნაცთა აღზევების თავიდათავია. ჩვენ არ გვინდა, ვაწყენინოთ ე.წ. „სტრატეგიულ პარტნიორს“. მზად ვართ, შევასრულოთ მისი ყველა დავალება, მოწოდებული ხან ნაცური, ხან „ოცნებური“ ხელისუფლების მიერ.

ჩვენ ვასრულებთ მის შეკვეთას და ვერ ვატყობთ, რომ იმ ტოტს ვჭრით, ორი საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანად რომ ვისხედით. ვერ ვხვდებით, რომ 23 წელიწადის განმავლობაში ვაშინგტონი ტვინს გვირეცხავს და ისეთ ზომბირებულ ადამიანებად გვაქცევს, მოყვარეში რომ მტერს ხედავს, ხოლო მტერში – მოყვარეს.

„ალკოჰოლი ადამიანის მტერია, მაგრამ ბიბლია ამბობს – გიყვარდეს მტერი შენიო“ – ცნობილი ამერიკელი მომღერლის ფრენკ სინატრას სიტყვები შემთხვევით არ მომიყვანია. სწორედ სინატრასეული სიმართლით გვინდა თავი გავიმართლოთ და ჩვენი გაძაღლებული ცხოვრება არა იმას დავაბრალოთ, ვინც გვისახსოვრა ასეთი.

ცხრა წლის განმავლობაში მირეკავდნენ საქართველოს მოსახლეობას ცხვრის ფარასავით, ნატოსა და ევროკავშირისკენ, წინმიმავალი ყოჩის (სააკაშვილის) მეთაურობით – ამერიკელები, სხვა დასავლელი ავანტიურისტები. შედეგად მივიღეთ დაქცეული საქართველო – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, განათლების გარეშე დატოვებული. ეკონომიკადანგრეული, ლარგაუფასურებული და რაც მთავარია, მენტალურად უკვე გადაგვარებული. და როდესაც ხალხმა იფიქრა, რომ ყოველივე ამას წერტილი დაესმებოდა, ახალი ცხოვრება დაიწყებოდა, კვლავ იმედგაცრუება.

21 მარტი იყო ხალხის პროტესტი დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, მისი შეუსრულებელი დაპირებების უკიდურესი ფორმით კრიტიკა. უკიდურესობაა, როდესაც ორი წლის წინანდელ მახრჩობელა გველს ტაშს დაუკრავ და მის ეკრანზე გამოჩენას – „მიშა, მიშა“-ს ბღავილს შეაგებებ.

21 მარტი საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველი აქცია იყო სოციალური უბედურებით გამოწვეულ-დამუხტული. მომიტინგეთა უმრავლესობა სწორედ ამას გაიძახოდა, ისე, როგორც მათი თავშემყრელი ნაცები.

დიახ! ხალხმა ცარიელი კუჭის თემას მიუძღვნა მიტინგის ერთი დღე, მაგრამ ეს მარტო ერთი იქნება. რა დასკვნებს გამოიტანს „ოცნების“ გუნდი? პასუხის გაცემა მიჭირს, ვინაიდან გამოუცნობ „ფენომენთან“, თან სიჯიუტესა და მოჭარბებულ თავდაჯერებასთან გვაქვს საქმე,.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი უმოქმედობით დაგვარწმუნა, რომ სიმდიდრე პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საფუძველი ვერ იქნება, ისევე, როგორც მილიარდერი ვერასდროს გახდება ქვეყნის წარმატებული მმართველი. თვალი შევავლოთ უკრაინის მაგალითს. იქაც მილიარდერი პოროშენკოა, ჯერჯერობით, მაგრამ ქვეყანა დაქცეულია.

ივანიშვილმა სხვა გზა აირჩია – კულისებიდან მართვა. გამოასწორებს ეს ჩაოხრებულ საქვეყნო საქმეს? ძნელი სათქმელია. მაგრამ ის მაინც უნდა გამოასწოროს, რასაც ხალხის „აღზრდა“ ჰქვია, ვინაიდან არც ბიძინაა ზღაპრული ბრძენი მასწავლებელი და არც ხალხია ისეთი, სხვისი ნათქვამი, მით უმეტეს უკვე ყოფილი კერპის, გაითვალისწინოს.

მართალია, ბიძინამ მოგვაშორა სააკაშვილი, მაგრამ თავისი უმოქმედობით, ისე გამოდის, რომ ყველაფერს აკეთებს მის დასაბრუნებლად. მცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ ნაცური შემობრუნება შეუძლებელია, ვინაიდან ხალხი არ დაუშვებს ამას. 21 მარტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამ მოსაზრების უსუსურობაში. ამ დღეს იქ თავმოყრილმა ხალხმა გადალახა გადაულახავი და საკუთარ მახრჩობელას ჩაეხუტა, ჩათვალა რა ორწლიანი „ოცნებური“ მმართველობა იმ მახრჩობელაზე უარესად.

მიტინგი ითხოვდა იმათ უკან დაბრუნებას, ვინც უკვე იყო. ამით, ქვეცნობიერად, ითხოვდა ამერიკული სისტემის ამოქმედებას, ანუ ამერიკისადმი ლოიალურად განწყობილი ორი პარტიის მიერ მონაცვლეობით ქვეყნის ძიძგნას.

ცირკი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე მიმდინარეობს, ამერიკული სცენარით ხორციელდება. და ვიდრე ამას არ გაითავისებს ქართველი მაყურებელი, მუდამ სცენაზე მიმდინარე სპექტაკლის მაყურებლის როლში იქნება.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ **სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების მწარმოებელი საწარმო აშენდება. 85 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საპარტნიორო ფონდი და მაღალი ტექნოლოგიების მსხვილი საერთაშორისო კომპანია „ელბიტი“ ერთობლივად განახორციელებენ. პროექტის დეტალები „ელბიტის“ წარმომადგენლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრაზე განიხილეს.**

პროექტის განხორციელება 3 თვეში დაიწყება და საქართველოს 300-მდე მოქალაქეს დაასაქმებს. საწარმოში მუშაობისთვის საჭირო გამოცდილების შეძენაში მათ კომპანია „ელბიტის“ კვალიფიციური პერსონალი დაეხმარება. ახალი საწარმო პირველ პროდუქციას 2 წლის შემდეგ წარადგენს. კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნულ ვადაში გეგმავენ სამოქალაქო ავიაციის კომპოზიტური დეტალების გამოშვებას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე, როგორც ფასით, ასევე ხარისხით, კონკურენტუნარიანი იქნება.

კომპანია „ელბიტის“ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით, იაკობ გადო დარწმუნებულია, რომ საწარმო, მსოფლიოში ახალ თვითმფრინავებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, წარმატებული იქნება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ღია წერილი

მამულიშვილობა მოითხოვს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს

ეს უკვე მეორედ გწერთ ღია წერილს. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში შეგახსენებდით, რომ რუსთავი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრია, რომ რუსთავში მოქმედებდა 44 სამრეწველო საწარმო, აქედან 17 საკავშირო დაქვემდებარებისა, ეს კი მიანიშნებდა მათს დიდ და მრავალფეროვან სამრეწველო პოტენციალზე. და კიდევ, საქართველოში ჩამოსული მაღალი რანგის სტუმარი, უეჭველად ესტუმრებოდა რუსთავს.

პირადად მე მქონდა ბედნიერება აქ, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, რამაც საფუძველი დაუდო ახალი რუსთავის აღმშენებლობას, შევხვედროდი ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს თავის ქალიშვილ ინდირა განდისთან ერთად, ირანის შაჰ ფეხლევს, ტიტოს, ჩინეთის ერთ-ერთ უმაღლეს ხელმძღვანელთაგანს, ლეონიდ ბრეჟნევს, სხვებსა და სხვებს, ყველას ვერ ჩამოვთვლი. ისინი სათითაოდ დაივლიდნენ ხოლმე კომბინატის საამქროებს, მათ განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევდა იმ ხანად ევროპაში ერთადერთი ავტომატიზებული და მექანიზებული გიგანტი მილსაგლინავი საამქრო (სხვათა შორის, აქ ერთხელ სააკაშვილმაც შემოირბინა, ისიც გადაირია და აქედან დაიწყო კომბინატის დარბევაც).

იმ წერილში ეს ამბავი იმადაც დავწერე, რომ თქვენთვის მეთქვა, ბატონო მინისტრო: რა იქნება ერთხელ თქვენც ჩამოსულიყავით, ცალი თვალით მაინც შეგეხედათ ჩვენი ქალაქისთვის, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთი ციხებურჯია. ერთხელ მაინც გეკითხათ, რა გჭირთ, რა გილხინთო, შეგეკრიბათ ის ამაგდარი მეტალურგები, ქიმიკოსები, სხვადასხვა დარგის უნიკალური პროფესიის მქონე უმუშევრები, გარკვეულიყავით ჯერ კიდევ არარსებული სამრეწველო პოტენციალის პერიმეტრებში.

ბატონო მინისტრო, მინდა შეგახსენთო, რომ ეს ქალაქია ნაქალაქარზე, სადაც ოთხი საუკუნის მანძილზე თვლემდა ქართული დიდება. მტვერ-ნაცარმიყრილია, მხოლოდ იოსებ სტალინს ახსოვდა, იცოდა და ამადაც ააშენა აქ, ანუ ააღორძინა „XX საუკუნის უდიდესი მონაპოვარი საქართველოსთვის. ეს რომ არა, ქვეყნის საზღვარი სოღანლუღთან, დღევანდელ ფონიჭალასთან იქნებოდა“ (კონსტანტინე გამსახურდია).

მაშინ სტალინმა 5 ათასი ქართველი ვაჟკაცი მოარიდა ომს, შეასწავლა მათ მეტალურგობა. შემდგომში რუსთავში ათასობით ადამიანმა გაიჩინა ბუდე, მათ უსასყიდლოდ აძლევდნენ კეთილმოწყობილ ბინებს, სამსახურს...

იმავე წერილში გაცნობეთ, რომ დღევანდელი რუსთავის საჯარო სკოლებს ყოველწლიურად 4 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი ამთავრებს, ხოლო ათასამდე ახალგაზრდა – სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს. სამწუხაროდ მათთვის, თუნდაც ერთი სამუშაო ადგილი არ არის.

უფრო უარესიც. ახლახან მეტალურგიული ქარხნის დირექციამ „ქვეყნისათვის ამ უმძიმეს, ლარის ინფლაციის პერიოდში, ხუთასამდე ადამიანი გაანთავისუფლა და გამორეკა, უმუშევართა ისედაც დიდი რიცხვი გაადიდა, ეკონომიკურად სიდუხჭირეში მყოფი ათასობით ოჯახი ახალი არმიით შეივსო.

თუ არ ვცდები, თქვენი მინისტრობის მესამე წელია. და თქვენ ერთხელაც არ დაინტერესებულხართ ქვეყნის კვლავაც მეორე ინდუსტრიული ცენტრით.

არადა, ღრმად ვარ დარწმუნებული, მიუხედავად იმ შტურმისა, რაც ნაციონალებმა მიიტანეს რუსთავზე (იმ უამრავი ქარხნიდან დღეს სამი თუ ორი შემორჩა), ჯერ კიდევ არის საკმაო სამრეწველო პოტენციალი, რომელთა დროული ამოქმედება, თუნდაც ერთი წლის წინათ, დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას ასე სავალალოს არ გახდიდა. ლარის ინფლაციაც შემსუბუქდებოდა, უამრავი უმუშევარს საქმე გაუჩნდეობდა. ასობით ოჯახს იმედი მიეცემოდა და ასობით ახალგაზრდა არ დატოვებდა ქვეყანას და უცხოეთში საკუთარი ნებით მონად არ იქცეოდა.

მეტი რა გითხრათ, ბატონო მინისტრო. მამულიშვილობა, სხვა რომ არა, მოითხოვს, რომ რუსთავი ხელისუფლების ყურადღების ცენტრში იდგეს!

პატივისცემით

გივი ჯახუა,

დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატი, მწერალთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, „სრ“ საკ. კორ.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჯახები

● ჩვენ რას ვაკეთებთ ნაციონალების დასამთავრებლად, ჩვენ? ადე, აწიე უკანალი, მიუვარდი ნაციონალებს ოფისთან, სახლებთან, გადაავსე თბილისის ქუჩები ხალხით – გაბრაზებული ხალხით. შეაზანზარე პროტესტით მსოფლიო, იყვირე, იგლოვე, დაიმუქრე... 1 სტუდენტის მკვლელობაზე დაინგრა საბერძნეთი, ჩვენ სანამ არ ამოგვხოცავენ, ვწეროთ აქ ძახილისნიშნიანი სტატუსები და გაბრაზებული სტიკერები... აღარ გინდათ რა ეს კლავიატურაზე მჯიღის ცემა (მეც მათ შორის), ან გავინძრეთ ან მოვეშვათ მუდმივად სხვაზე პასუხისმგებლობის შეხოცვას. მთავრობა თუ გყავს უნიათო, შენ ხო ხარ ნიათიანი?! ადე აბა, ქენი რამე!

● არ გრცხვენია, ამას რომ ამბობ ამდენ ხელფას-დანამატ-ბატკნის ბარკლებიანი მინისტრი?

1. შენ შენი მშობლებისთვის არ მოგივლია და სხვისას მიხედავ?

2. მტყუანის!!!

3. ტაბურეტკა ჯობდა!!!

● მომეცით „კომედი შოუ“-ს იუმორი და მე გავაცინებ და მოვიგებ!

● ორლარიანი მაქვს და ორ ცალ უძრავ ქონებას ვერ შევიძენ?

● „ინფორმაცია კ რაზმიშლენიუ“...

დღევანდელი, ქართული კანონმდებლობით, ვალოდია ვიოსოცკი, უკეთეს შემთხვევაში, ქუჩაში დალევის გამო, ჯარიმების გადახდას ვერ აუვიდოდა და უარეს შემთხვევაში, გლდანის ციხის „პასაჟირი“ იქნებოდა, 273-ე მუხლით...

„რაზვე, ეტა ნარმალნო?“

● ჩვენ სტუმართმოყვარეობას რა ვუთხარი, თორემ გერმანია რისი მომგები იყო?...

● გულწრფელი აზრები:

ეს რა გამიკეთა ბაჩომ, ეს რა სისტემა შეუქმნია სად-ში? პატიმრებს ცემდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ?! ?!

ეს რა უქნიათ სერგო თეთრაძისათვის? ვახ ჩემი, ტო!

მეც კარგი მიამიტი ვარ, როგორ დავიჯერე, რომ ამდენი მოქალაქე, ნებაყოფლობით ჩუქნიდა საკუთარ ქონებას სახელმწიფოს!

26 მაისი? გინდაც ჯაშუშები ყოფილიყვნენ ყველანი, ალყაში მოაქციო და სასტიკად ცემო? ოხ, ვანო, ვანო, ახია შენზე, რაც გიქნეს!

ვაი! შვილის საფლავზე მამა ააფეთქეს! ვის ტვინში დაიბადა მსგავსი მზაკვრობა?

27 ათასი ფარული ფირი? შანტაჟისათვის გადაღებული? და მე, ამ ყველაფრის ავტორზე, ღირსების ორდენი მიმაცემინეს? ჩემი ხელით მოვკლავ მაგ მეგისას? თუ გავიხსენე რომელია! ბაჩო? კი, ბაჩო მახსოვს...ბუნდოვნად! კიდევ შეკვეთილი მკვლელობა? ო, ღმერთო ჩემო! საით მიექანება ჩემი ბედკრული სამშობლო! ცრემლი წასკდა თვალებიდან...ძალიან ეტკინა თავის საქართველო, სომხის ბიჭს!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ დანაშაული

ნარკორეალიზატორები ახალ საშუალებებზე გადაერთვნენ

მას შემდეგ, რაც ჯანდაცვისა და შს სამინისტროებმა „სააფთიაქო ნარკომანიის“ წინააღმდეგ კოორდინირებული გზები დასახეს (ფსიქოტროპული საშუალებების უკონტროლოდ გაცემა, მრავალი ნივთიერების გაცემაზე ექიმის სავალდებულო რეცეპტის არსებობა და ა.შ), რომელთა განხორციელებაც დაუყოვნებლივ დაიწყო, ორივე სამინისტროს მონაცემებით, თითქმის აღიკვეთა ფსიქოტროპული და სხვა საშუალებების გაცემა, არნახულად იკლო ამ ნივთიერებებზე დამზადებული „ვინტის“ , „კრაკადილის“ მომხმარებელთა რაოდენობამ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემცირებულია სასწრაფო სამედიცინო სამსახურების გამოძახება გადაჭარბებული დოზის მიმღებთა გადასარჩენად და, ფაქტობრივად, ნულის დონემდეა დაყვანილი ფარული ტრაგიკული შემთხვევები, აკონკრეტებენ შს და ჯანდაცვის სამინისტროში.

მაგრამ, როგორც დამნაშავეობის სოციოლოგიის სპეციალისტი **ნაირა ცხოვრებაძე** აცხადებს, ნარკოტიკებთან გაშინაურებულები მწვავედ აღიქვამენ ყოველგვარ აკრძალვებსა და კონტროლის გაძლიერებას. ისინი (განსაკუთრებით „ქიმიკოსები“და „კუსტარნიკები“) ნარკოტიკული თრობისა და შიმშილის დაკმაყოფილების ახალ გზებს ეძებენ. ასე შემოვიდა ჩვენში „ვინტი, „კრაკადილი“, „ბიო“. მომხმარებლებს კი ამ შემთხვევაში „ღირსეულ პარტნიორობას“ უწევენ სხვისი უბედურების ხარჯზე საკუთარი ბედნიერების შემქმნელი ნარკორეალიზატორები.

ორიოდე დღის წინათ თბილისში დააკავეს მამა-შვილი. მამას აღმოუჩინეს ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი 49 აბი, რომელიც 2,30 გრამ ფენეთილამინის ნაერთთა კლასს შეიცავს. შვილს პოლიციამ სახლში ნარკოტიკების მთელი საწყობი უპოვა – 110 აბი ახალი ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 36,3 გრამ ტრიპტამინის ნაერთთა კლასს შეიცავს. იქვე ნანახია 19 გრ კანაფის ფისი და 25 გრ. გამომშრალი მარიხუანა. ექსპერტთა და პროფესიონალთა მტკიცებით, ცხადია, რომ ნარკოტიკების ამხელა არსენალი მამა-შვილს მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის არ სჭირდებოდა.

ნაირა ცხოვრებაძის ღრმა რწმენით, სამედიცინო პრეპარატებზე მორიგი აკრძალვების დაწესება არ იქნება გონივრული გადაწყვეტილება. დროა, პოლიციამ ხელი გამოიღოს და ყოველი დაკავებული მომხმარებლისგან მიიღოს ინფორმაცია რეალიზატორის შესახებ. აი ამ კატეგორიის ხალხისადმი სასჯელი კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს, მიაჩნია დამნაშავეობის სოციოლოგიის სპაციალისტს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

საგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, პირველი კვარტალის საგადასახადო შემოსავლების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

მიმდინარე წლის თებერვალში, დღგ-ს საწარმოთა ბრუნვა გაზრდილია 18.5 %-ით, ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2015 წლის თებერვალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,9% შეადგინა.

თავდაცვის სამინისტროს პიარზე ლუკა კურტანიძის მეუღლე იზრუნებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრს ახალი მრჩეველი ჰყავს. მინდია ჯანელიძის ერთ-ერთი მრჩევლის თანამდებობაზე ხათუნა მიქაცაძე დაინიშნა, რომელიც პიარის კუთხით იმუშავებს. როგორც მიქაცაძემ განაცხადა, უწყებაში მუშაობა მარტიდან დაიწყო. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ თავდაცვის სამინისტროში აღნიშნულ თანამდებობაზე მეუღლის, დეპუტატ ლუკა კურტანიძის დახმარებით დაინიშნა, ხათუნა მაქაცაძე აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ პიარის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

„იმისთვის, რომ ვიღაცას წარმოდგენა არ შეექმნას, თითქოს არსად არ მიმუშავია და თავდაცვის სამინისტროში უცბად გავჩნდი, მინდა, განვმარტო, რომ წლების წინათ დავიწყე მუშაობა: ჯერ იყო ჟურნალისტთა საერთაშორისო ალიანსი, შემდეგ ჩაჩავას სამეცნიერო კვევითი ცენტრი, სადაც პიარის ხელმძღვანელი ვიყავი, ამის მერე ვმუშაობდი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატში, იყო ფინანსთა სამინისტრო, იყო „ფლაი ჯორჯია“, „ზედაზენი“, სადაც ასევე პიარის ხელმძღვანელად ვმუშაობდი და ა.შ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, მე და ლუკა წელიწადნახევრის წინათ დავქორწინდით, მე კი საქმიანობაში 1996 წლიდან აქტიურად ვარ ჩართული“, – აღნიშნა ხათუნა მაქაცაძემ.

ზუგდიდში 320 დევნილი ოჯახი ბინას მიიღებს

ზუგდიდში, 10 ახალაშენებულ კორპუსში, 320 დევნილი ოჯახისათვის ბინები ფარული კენჭისყრით განაწილდა.

ბინების განაწილების პროცედურას დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეები შოთა რეხვიაშვილი, გოგი ფაცაცია და მამუკა ცოტნიაშვილი, სახალხო დამცველის აპარატის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. ფარული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, კონკრეტულად რომელ ბინებში გადანაწილდებიან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახები.

„კენჭისყრის პროცესი ღიად და გამჭვირვალედ წარიმართა. ბინების განაწილების დროს გათვალისწინებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები. მათ ადაპტირებული ბინები პირველ სართულზე გადაეცათ. შენობაში სულ 320 ბინაა, აქედან 40 – ერთოთახიანი, 160-ოროთახიანი, 120 – სამოთახიანი.

ინტერპრესი

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ საკუთარი არჩევნისთვის - ვემსახურით საქართველოს!

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის 2015 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება

ამოგესალმებით პატივცემულო დეპუტატებო, სტუმრებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებს, ტელემაყურებლებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს.

დღევანდელ დღეს მნიშვნელოვანია ჩემთვის აქ ყოფნა იმიტომ, რომ 31 მარტი არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე. ამ დღეს რეფერენდუმით დადგინდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

„პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან – ევროპულ სახელმწიფომდე“ – შარშან პარლამენტში, სწორედ ასე განვსაზღვრე ჩემი წლიური გამოსვლის მიზანი, წელს კი ჩვენ მტკიცე ნაბიჯი უნდა გადავდგათ ევროპული სახელმწიფოს განმტკიცებისთვის.

ისტორიულად, კულტურულად, ჩვენ ევროპა ვართ – არა უბრალოდ მისი ნაწილი, არამედ - საუკუნეთა განმავლობაში ევროპის განვითარებისა და ქმნადობის აქტიური მონაწილეც. შესაძლოა, გარკვეულწილად უფრო მეტი ღვაწლიც კი მიგვიძღვის გეოგრაფიული სიშორიდან თუ გარკვეული მოწყვეტილობიდან გამომდინარე ჩვენ ხშირად მარტოს, მოკავშირეების გარეშე გვიწევდა იმ ღირებულებების დაცვა, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ევროპული ცივილიზაციისათვის.

და ჩვენი დღევანდელი გამოწვევაც სწორედ ეს არის: ყოველდღიურობაში მყარად დავამკვიდროთ ეს ფასეულობები, მდიდარ მემკვიდრეობაზე ავაშენოთ თანამედროვე ევროპული საქართველო. საქართველო, რომლის ცენტრშიც დგას ადამიანი – დიადი კულტურის მემკვიდრე თანამედროვე ქართველი, და მაშასადამე – ევროპელი მოქალაქე.

ეს არის ჩვენი ამოცანა და ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობაც ცივილიზებული სამყაროს წინაშე. ახლა, როდესაც, მსოფლიო ახალი წესრიგის ძიების პროცესშია, არა მხოლოდ ჩვენ გვჭირდება ევროპა, არამედ – ევროპას და დასავლეთს სჭირდება ძლიერი, განვითარებული, დემოკრატიული საქართველო.

იმისათვის, რომ შემდეგი ნაბიჯები სწორი მიმართულებით გადავდგათ, საჭიროა, კარგად გავაცნობიეროთ, სად ვიმყოფებით, სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს და ამ სიმართლის წერტილიდან დავგეგმოთ და განვსაზღვროთ ჩვენი განვითარების მომავალი.

ამიტომ, დღეს მსურს მოგიწოდოთ: ერთად შევაფასოთ მიღწეული, თვალი გავუსწოროთ პრობლემებს, და რაც მთავარია, მკაფიო მზერა მივაპყროთ მომავალს.

ბოლოდროინდელმა გამოწვევებმა დრამატულად გვაჩვენა ისედაც ცხადი გარემოება: ქვეყნის სრულფასოვან ფუნქციონირებას, უსაფრთხოებასა და განვითარებას ეკონომიკური წინსვლა უნდა დაედოს საფუძვლად.

ფაქტია, რომ ჯერაც ვერ მივაღწიეთ ეკონომიკური პროცესების სასურველ დინამიკურობას. კვლავ მაღალია უმუშევრობის დონე, უთანასწორობის მაჩვენებელი, სახეზე გვაქვს ეკონომიკური ზრდის შენელება.

ამდენად, დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა: უზრუნველვყოთ ეკონომიკური ზრდა, დასაქმება, საბოლოოდ – ქვეყანაში უთანასწორობის შემცირება და საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა.

რა პოტენციალი გაგვაჩნია ამ თვალსაზრისით? ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შესაძლებლობა – ახალი სტიმულია ეკონომიკური ზრდისათვის – ინვესტიციებისათვის, დასაქმებისა და ექსპორტისათვის, ასევე, ევროკავშირთან მეტი ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. ამავე დროს, ესაა ახალი შესაძლებლობა თავისუფალი ვაჭრობის სხვა სივრცეების ათვისებისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისათვის. შესაბამისად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ბიზნესისა და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა იმ შესაძლებლობების შესახებ, რაც ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ მოგვცა.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს თურქეთსა და დსთ-ს ქვეყნებთანაც. შესაბამისად, საქართველოში ინვესტორისთვის იქმნება შესაძლებლობა, რომ აქ ნაწარმოები პროდუქტი, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში 900 მილიონზე მეტ მომხმარებელიან ბაზარზე გაიტანოს მსოფლიოს მასშტაბით. ამას თუ დავუმატებთ იმ მაღალ რეიტინგებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს და აღიარებულია მსოფლიოში, ბიზნესის კეთების პარამეტრების თვალსაზრისით, კორუფციისა და კრიმინალის დაბალი დონის, ასევე გადასახადების დაბალი დონის თვალსაზრისით, რომელიც ნამდვილად არის საქართველოში. ჩვენ ფაქტიურად ძალიან საინტერესო შესაძლებლობებს ვუხსნით ინვესტორებს ყველა მიმართულებით და ამის თაობაზე რაც შეიძლება მეტად უნდა მოხდეს მათი ინფორმირება.

ქვეყნისათვის მიმზიდველ პერსპექტივას ასევე ქმნის რეგიონალური თანამშრომლობა – ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განმტკიცება შავი ზღვის და კასპიის რეგიონებს შორის, კასპიის ენერგორესურსების ევროპისაკენ გადაადგილების თვალსაზრისით – ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის მიმართულება.

ამ მიმართულებითაც ძალიან ბევრი გაკეთდა, რამდენიმე დღის წინ იქნა ინიცირებული ყარსში TANAP-ის პროექტი, რომელიც კასპიის ენერგორესურსებს რეალურად მიაწოდებს ევროპას საქართველოს გავლით.

თქვენ იცით როგორ ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა რკინიგზაზე და სხვა ინფრასტრუქტურულ, სატრანსპორტო პროექტებზე, რომლებიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი თანამშრომლობით ავითარებს.

აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოში არსებული ელექტროენერგიის მაღალი გამომუშავების პოტენციალი და რეგიონში ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის. შესაბამისად, ენერგოსექტორი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მოთხოვნადი მიმართულებაა ინვესტორებისათვის. ახალი ჰესების აშენებისათვის მოზიდული ინვესტიციები უზრუნველყოფენ პირველ ეტაპზე იმპორტის ჩანაცვლებას და შემდგომ ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში თურქეთთან ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა, რაც თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში ელექტროენერგიის საექსპორტო შესაძლებლობას გაზრდის.

ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფნის განვითარებას ემსახურება ურთიერთობათა გაღრმავება არა მხოლოდ ევროპის, არამედ ასევე აზიის სახელმწიფოებთან. არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ რეგიონის ქვეყნებით, უნდა გავაქტიურდეთ ყველა იმ სახელმწიფოს მიმართულებით, ვინც დაინტერესებულია რეგიონის განვითარებაში ინვესტიციებით. შუა აზიის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენენ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში დაფიქსირებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების გაღრმავება.

ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფნის განვითარებას ემსახურება ურთიერთობათა გაღრმავება არა მხოლოდ ევროპის, არამედ ასევე აზიის სახელმწიფოებთან. არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ რეგიონის ქვეყნებით, უნდა გავაქტიურდეთ ყველა იმ სახელმწიფოს მიმართულებით, ვინც დაინტერესებულია რეგიონის განვითარებაში ინვესტიციებით. შუა აზიის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენენ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში დაფიქსირებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების გაღრმავება.

გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წელს ლარის კურსის მკვეთრმა ვარდნამ და ეკონომიკური ზრდის სოლიდურმა შემცირებამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილება. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა საგარეო ეკონომიკური რისკების პირისპირ საქართველოს ეკონომიკის არც თუ საკმარისი მზაობა, ქვეყანაში ეკონომიკური პროგნოზირების ფაქტობრივად არ არსებობა.

ეკონომიკური რყევების, მათ შორის, საგარეო ფაქტორებით გამოწვეული შოკების უკეთ გამკლავების მიზნით ეკონომიკური პროგნოზირების მოქნილი სისტემა გვესაჭიროება. შესაბამისად, აუცილებელია თანამშრომლობის გაძლიერება ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის, ისე, რომ შენარჩუნებული იქნას ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში ხაზგასმულია ოლიგოპოლიური გარემოს შეცვლის აუცილებლობა. აქ ვკითხულობთ: „ამ მოდელის „წარმატებას“ საქართველოს ყველა მოქალაქე გრძნობს პირველადი მოთხოვნილების საქონლისა და მომსახურების – საკვების, საწვავის, მედიკამენტების, ელექტროენერგიისა და სხვადასხვა კომუნალური მომსახურების შეძენისას“.

საზოგადოებამ ამ ხედვას დაუჭირა მხარი და დღესაც იგივე აზრზეა. მიუხედავად ამისა, კვლავ აქტუალურია კითხვები ბაზარზე ოლიგოპოლიების, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ. ლოგიკურად ჩნდება კითხვა კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ.

როგორც წინასაარჩევნო პროგრამით, ასევე მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით აღიარებულია მცირე და საშუალო ბიზნესის უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის, მისი სიჯანსაღის თვალსაზრისით „სახელმწიფო შეიმუშავებს ეფექტიან მექანიზმებს ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად“ აღნიშნულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში და მე სრულად ვიზიარებ ამ მიზანს. თუმცა, ფაქტია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი მთლიან შიდა პროდუქტში ძალიან მცირეა და კვლავინდებურად 20 პროცენტის ფარგლებში რჩება.

იხ. 8 გვ.

გზად – მომავლისკენ!

(მეშვიდე გვერდიდან)

ბიზნესის ადგილობრივი თუ უცხოელი წარმომადგენლები დღესაც ხშირად საუბრობენ ხელისუფლების მხრიდან ცალკეული გადაწყვეტილებების გაჭიანურებაზე, რის გამოც საქმიანი ინიციატივების განხორციელება დროში იწლება, ფერხდება ინვესტორთა მოზიდვა.

მნიშვნელოვანია ბიზნესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თავად ბიზნესმენთა მეტი ჩართულობა და საზოგადოების სათანადო ინფორმირება. საჭიროა, საფუძველშივე მეტი კომუნიკაცია ბიზნესთან ყველა იმ ინიციატივის გაჟღერებასა თუ კანონად ქცევამდე, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესგარემოსთან, ინვესტიციებთან, ტურიზმთან, ამასთან, აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღება და ენერგიული განხორციელება.

„სახელმწიფოს მიზანია, მიაღწიოს ბიზნესის იმგვარ რეგულირებას, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალი ბაზრისა და მეწარმეობის განვითარებას, არსებულმა და მომავალმა რეგულაციებმა არ უნდა შეზღუდოს ბიზნესსაქმიანობა მისთვის დამატებითი პრობლემების შექმნის გზით“, აღნიშნულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, რასაც სრულად ვეთანხმები. შესაბამისად, წარმოუდგენლად მიმაჩნია სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების განხორციელება დღეს არსებული სისტემური პარალელიზმის პირობებში.

შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება, როდესაც ერთი მხრივ გვაქვს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გვყავს მინისტრი, უფრო მეტიც, ვიცე-პრემიერი, რომლის გადაწყვეტილებებს აფერხებს სხვადასხვა ეკონომიკური პროფილის საბჭო თუ შესაბამისი თემატიკის სააგენტო. ამიტომ სწრაფად უნდა გავაანალიზოთ, არსებული ვითარება და მივიღოთ გადაწყვეტილება პასუხისმგებელი პირების სათანადო ნდობითა და ფუნქციებით აღჭურვის მიმართულებით.

2014 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 5 პროცენტს მიაღწია. ამავდროულად, 2008 წლის შემდგომ ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა ქვეყანაში (1.270 მლნ აშშ დოლარი). შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა 2014 წლის ბიუჯეტის შესრულება და უმნიშვნელოვანესი საბიუჯეტო ხარჯების გაწევა.

ადამიანზე ორიენტირებული საბიუჯეტო პოლიტიკა ჩვენი მიღწევაა და ის უეჭველად უნდა შევინარჩუნოთ. მინდა, ამ თვალსაზრისით აღვნიშნო ის უმნიშვნელოვანესი და წარმატებული პროექტები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განხორციელდა. კერძოდ ესაა: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, C ჰეპატიტის ელიმინაცია, სასწრაფო დახმარების რეფორმა, მაღალმთიანი რეგიონების კლინიკების გამოსყიდვა და დიპლომის შემდგომი განათლების დაფინანსება, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში რეცეპტებთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები, სოფლის ამბულატორიების მშენებლობა და აღჭურვა.

ამავდროულად, აუცილებელია აღინიშნოს მთავრობის მიერ დაწყებული მცირე და საშუალო ბიზნესის წამახალისებელი პროგრამებიც: „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“, პროექტი – „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ და განსაკუთრებით გამოვყოფ პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ – კარგ შესაძლებლობას ბიზნესაქტივობის, დასაქმებისა და შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის.

2014 წელს „ჰიბრიდულმა“ ომებმა, ტერორიზმმა, სახელმწიფოების საზღვრების ძალადობრივმა შეცვლამ მკაფიოდ დაგვანახა, თუ რაოდენ მასშტაბური საფრთხეები ემუქრება მსოფლიო წესრიგს. მოვალენი ვართ ზედმიწევნით სწორად შევაფასოთ ვითარება და შესაბამისად ავაგოთ ჩვენი სტრატეგია.

საქართველოს უსაფრთხოება და კეთილდღეობა უშუალოდაა დაკავშირებული ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან. მიმდინარე წელს კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობები როგორც საკუთრივ ევროკავშირთან და ნატოსთან, ისე ევროატლანტიკური სივრცის თითოეულ სახელმწიფოსთან.

ამავდროულად, ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ საქართველოს გეოპოლიტიკური როლი და ის უპირატესობები, რაც საინტერესოს ხდის ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის; საქართველოს განვითარებითა და სტაბილურობით დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა ჩვენი უსაფრთხოების ერთ-ერთი სერიოზული საერთაშორისო გარანტიაა.

ამდენად, საქართველოს პრობლემატიკა მუდმივად უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში და აქ ერთიანი ძალისხმევაა საჭირო. დაუშვებელია ვიწროპარტიულმა ან უწყებრივმა ინტერესებმა შეასუსტონ ევროატლანტიკური პლატფორმა. პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ყველას – პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს თავისი უმრავლესობითა და უმცირესობით.

საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია და მილიტარიზაცია ზრდის დესტაბილიზაციის საფრთხეს სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში და ამდენად, ჩვენი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს. რუსეთის ფედერაცია კვლავ არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას, უარს ამბობს საქართველოს მიმართ ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებაზე; გასულ წელს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გააგრძელეს მანიპულირება მავთულხლართებით. რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ხელშეკრულებების გაფორმების გამო, ჩემი მიმართვის პასუხად, პარლამენტმა ეს აქტები ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. ეს შეფასება ჩვენმა პარტნიორებმაც გაიზიარეს და საერთაშორისო მასშტაბით კიდევ ერთხელ დაგმეს რუსეთის აგრესია.

ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი-ქვეყნების მხარდაჭერას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, არაღიარების პოლიტიკის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის, დევნილთა დაბრუნების საკითხებში. სწორედ ამის შედეგია დევნილთა თემაზე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მხარდამჭერთა რიცხვის ზრდა. არაღიარების პოლიტიკა უნდა გაღრმავდეს და გაძლიერდეს იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ არა აქვს.

აქვე ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას: არაღიარება მიზნად არ ისახავს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის იზოლაციას! პირიქით – იქ მცხოვრები ადამიანები, დევნილებთან ერთად, სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტია. ჩვენ ვესწრაფით დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ჩვენი თანამოქალაქის სრულფასოვან განვითარებას. გვსურს, რომ მათ სრულად ისარგებლონ სიკეთეებით, რაც ქართული სახელმწიფოს მშენებლობას და საქართველოს ევროინტეგრაციას მოაქვს.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ სპექტრში და მთლიანად საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს კონფლიქტების მოგვარების ერთიანი ხედვა. ამ მიზნით მე გავმართე საკონსულტაციო შეხვედრების სერია (და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება), რის შედეგადაც გამოიკვეთა კონსენსუსის კონტურები. კერძოდ:

– საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა საერთო მიზანს წარმოადგენს და ეს მიზანი ქართული პოლიტიკის ქვაკუთხედად დარჩება მის მიღწევამდე;

– ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის აღდგენის პროცესი ბუნებრივად გულისხმობს დევნილთა ნებაყოფლობით, ღირსეულ და უსაფრთხო დაბრუნებას;

– ამ მიზნების მიღწევის აუცილებელი პირობაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია, რაც გზას გაუხსნის კონფლიქტების ურთიერთმისაღებ საფუძველზე მოგვარებას;

– სადავო საკითხების გადასაჭრელად საჭიროა აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგი, რისთვისაც ჩვენი მხრიდან სრული მზაობა არსებობს;

– საქართველოს სურვილი და მიზანია, რომ ევროკავშირთან ასოციირებით, მასთან თავისუფალი ვაჭრობითა და უვიზო გადაადგილებით წარმოქმნილი პრივილეგიები თანაბრად გავრცელდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე;

– ევროპული საქართველო საუკეთესო გარანტია იქნება აფხაზთა და ოსთა თვითმყოფადობის შენარჩუნების, მათი პოლიტიკური და კულტურული უფლებების რეალიზებისა;

– საქართველო აღიარებს კონფლიქტების მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან გზას, რასაც დრო და კონსოლიდირებული ძალისხმევა სჭირდება; იმავდროულად, საქართველო არ ჩაიყენებს თავს მოუგვარებელი კონფლიქტების მძევლის მდგომარეობაში და გააგრძელებს დემოკრატიულ მოდერნიზაციას.

ამ ფუნდამენტზე შეიქმნება საერთოეროვნული პლატფორმა. მის განსახორციელებლად საჭიროა ჩვენს პარტნიორებთან კოორდინირებული ნაბიჯების დასახვა. ამისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმის გამართვა.

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია 2008-ში, უკრაინის ომი 2014-ში, დნესტრისპირელი სეპარატისტების მხარდაჭერა სხვა არაფერია, თუ არა კრემლის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალისმიერი პოლიტიკის დანერგვა და საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას „დასჯა“ მათი ევროპული არჩევანის გამო...

დღეს ჩვენი ამოცანა რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების სფეროების“ კონფრონტაციული პარადიგმის მიღმა დარჩენაა. საქართველო ესწრაფის რუსეთთან თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობას; ჩვენი პარტნიორები უნდა ხედავდნენ, რომ ცდას არ ვაკლებთ რუსეთთან ურთიერთობების განსამუხტავად და ამ ძალისხმევაში უფრო მეტი საერთაშორისო დახმარება გვესაჭიროება.

ამიტომ, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცალკეულ კრიზისებზე მსჯელობა საკმარისი არაა; საჭიროა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თავისუფალი არჩევანის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაუვნებელყოფა. ევროპული უსაფრთხოების განახლებულ არქიტექტურაზე მსჯელობისას სრულადაა გასათვალისწინებელი ნატოს არაწევრი ევროპული სახელმწიფოების უსაფრთხოების პრობლემატიკა.

რუსეთის მიერ გლობალური მასშტაბით გაშლილი პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური კამპანიის ერთ-ერთი ობიექტი საქართველოცაა. რუსული „რბილი ძალის“ ამოცანა დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია და საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმაა. ამაში იგი ადგილობრივი ანტიდასავლური ძალების კონგლომერატს იყენებს. ამ შემოტევის შესაჩერებლად აუცილებელია ქვეყნის შიგნით პროდასავლური დღის წესრიგის კონსოლიდაცია და კოორდინირებული მუშაობა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან.

საქართველოს სერიოზული წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ჩვენ ჩართულნი ვართ ნატოსა და ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში. მაგრამ როგორც კიდევ არაწევრი სახელმწიფო, სრულფასოვნად ვერ ვსარგებლობთ დაცულობის ევროატლანტიკური სისტემით. ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში, პარტნიორებისგან მზარდ ყურადღებას ვითხოვთ.

აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის მომავალი სამიტი ჩვენთვის მხოლოდ ანგარიშგების ღონისძიება როდია; საქართველოს სჭირდება კონკრეტული შედეგები, რაც მკაფიოდ გამოკვეთს ქვეყნის ევროპულ პერსპექტივებს, მოსახლეობისათვის ხელშესახებს გახდის ევროინტეგრაციის სიკეთეებს.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საქართველო აფასებს იმ მხარდაჭერას, რომელსაც მუდმივად ვგრძნობთ ჩვენი ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის, დემოკრატიული განვითრების, ეკონომიკური წინსვლის, უსაფრთხოების, თავდაცვისა და არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით. ჩვენი ურთიერთობების გაღრმავება საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია ჯერაც აუმოქმედებლია.

უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირის და აშშ-ის როლის გაზრდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მოველით, რომ ისინი გააგრძელებენ ჩვენ პოლიტიკურ მხარდაჭერას, რათა:

– შემცირდეს საფრთხეები, რომლებიც მომდინარეობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარებიდან;

– მოხდეს კოორდინირებული და ადეკვატური რეაგირება ნებისმიერ ზეწოლაზე რუსეთის მხრიდან.

გზად – მომავლისკენ!

საერთაშორისო თანამშრომლობის სტრუქტურებში ჩვენი პოზიციების გაძლიერება ახალი ფორმატების მეშვეობითაა შესაძლებელი. დღეისათვის საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მსგავსი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე არიან; საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გადადგა ნაბიჯები ჩვენს ქვეყნებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხარისხის ასამაღლებლად. საჭიროა ამ პროცესის ინტენსიფიკაცია.

ტერორიზმის ახალი ნაირსახეობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და იქ გაჩაღებული ომი სერიოზული გამოწვევაა ჩვენთვის – ახლო აღმოსავლეთის მოვლენები ხომ უშუალოდ აისახება უსაფრთხოების გარემოზე კავკასიაშიც. შემაშფოთებელია, რომ საქართველოს მოქალაქეები იბრძვიან ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში. საჭიროა პრევენციული ზომების გატარება და, ზოგადად, უსაფრთხოების სექტორის გაძლიერება. ამასთან, რაკიღა საფრთხეები და რისკები მსგავსი და საერთოა, აუცილებელია პარტნიორ-სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავებაც.

თავის მხრივ, საქართველო აგრძელებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში – გასული წლის მიწურულს ჩემი წინადადებით პარლამენტმა დაადასტურა საქართველოს მონაწილეობა ავღანეთის „გადამწყვეტი დახმარების მისიაში“.

საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდაა. ამას ემსახურება პერსონალის მართვის სისტემის განვითარება, მართვისა და კონტროლის გაუმჯობესება, განათლებისა და წვრთნის სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა და თავდაცვითი შეიარაღების განახლება.

თავდაცვის ახალმა მინისტრმა სამხედრო უწყებაში დაგეგმილი რეფორმები წარმოადგინა. ზემოთ უკვე ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, უნდა აღინიშნოს ინსტიტუციური რეფორმები, როგორც თავდაცვის სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე თავდაცვის ერთიანი საფინანსო პოლიტიკის შემუშავების სფეროში. ასევე პროფესიულ სამსახურზე ეტაპობრივად გადასვლის გეგმა, რეზერვისა და მობილიზაციის ახალი სისტემის შექმნა, თავდაცვითი შეიარაღების განახლება, სამხედრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ნატოსთან თანამშრომლობისა და თავსებადობის განმტკიცება, რასაც სათანადო საფინანსო რესურსი ესაჭიროება.

მე ამაყი ვარ იმით, რომ დღეს ჩვენი შეიარაღებული ძალების 7% ქალებითაა დაკომპლექტებული. თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქალების და მამაკაცების თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციას თავდაცვის უწყებაში.

2014-2015 წლებში ჩვენმა დანაყოფმა ღირსეულად მოიხადა მხედრული ვალი ცენტრალურ აფრიკაში; საქართველოს შეიარაღებული ძალების ასეულმა წარმატებით გაიარა ნატოს შეფასებისა და სერტიფიცირების პროცესი და 2015 წლის იანვრიდან ჩაერთო ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF 2015); მეორე ასეული ამჟამად გადის შეფასების პროცესს. ცამეტი ათასმა ქართველმა ჯარისკაცმა გამოიარა ავღანეთის მძიმე სკოლა.

გასული წლის ერთ-ერთი საეტაპო მოვლენა იყო უელსის ნატოს სამიტის გადაწყვეტილება ღონისძიებათა არსებითი პაკეტის მონიჭების შესახებ. იგი მიზნად ისახავს საქართველოს მომზადებას ნატოში გასაწევრიანებლად და ქვეყნის თავდაცვითი შეიარაღებების შესაძლებლობების გაძლიერებას. პაკეტის იმპლემენტაციის შედეგად ნატო უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი საქართველოში, ხოლო საქართველო უფრო მეტად ინტეგრირებული ალიანსში.

არსებითი პაკეტის ფარგლებში საქართველოში უნდა ამოქმედდეს ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი, რომლის დანიშნულებაა საქართველოს, პარტნიორი და ნატოს წევრი ქვეყნების ჯარისკაცთა ერთობლივი წვრთნები. ამასთან, კვლავ აღვნიშნავ, რომ საქართველო ატარებს მშვიდობისმოყვარე, კეთილმეზობლურ პოლიტიკას, ხოლო ცენტრის შექმნა, ისევე, როგორც ზოგადად ნატოსთან ჩვენი დაახლოება, არავის წინააღმდეგ არაა მიმართული და ემსახურება უსაფრთხოების განმტკიცებას რეგიონში. ეს კი ყველა ჩვენი მეზობლის ინტერესებში უნდა იყოს.

და კიდევ: ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროულად და ეფექტიანად განხორციელება არა მხოლოდ ერთი სამინისტროს საქმე, არამედ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის პასუხისმგებლობაა. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციით მონიჭებული უფლებამოსილებით, ორჯერ მივმართე მთავრობას და ვითხოვე მთავრობის სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვა. დღემდე მთავრობიდან არანაირი პასუხი არ მიმიღია.

ნატოს უელსის სამიტის სხვა მიღწევები გახლდათ პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივაში და გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუფში საქართველოს მიწვევა. ეს სტატუსი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს, ადრეულ ეტაპზე ჩაერთოს ნატოს ოპერაციების დაგეგმვის პროცესში, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ნატოს წვრთნებში, წვლილი შეიტანოს ალიანსის სტრატეგიულ განხილვებში. პაკეტით გათვალისწინებულია ნატოს სტანდარტების ლოჯისტიკური ცენტრისა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის შექმნა.

გამართულად მოქმედებს საქართველოსა და ალიანსს შორის თანამშრომლობის ისეთი მექანიზმებიც, როგორიცაა წლიური სამოქმედო პროგრამა და ნატო-საქართველოს კომისია, სადაც აღინიშნა გასულ წელს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი. ეს ყველაფერი, უპირველესად, ჩვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცების კვალიფიკაციისა და თავდადების შედეგია.

დიახ, ამ მიღწევათა უკან დგანან ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები. დღეს საქართველოს მთელ მსოფლიოში სცემენ პატივს მათი სიმამაცის, შეუპოვრობისა და სიმტკიცის გამო. სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან ამას განსაკუთრებული დაფასება ესაჭიროება. უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო მისიებში მონაწილე ჩვენი სამხედროებიდან 435 დაიჭრა, ხოლო 29 აღარ დაბრუნებია სახლებსა და ოჯახებს. მათ სახელებს საუკუნოდ გაიხსენებენ ქვეყნისა და თავისუფლებისათვის თავდადებულ მამულიშვილებთან ერთად. მოწიწებით ვიხრი ქედს სამშობლოსათვის დაცემული ყველა გმირის ნათელი ხსოვნის წინაშე.

საქართველოს ხელისუფლება ინტენსიურად აგრძელებს სამხედრო მოსამსახურეთა, დაჭრილ მეომართა და საომარი მოქმედებისას გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების მხარდაჭერას: ფინანსური დახმარება გაეწია დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს, გაიზარდა დაშავებული ჯარისკაცების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების დაფინანსება. საჭიროა, სახელმწიფომ უზრუნველყოს ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები ღირსეული პენსიით. აქვე მინდა, შეგახსენოთ, რომ ჩვენს ვეტერანთა მდგომარეობა გასაუმჯობესებელია და ეს მართლაც სახელმწიფოებრივი საქმეა.

დაცული მოქალაქე – დაცული საზოგადოება – დაცული სახელმწიფო – ეს უნდა იყოს ნებისმიერი ხელისუფლების სახელმძღვანელო პრინციპი და ყველამ ერთად ცდა არ უნდა დავაკლოთ მის ხორცშესხმას.

შარშან პარლამენტმა გაიზიარა ჩემი ხედვა და ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა გაფართოვდა - მთავრობასთან ერთად მასში ახლა პარლამენტიცაა სათანადოდ წარმოდგენილი. ამდენად, ეროვნული უშიშროების საბჭოს სახით პრეზიდენტთან ჩამოყალიბდა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის, უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შემმუშავებელი ინსტიტუტი. სამწუხაროა, რომ ამ კონსტიტუციური ორგანოს სისტემატური მუშაობა ხელოვნური ხასიათის დაბრკოლებებს აწყდება. ეს ამცირებს შესაბამის სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტების კოორდინაციის ხარისხს და გაუგებრობას იწვევს ჩვენს პარტნიორებში.

დღეს, როდესაც დღის წესრიგში დგას ასოცირების შეთანხმების რატიფიკაცია, პარლამენტთაშორის კავშირებს და თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებს შეუძლია ამ პროცესის კიდევ უფრო დაჩქარება; იგივე შეიძლება ითქვას ნატოსთან დაკავშირებითაც. ჩვენ გვესაჭიროება მეტი თანამშრომლობა იმ ქვეყნების ხელისუფლებებთან, რომლებიც ეჭვებს გამოთქვამენ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან მიმართებით. ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო: ყველა პოლიტიკური ძალა აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს, რომ საპარლამენტო ასამბლეების ტრიბუნები მაქსიმალურად მოხმარდეს ჩვენი ქვეყნის წარმოჩენას და საქართველოს თემატიკის აქტიურად განხილვას საერთაშორისო ფორუმებზე.

ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, არაღიარების პოლიტიკის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის, დევნილთა დაბრუნების საკითხებში. სწორედ ამის შედეგია დევნილთა თემაზე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მხარდამჭერთა რიცხვის ზრდა. არაღიარების პოლიტიკა უნდა გაღრმავდეს და გაძლიერდეს იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ არა აქვს.

მინდა ასევე ხაზგასმით აღვნიშნო საგარეო საქმეთა სამინისტროს როლიც. მას კანონმდებლობით ევალება სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების წარმართვა. ამ ერთობ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმიანობის განხორციელებას ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი. არ უნდა დავუშვათ ფუნქციათა დუბლირება ან გაფანტვა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და ინსტიტუტებში.

მაგალითად: ახლადშექმნილი საგარეო პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭო ახდენს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთავრობის ფუნქციათა ნაწილობრივ დუბლირებას; რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების სპეციალური წარმომადგენლის მანდატი კი ზუსტად არ არის განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი აქტით. ასევე აუცილებელია მის ქმედებათა სრული ინტეგრაცია ერთიან საგარეო პოლიტიკაში საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციის გზით.

ქვეყნის განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ჩვენი მოქალაქენი არიან. მათი ნიჭი და შესაძლებლობები კი მხოლოდ დაცულობისა და თავისუფლების პირობებში ვლინდება. ამიტომ, უსაფრთხოებასთან ერთად, უპირველეს ამოცანად რჩება დემოკრატიის გაძლიერება და ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება. ხშირად გვესმის, რომ ამ მხრივ ვითარება გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს, და ეს სიმართლეა. მაგრამ, ვფიქრობ, დროა მომავალზე ვიფიქროთ, ვილაპარაკოთ. უნდა გამოვიდეთ იმ მოთხოვნებიდან, რასაც ჩვენი მიზანი – თანამედროვე ევროპული სახელმწიფო გვიყენებს. დემოკრატიის გაძლიერება მუდმივი პროცესია. არასოდეს დადგება დღე, როდესაც შეგვეძლება კმაყოფილებით ვთქვათ, რომ სასურველს მივაღწიეთ. 2014 წელს ჩვენ მივიღეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რაც ქმედებებისაკენ გვიბიძგებს. მაგრამ გავაკეთეთ კი დღეისთვის ყველაფერი, რაც ჩვენს ხელთ იყო?

ამ მხრივ განსაკუთრებით მრავლისმეტყველია ე.წ. ფარული მიყურადების შესახებ განვითარებული მოვლენები. სწორედ ამ საკითხზე მე პირველად გამოვიყენე ვეტოს უფლება. გასულ წლებში ფარული მოსმენებისა და მის საფუძველზე დევნის მწვავე შედეგები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საკუთარ თავზე იწვნია. არავის სურს მსგავსი ვითარების თუნდაც ერთი დღით გაგრძელება. მაშ, რა ინტერესმა გააერთიანა უმცირესობა და უმრავლესობა პარლამენტში კანონის ჩემს მიერ წარმოდგენილი ვერსიის ჩასაგდებად და შესაბამისად ისეთი კანონის ძალაში შესასვლელად, რომელიც არ იმსახურებს არც საზოგადოების ნდობას და თან არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს?

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასამართლოს გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

თუმცა ცვლილებათა მიუხედავად, ნათელია, რომ სასამართლოს რეფორმირებას მეტი სტიმული სჭირდება. უნდა გაძლიერდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა, გაიზარდოს საზოგადოების წინაშე სასამართლოს ანგარიშვალდებულება და მართლმსაჯულების ხარისხი. არც ქვეყნის შიგნით და არც მის გარეთ არ უნდა დარჩეს ადგილი ეჭვისათვის, რომ სამართალწარმოება შეიძლება ლეგიტიმურის გარდა რაიმე სხვა მიზნით ხორციელდებოდეს.

ნდობა გაიზრდება მაშინ, როდესაც გაიზრდება სამართლიანი გადაწყვეტილებების რიცხვი. მსგავსი გადაწყვეტილებები კი პრინციპულმა, სამართლიანმა, კვალიფიციურმა, ნებისმიერი ზეწოლისგან თავისუფალმა მოსამართლეებმა უნდა მიიღონ. ასე რომ, სასამართლოს დამოუკიდებლობის მთავარი ღერძი - მოსამართლეა!

სწორედ ხსენებული კრიტერიუმებით შერჩეული უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატები წარმოგიდგინეთ გასულ წელს.

აქვე მინდა, შევეხო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის ჩემს მიერ შემოთავაზებულ ფორმას: ცხადია, პროცესში საზოგადოების ფართო მონაწილეობა მიზნად ისახავდა ღირსეულთა შორის საუკეთესო კანდიდატის შერჩევას, მაგრამ ამავე დროს მას ჰქონდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანიც – სასამართლოსადმი ნდობის ამაღლება. მიმაჩნია, რომ საზოგადოების ჩართულობით შერჩეული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფრო მონდომებით აღადგენს სასამართლოსადმი ნდობას. მჯერა, რომ ქალბატონი ნინო დაუღალავი შრომით ახალ ფურცელს გადაშლის ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში.

იხ. 10 გვ.

გზად – მომავლისკენ!

(მეცხრე გვერდიდან)

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სასამართლოსადმი პატივისცემა არა მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლეთა, არამედ თითოეული ჩვენგანის საზრუნავია. სამწუხაროდ, ამის მაგალითად ვერ ჩაითვლება საყდრისის შემთხვევა. ის, რომ საყდრისის აფეთქება სასამართლო გადაწყვეტილებამდე მოხდა, სასამართლოსადმი უპატივცემულობაზე მეტყველებს. ეს პრეცედენტი დაფიქრებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისკენ მოგვიწოდებს.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდე პროკურატურის რეფორმირების საკითხზე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიხსნას კითხვები პროკურატურის პოლიტიზაციასთან დაკავშირებით. როგორ უნდა გაკეთდეს ეს? მინდა გითხრათ, რომ როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, პროკურატურასთან დაკავშირებითაც სწორი პასუხების მოძიება შეიძლება კოალიცია ,,ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ სამთავრობო პროგრამაში. საჭირო იყო მათი დროული განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მოხსნას პოლიტიზაციასთან დაკავშირებული კითხვები.

აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის განხორციელება. კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამით საზოგადოებას შევპირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაქმნას საშინაო საქმეთა სამინისტროდ – სამოქალაქო სამსახურად, მისგან სახელმწიფო უშიშროების სამსახურების გამოყოფას და მათი საქმიანობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. აქაც იგივეს ვიტყვი – საჭირო იყო ამ ნაბიჯების დროულად გადადგმა.

უნდა განისაზღვროს პროკურატურის ინსტიტუციური სტატუსი, მისი ადგილი სახელისუფლებო სტრუქტურაში და ამის შემდეგ, უზრუნველყოფილ იქნას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პირობები.

ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შედეგების მისაღწევად რეფორმას თან უნდა ახლდეს სწორი საკადრო პოლიტიკა. უმწიკვლო წარსულისა და მაღალი პროფესიული უნარების მქონე ადამიანების დანიშვნა რიგით პროკურორებად თუ მათ ხელძღვანელებად. სწორედ მაღალპროფესიონალი პროკურორების მიერ გამოძიებული საქმეები დროულად და კვალიფიციურად უნდა იგზავნებოდეს სასამართლოში რათა გამოირიცხოს კითხვები თვეობით გაწელილი საგამოძიებო პროცესების შესახებ.

აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის განხორციელება. კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამით საზოგადოებას შევპირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაქმნას საშინაო საქმეთა სამინისტროდ – სამოქალაქო სამსახურად, მისგან სახელმწიფო უშიშროების სამსახურების გამოყოფას და მათი საქმიანობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. აქაც იგივეს ვიტყვი – საჭირო იყო ამ ნაბიჯების დროულად გადადგმა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს პროცესი აღარ გაჭიანურდება და გამჭვირვალობის, საზოგადოებრივი კონტროლის პირობებში წარიმართება.

ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია ის, თუ როგორ ვექცევით თავისუფლებააღკვეთილ მოქალაქეებს. დაუშვებელია, რომ თავისუფლების შეზღუდვას თან ახლდეს ღირსების შემლახველი, დამამცირებელი მოპყრობა, ძალადობა და წამება. უახლოესი წარსულის გამოცდილება, „ნულოვანი ტოლერანტობის“ იდეოლოგიის მძიმე შედეგები, პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობა. ეს წარსული არასდროს არ უნდს განმეორდეს. ამდენად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიმაჩნია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება, მისი აღჭურვა კონტროლის განხორციელებისა და რეაგირების მეტი, ეფექტური მექანიზმები.

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია. უმცირესობის უფლებათა დაცვა თითოეული სახელმწიფო მოხელის პირდაპირი და უპირობო კონსტიტუციური ვალდებულებაა, რომელიც ჩვენი საამაყო მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული ტრადიციით არის გამყარებული. სახელმწიფო არ შეიწყნარებს უფლებათა ხელყოფის უმცირეს გამოვლინებასაც კი!

მსურს, გავიხსენო ქალბატონ ნინო გოგუაძის სიტყვები მისი შთამბეჭდავი საპარლამენტო გამოსვლიდან: „ჩვენ, კანონმდებლებს, ყველა ფეხის ნაბიჯზე უნდა გვახსოვდეს, რომ თუ სახელმწიფოში შესაძლებელი გახდა რაიმე ჯგუფის, რაიმე უმცირესობის უფლებების დარღვევა, მაშინ ასეთ სახელმწიფოში შესაძლებელი, დასაშვები და მეტიც, გარდაუვალი გახდება მთავარი უმცირესობის უფლებების დარღვევა და ეს მთავარი უმცირესობა კი არის ერთი ცალკეული ადამიანი, ანუ ყოველი ჩვენგანი. ყოველი ჩვენგანი არის ერთი ადამიანი და ის უკიდურეს უმცირესობაშია ყოველთვის, რომელ უმრავლესობასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ მომენტში“.

შესაბამისად, ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ დისკრიმინაციის წარმომშობ მიზეზთა აღმოფხვრა. პრობლემა ხომ არა მხოლოდ უშუალოდ ძალადობაა, არამედ აზროვნების ის ფორმა, რომლითაც ხდება ადამიანთა დისკრედიტაცია და სტიგმატიზება პოლიტიკურ, რელიგიურ თუ სხვა შეხედულებათა, სექსუალური ორიენტაციის, ავადმყოფობის, შეზღუდულ შესაძლებლობათა თუ ქრომოსომების რაოდენობის გამოც კი.

მსურს შევჩერდე კიდევ ერთ მტკივნეულ პრობლემაზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებული სიმწვავით შეგვეხო. მხედველობაში მაქვს 2014 წელს შემაშფოთებელი მასშტაბითა და სისასტიკით გამოვლენილი ძალადობა ქალთა წინააღმდეგ.

ჩვენ, ყველამ ერთად, ქმედითი ნაბიჯები უნდა გადავდგათ რათა დავამარცხოთ პრობლემა, რომელიც შეურაცხყოფს ჩვენს წარსულს და ტრადიციებს, საფრთხეს უქმნის ჩვენს თანამედროვეობას და მომავალს.

ვფიქრობ, ამ მიზნის მისაღწევად არსებითი როლი უნდა ითამაშოს ქალთა როლის წინ წამოწევამ განსაკუთრებით კი პოლიტიკაში მათი მონაწილეობის გაზრდამ. სწორედ ამ სულისკვეთებით, გამოვაცხადე 2015 წელი ქალთა წლად.

ამ სულისკვეთებითვე აქ, ამ დარბაზში, სადაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის - ქალთა წარმომადგენლობა გაუმართლებლად დაბალია, ვაცხადებ, რომ ერთმნიშვნელოვნად ვუჭერ მხარს კვოტირების სისტემის დანერგვას საარჩევნო კანონმდებლობაში. ამ იდეის მხარდაჭერისკენ მოგიწოდებთ ყველას.

შეხედულებას, თითქოს საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინება, ანარქიისკენ მივყავართ. საზოგადოება ხელისუფლების მაკონტროლებელია, მაგრამ მართვის ტვირთი სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მათ მესვეურებზეა. ამ ინსტიტუტების მოშლით მივიღებთ ქაოსს. ასეთ ვითარებას არ ეყოლება მოგებული მხარე არც ხელისუფლებაში, არც ოპოზიციაში და არც საზოგადოებაში. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ საკუთარი არჩევანისთვის, ვემსახუროთ საქართველოს.

მსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ პრობლემაზე, რომელიც ჩვენი მომავლის სახელით ითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას. ესაა ბავშვთა სიღარიბე. იუნისეფის მონაცემებით დღეს ჩვენ ქვეყანაში დაახლოებით 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ვიცი, რომ საბიუჯეტო რესურსები ყოველთვის შეზღუდულია, მაგრამ მოგიწოდებთ – კარგად დავფიქრდეთ პრიორიტეტებზე. რა თქმა უნდა პრობლემა ფართოა და ყველას გვეხება, მაგრამ განსაკუთრებით მივმართავ ადგილობრივ ხელისუფლებებს - ბაგა-ბაღების დაფინანსება თუ გადაუდებელი დახმარება მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვებისთვის სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტების საქმეა.

ყველა ვთანხმდებით, რომ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში აქტიური სამოქალაქო საზოგადოება გადამწყვეტ როლს ასრულებს და აძლიერებს სახელმწიფოს. ჩვენ ველით რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ხელისუფლებასთან დიალოგით, პრობლემების გადაწყვეტის გზების შეთავაზებით, დასაბუთებული კრიტიკით ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში კიდევ უფრო აქტიურად ჩაებმებიან.

ამასობაში, საზოგადოების მდგრადობისათვის არსებითია სტაბილური პოლიტიკური სისტემა, რომელიც პასუხობს ხალხის ინტერესებს, უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების გაძლიერებას. სხვაგვარად – საჭიროა ევროპული ტიპის პოლიტიკური სისტემა. ასეთი სისტემის ფორმირებისათვის კი საკვანძოა ჩვენში სწორი საარჩევნო მოდელის დანერგვა. არსებული სისტემის ხარვეზებზე საუბარია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში. სხვა ცვლილებებთან ერთად, საერთო აზრით, პრინციპულია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შეცვლა.

იმისათვის, რომ ეს შედეგი უკვე მომავალ არჩევნებზე მივიღოთ, აუცილებელია ცვლილებების ინიცირება დაუყოვნებლივ, უკვე პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

სწორედ სახელმწიფო ორგანოთა გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა და წარმატება.

ზემოთ არაერთხელ მივანიშნე მართვაში და ინსტიტუციების მუშაობაში არსებულ პრობლემებზე.

სახელმწიფოს მართვა უნდა ხორციელდებოდეს კომპეტენტური სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ. სამწუხაროდ, ჩამოყალიბებული პრაქტიკის პირობებში დღეს სახეზე გვაქვს ორ ათეულამდე საბჭო და სტრუქტურა, რომლებიც კანონმდებლობით უკვე არსებული ორგანოების ფუნქციების დუბლირებას ახდენენ და ხშირ შემთხვევაში მათ ზემდგომებად გვევლინებიან. მაგალითად, მინისტრთა კაბინეტში არსებობს შესაბამისი მიმართულების სამინიტრო. იმავდროულად იქმნება პრემიერს დაქვემდებარებული იგივე მიმართულების საბჭო, სადაც დარგის მინისტრი რიგით წევრად გვევლინება. ეს წარმოშობს კითხვას, თუ ვინ არის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი პირი. მსგავსი შემთხვევები სამწუხაროდ, ცოტა არ არის. გასაკეთებელი საქმის სხვადასხვა ინსტანციებში გაფანტვა, გაუმართლებლად დიდი რაოდენობა სხვადასხვაგარი კომისიებისა, საბჭოებისა, დუბლირებული ორგანოებისა, პასუხისმგებელ პირთა განუსაზღვრელობა აჩენს დაბნეულობას ბიზნეს-წრეებში, ინვესტორებში, საერთაშორისო პარტნიორებსა და საზოგადოებაში. საბოლოოდ კი ეს განაპირობებს ინსტიტუციების მდგრადობის დასუსტებას, მართვის არაეფექტურობას, პროცესების გაჭიანურებას.

დემოკრატიული საზოგადოების სიძლიერე ეფუძნება პიროვნების ცენტრალურ როლს. სახელმწიფო ინსტიტუტთა ეფექტიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საჯარო მოხელეთა მეტ თავისუფლებასა და შესაბამისად, მეტ მაღალ პასუხისმგებლობას.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ რომელ დარგში ვინაა რეალურად გადაწყვეტილების მიმღები და ვისი დამსახურებაა წარმატება ან ვინაა მარცხზე პასუხისმგებელი.

შესაბამისად, უნდა ვიზრუნოთ ისეთი მართვის სისტემის ფორმირებაზე, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთს პასუხისმგებელ პირს და არა უპასუხისმგებლობას, საქმის კეთებაზე ორიენტირებულ მოხელეს და არა უინიციატივობას.

შეხედულებას, თითქოს საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინება, ანარქიისკენ მივყავართ. საზოგადოება ხელისუფლების მაკონტროლებელია, მაგრამ მართვის ტვირთი სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მათ მესვეურებზეა. ამ ინსტიტუტების მოშლით მივიღებთ ქაოსს. ასეთ ვითარებას არ ეყოლება მოგებული მხარე არც ხელისუფლებაში, არც ოპოზიციაში და არც საზოგადოებაში. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ საკუთარი არჩევანისთვის, ვემსახუროთ საქართველოს. და ვის წინაშე გვაკისრია უმთავრესი პასუხისმგებლობა? არავინ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი შრომის დამკვეთად და მის შემფასებლად, გარდა ხალხისა.

და ბოლოს, მსურს სწორედ ხალხს – ჩემი დღევანდელი გამოსვლისა და ყოველდღიური საქმიანობის უმთავრეს ადრესატს მივმართო.

რასაკვირველია, ხელისუფლება უმთავრესია, ვისაც თითოეული ჩვენგანის განვითარების პირობათა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკისრება. მაგრამ ეს ყველას პასუხისმგებლობაა – სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობამ შექმნა ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები. ჩვენც ეს გზა ერთად გვაქვს გასავლელი.

მსურს, ხაზგასმით აღვნიშნო გარემოება, რომელიც უდიდეს მიღწევად მიმაჩნია – დღეს ხელისუფლება ხალხს უსმენს. საზოგადოებრივი აზრი ხშირად გადამწყვეტია პოლიტიკურ პროცესებში და ეს არაერთხელ დადასტურებულა. ეს არის შანსი, რომ მოქალაქეები უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის ცხოვრებაში. 2012 წელს ჩვენ შევქმენით უფრო თავისუფალი ქართული საზოგადოება. ახლა ჩვენი საქმეა, რას მოვახმართ გამოთავისუფლებულ ენერგიას. რით შევავსებთ თავისუფალ სივრცეს – სიძულვილით, აგრესიით, წარსულის ტკივილით, თუ მომავლის იმედითა და პოზიტიური ძალისხმევით. როგორ მოიქცეოდნენ ასეთ შემთხვევაში ჩვენი დიდი წინაპრები? როგორი ქცევისკენ მოგვიწოდებენ მომავალი თაობები?

ბოლო ათწლეულებში ხალხის ნება ძირითადად ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტში, ან მხოლოდ კრიტიკაში გამოიხატებოდა. დროა, შევუდგეთ ჩვენი უფლებების პოზიტიურად გამოყენებას, სასურველი რეალობის არა მხოლოდ მოთხოვნას, არამედ – შექმნას. საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იქცეს გადაწყვეტილების მიმღებად. სხვა გზა არ გვაქვს – უნდა ვენდოთ საკუთარ თავს და თავად მოვკიდოთ ხელი ჩვენი კეთილდღეობისა და განვითარების საქმეს!

ადამიანები უნდა გაერთიანდნენ, უნდა იბრძოლონ და იშრომონ საკუთარი მიზნების მისაღწევად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. აქტიურად უნდა ჩაერთონ ისეთი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მათ ინტერესებშია - ბიზნესში, ადგილობრივ მმართველობაში, ხელოვნებასა თუ პარტიულ აქტივობაში.

ჩვენ გვაქვს უფლებაც და შესაძლებლობაც, გადავჭრათ უამრავი პრობლემა, ვაქციოთ რეალობად ერთიანი, მშვიდობიანი საქართველო, თავისუფლებისა და თვითრეალიზაციის სივრცე ჩვენი მოქალაქეებისთვის. საერთო სახლი ქართველების, აფხაზების, ოსების, ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის, მიმზიდველი ადგილი ყველა სტუმრისათვის.

სწორედ ასეთი საქართველოსკენ სწრაფვა წარმართავდა ჩვენ ისტორიას ათასწლეულების განმავლობაში.

ამ მიზანს ემსახურებოდა დღევანდელ დღეს, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თაოსნობით ჩატარებულ რეფერენდუმზე მთელი მსოფლიოსათვის თვალსაჩინოდ გამოხატული ქართველი ხალხის ურყევი ნება სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ვიცხოვროთ თანამედროვე დამოუკიდბელ სახელმწიფოში.

მაშინ ყველამ ერთად, აფხაზებთან და ოსებთან ერთად მკაფიოდ და ცალსახად განვაცხადეთ, რომ მიზნად ვისახავთ, გავხდეთ თანამედროვე დემოკრატიული თანამეგობრობის სრულფასოვანი და ღირსეული წევრი, დავიმკვიდროთ ის ადგილი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური კულტურის ერს სამართლიანად გვეკუთვნის.

ეს მიზანი არასოდეს დაგვიყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ. და როგორც საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მოქალაქეთა სახელით მკაფიოდ ვაცხადებ: არც არასდროს დადგება! დღესაც ამ მიზანს ვემსახურებით.

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

31 მარტი, 2015 წ.

ვინ ვართ, საიდან მოვდივართ?..

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ჰეროდოტეს მსოფლიო რუკის (ძვ.წ. 450 წ.) გეოგრაფიულ ცენტრში(!) საქართველოს სახელმწიფოა. მსოფლიო კი ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ქვეყნებით და ძირითადად უცნობი მიწებით შემოიფარგლება. ამ დროისთვის და ამ რუკაზე, კონტინენტური ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ დასტურდება – სიცარიელეა, თავისუფალი მიწებია. მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის დაამთავრეს ძველმა ბერძნებმა სამხრეთ ევროპის გამოკვლევა, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. 320 წელს აღმოაჩინეს დასავლეთ ევროპის სანაპირო. რომაელები კი ევროპის შესწავლას ძვ. წ. II საუკუნიდან იულიუს კეისრის ლაშქრობებით იწყებენ.

დღეს ამ კონტინენტზე ცხოვრობს 6 ენობრივი ოჯახის 209 ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განლაგებულია 49 სუვერენული სახელმწიფო, მათ შორის საქართველო, ოღონდ ამჯერად, ამ ცივილიზაციის ,,პერიფერიულ“ ზონაში.

მოხდა ისე, რომ ევროპული სიცარიელის – თავისუფალი მიწების აღმოჩენის შემდგომ, თითქმის უწყვეტი აღმავალი განვითარების შედეგად, ამ კონტინენტზე მსოფლიოში ყველაზე დაწინაურებული ქრისტიანული ცივილიზაცია შეიქმნა და ამით ევროპელებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირების პროცესზე. საქართველო კი ამ პროცესების მიღმა დარჩა.

მარტივად დასასმელი კითხვაა: ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გლობალურ სამყაროში, 7-8 ახალი, რეგიონული ცივილიზაციიდან, სად არის საქართველოს ადგილი?! ამ კითხვაზე პასუხისთვის, უნდა ვიცოდეთ – ვინ ვართ?!

ვინ ვართ?!

საქართველოში არ დამთავრებულა (შეიძლება არც დაწყებულა) სერიოზული განსჯა თემაზე – ვინ ვართ? რომელ ცივილიზაციას წარმოვადგენთ - დასავლურს (ევროპულს), თუ კავკასიურ-აზიურს? ან იქნებ სულაც მხოლოდ მართლმადიდებლურს (და არა ზოგადად ქრისტიანულს)? ქართულმა პოლიტოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ და კულტუროლოგიამ ამ თემისთვის ჯერ ვერ მოიცალა. სამეცნიერო ინსტიტუტები აზრისგან (ადამიანებისგან) დაიცალა, მეცნიერება დაგვიბერდა და დასუსტდა. ინტერნეტ ფორუმებზე კი საკითხის „სახალხო“, ემოციური განხილვა მიმდინარეობს. ჩვენს საზოგადოებას აინტერესებს – ვინ არის, რომელ ცივილიზაციას მიაკუთვნოს თავი, რომ შეძლოს დაწმენდილი გონებით სახელმწიფოს პოლიტიკური სხეულის შენება, წინსვლა და მსოფლიო ქაოსისგან თავის დაღწევა!!

ამ მხრივ, ჩვენს „დე ფაქტო“ საზღვრებში მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მიღებული (ევროასოციაცია), მაგრამ გეოპოლიტიკური, რეგიონული და კულტურული იდენტიფიკაცია კვლავ „სახალხო“ (საზოგადო) პრობლემად რჩება. ასეთ პირობებში საზოგადოება ვერც პოლიტიკურად, ვერც კულტურულად ჯანსაღ ორგანიზმად ვერ ჩაითვლება. ქვეყანას ხან გამსახურდიას, ხან შევარდნაძის, ხან სააკაშვილის სინდრომი თრგუნავს და აწვალებს, მთავარ პრობლემაზე ფიქრისთვის და საკუთარი თავის შეცნობისთვის კი ვერ იცლის.

ჩვენი ინტელექტუალური და კულტურული „მიძინების“ მიუხედავად, დასავლურმა ფილოსოფიურმა ჭვრეტამ საქართველოს თავად მიუჩინა ადგილი ცივილიზაციათა იერარქიაში და „განსაზღვრა“ მისი იდენტურობა ისე, რომ ჩვენს ისტორიულ, ეთნო-კულტურულ შრეებში არც ჩაუხედავს. ჩვენდა გასაოცრად, ეს მხოლოდ ერთი ფაქტორის – მართლმადიდებლური კულტურის ნიშნით მოხდა. ეს ნიშნავს, რომ დღეს მათთვის „სხვა“ – უცხო საზოგადოება ვართ. დასავლელ პოლიტოლოგთა კვლევით და ზოგადი შეფასებით, „მართლმადიდებელთა“, – როგორც „განსხვავებული“ კულტურული სამყაროს, – ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა, მუსლიმანურ სამყაროზე უკეთესია. მაგრამ, ფაქტია – ევროპულ კულტურაში, და ამ კულტურის შემქმნელ ქრისტიანულ ცივილიზაციაში, ჩვენი ადგილი ვერ მოინახა – ბურუსით მოცულ ზონაში ვართ. ასეთია ყველაზე პრაგმატული დასავლელი თეორეტიკოსების დასკვნა.

ჩემი აზრით, აქ არანაირი შეცდომა არ არის, არის მხოლოდ ზერელე შეფასება, გაუგებრობა და შეუცნობლობა, რადგან ქართული კულტურა, საზოგადოდ, უფრო ძველია, ვიდრე ევროპული. ევროპული კრიტერიუმები კი, ცხადია, მათ წინარე ისტორიულ კულტურას ვერ შეაფასებს! ეს ნიშნავს, რომ საქართველო კი არ ამოვარდა მისთვის ყველაზე ახლობელი სუბსტანციიდან – ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული შრიდან, არამედ დამოუკიდებლად არსებობდა, მათ მიღმა და მათზე ადრე. უბრალოდ, ამ კულტურის ცენტრიდან – პერიფერიაზე გადაინაცვლა, მაგრამ არ გამქრალა. ჩვენ „ცოტა ხნით“ დავიკარგეთ – რამდენიმე საუკუნე დასუსტებული და ფილოსოფიური აზრისგან დაცლილი ვიყავით. დღეს შედეგს ვიმკით.

ეპოქა და ცივილიზაციის ბალანსი იცვლება, ახალი ისტორია იწერება და ამ ახალ წიგნში ერთიანი საქართველო აუცილებლად ასომთავრულით უნდა ჩაიწეროს. ასეთია ახალი თაობის ფუნქცია და მათი საკონტროლო დავალება:

საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში

ქვეყანამ მოახერხოს და მოახდინოს პოლიტიკური და კულტურული იდენტიფიკაცია.

ზუსტი პასუხის მისაღებად (ვინ ვართ?) – ნაციონალური იდენტობის სფეროში მსოფლიოს თეორიულ კვლევებს უნდა ვიცნობდეთ და ამ კვლევებში ვმონაწილეობდეთ!!

ნაციონალური იდენტობის ბუნება, ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიოში კარგად შესწავლილი თემაა. მაგრამ, ამ სფეროში მკვლევართა ინტერესი გააძლიერა ნაციონალიზმის აღზევებამ, განსაკუთრებით კი ეთნიკური თვითშეგნების გამძაფრებამ, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე დასავლეთში. დღევანდელი ეპოქა ნაციონალიზმის გლობალური აფეთქების ეპოქაა. მოუმზადებელი, სუსტი სახელმწიფოები ამ აფეთქების მსხვერპლი ხდებიან – ასეთი სახელმწიფოები იშლება. და რას ვაკეთებთ ჩვენ?! არაფერს!!

სახელმწიფოს სისტემის შერყევა ნაციის ინტელექტუალური სიზარმაცის შედეგია. დღევანდელი ქაოსური ეპოქის მდინარებაში, როცა ეთნო-ნაციონალური იდენტობა დამანგრეველ ძალას იძენს, საქართველო უნიჩბო, უკომპასო და უსაჭო ნავივით, იღბალს მინდობილი მიცურავს. ჩვენი ნიჩაბი, კომპასი და საჭე კი აზროვნება და ინტელექტია, რაც ამ ეპოქის გამოწვევებთან სრულიად არაადეკვატური და მოუმზადებელი აღმოჩნდა. ერ-სახელმწიფოებთან მიმართებაში ენტონი დ. სმიტის ფრაზას თუ დავესესხებით – გადარჩენისთვის აუცილებელია „ხალხის მობილიზება საკუთარი კულტურისა და ისტორიის წიაღში“. ქართველმა ხალხმა ეს ვერ მოახერხა, რაც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ფაქტორია.

გლობალურ სამყაროში საქართველოს ადგილის განსაზღვრისას განსაკუთრებით აქტუალური ეროვნული და ეთნიკური თემაა – მისი მრავალფეროვნება, დინამიკა, ადაპტაციისა და თანაცხოვრების პოტენციალი, რაც ქართული (და ნებისმიერი) სახელმწიფოს საფუძვლებს ქმნის. ისტორიული მიმოხილვის კონტექსტში ეს საკითხი ჩვენთან მეტ-ნაკლებად გაანალიზებულია. მაგრამ, პრობლემის პოლიტიკური, ინტელექტუალური (ეთნოსაზოგადოების ელიტის კოლექტიური დამოკიდებულება) და კულტუროლოგიური ასპექტები, ვფიქრობ, მკვლევართა სიღრმისეული განსჯის მიღმაა დარჩენილი. თემის პოლიტიკური კონტექსტი კი სერიოზულ საკვლევ თემად საერთოდ არ განიხილება და არც არასდროს განხილულა. **ეთნო-ნაციონალიზმი ძირითადად კულტურული ფენომენია. ხოლო, პოლიტიკური იდენტობა – ნაციონალური იდენტობის, როგორც ისტორიული პროცესის დამამთავრებელი ეტაპია.** ჰოდა, ესაა ჩვენი მთავარი სისუსტე-ყურადღების მიღმა დარჩენილი პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური კვლევები, ნათელი - უდავო სურათის შექმნა, ამ სფეროში მსოფლიო სამეცნიერო აზროვნების შესწავლა და ა.შ. ჩვენ 20, შეიძლება 50 წლით დავაგვიანეთ. ამიტომ აღმოვჩნდით სუპარატიზმის ზვავის წინაშე სრულიად უმწეო მდგომარეობაში, და ვართ ასე – გაბრაზებული და გაოგნებული, ვერაფრის შეცვლას ვეღარ ვახერხებთ. **ჩვენ მხოლოდ საამაყო ისტორიის კვლევა-დაზეპირებით და „სადღეგრძელოებით“ გავერთეთ, პოლიტიკურ ანალიზს, ეთნო-კულტურულ კვლევებს კი საჭირო ყურადღება არ დავუთმეთ.**

მაგრამ, თუ ჩემი თაობა პრობლემის მიტინგებითა და ხმაურიანი პროტესტით გადაჭრას ცდილობდა, დღეს სურათი იცვლება. დღევანდელი თაობა მსოფლიოს ამ გამოწვევებს და შესაბამის ცოდნას საუკეთესო უნივერსიტეტებში ეუფლება. მათ უკვე თავისუფლად მიუწვდებათ ხელი ამ სფეროში მსოფლიოს გამოცდილებაზე და სპეციალურ ნაშრომებზე, რაც აქამდე ჩვენს გარეშე იწერებოდა. და იქნებ ასე მიტინგების ეპოქაც დასრულდეს, კვლევის და მიგნების ეპოქა დაიწყოს და მერე ეთნო-ნაციონალური დიალოგიც მოხერხდეს. ასე უფრო ეფექტიანად აღმოვაჩენთ ჩვენს საერთო ადგილს გლობალურ სამყაროში.

აფხაზთა, ქართველთა და ოვსთა ახალი თაობისთვის, საკუთარი პოლიტიკური იდენტობის გააზრებაში, მნიშვნელოვანი იქნება, მაგალითად, ენტონი დ. სმიტის შეგონება, ჯერ კიდევ 1990 წელს გამოცემული წიგნიდან – „ნაციონალური იდენტობა“, სადაც ვკითხულობთ: **„ნაციონალიზმი წარმოადგენს ყველაზე მძლავრად ფესვგადგმულ მითს იდენტობის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ ის სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. ნაციონალური იდენტობის მითებში პოლიტიკური ერთობის საფუძვლად, როგორც წესი, გვევლინება ტერიტორია ან წინაპრები (ან ორივე ერთად). ეს სხვადასხვაგვარობა ხშირად არასტაბილურობისა და კონფლიქტის წყაროს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ მათი უგულებელყოფა ხდება. ბევრი, ყველაზე მწვავე ეროვნებათაშორისი კონფლიქტი ნაციონალური იდენტობის ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნებისა და კონცეფციებისგან მომდინარეობს“.**

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს (ჩვენი ნაციონალური ეიფორიის ჟამს), ცნობილ მკვლევართა მიერ გაჟღერებული მსგავსი აზრებისა და მოწოდებების გაცნობიერება დიდი ხნის წინათ უნდა დაგვეწყო, რათა თავიდანვე გვეფიქრა კონფლიქტის განელებაზე და შეგვექმნა ნამდვილი ეროვნულ-პოლიტიკური ერთობა. მიზნის მისაღწევად და გზამკვლევად კი, მეცნიერული და ინტელექტუალური კაპიტალია საჭირო, რაც არ ჩანს. ვიმეორებ – **ქართულმა პოლიტოლოგიამ, ისტორიოგრაფიამ და კულტუროლოგიამ ამ თემისთვის ვერ მოიცალა. სამეცნიერო ინსტიტუტები კი ამასობაში აზრისგან, იდეებისგან და ადამიანებისგან დაიცალა. შედეგად, სრულ გაუგებრობაში ვართ.**

და ეს უმძაფრესი ნაციონალური (და პოლიტიკური) თემა, როგორც კვლევისა და სახელმწიფოებრივი ყურადღების საგანი, არც ერთ, – ყოფილ თუ არსებულ, – ხელისუფლებას არ აინტერესებს, რადგან საამისოდ ჩვენმა ქვეყანამ აკადემიურ სიმშვიდეს და სახელმწიფო სიმწიფეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.

იხ. 13 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

ორფოლოს საწვრთნელ პოლიგონზე საარტილერიო-საველე სწავლება დასრულდა

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სწავლების დასკვნით ფაზაზე საარტილერიო ბატალიონის ასეულმა საბრძოლო სროლები 3-30 ტიპის ქვემეხებიდან აწარმოა. სამიზნე მანძილი 6-დან 7 კილომეტრამდე მერყეობდა.

სამ ფაზად დაგეგმილი საარტილერიო მომზადების ამოცანას ასეულის შეფასება წარმოადგენდა. სწავლების მეორე ფაზა 17 მარტს დაიწყო და მასში 63 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

გეგმური საველე სწავლება საბრძოლო სროლებით მომავალშიც იგეგმება.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აპატურაი: საქართველო ნატოსგან ყველაზე დიდ მხარდაჭერას ღებულობს

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ალიანსის საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ

რუსეთის უკრაინაზე, მოლოდვასა და საქართველოზე ძლიერი ზემოქმედების ფონზე იმ მიზნით, რომ შეცვალოს ამ ქვეყნების მიერ არჩეული პოლიტიკური კურსი და დააბრუნოს ისინი მოსკოვის ორბიტაზე, თბილისი ნატოსგან თავისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დახმარებას ღებულობს. ამის შესახებ 30 მარტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა ონლაინ-ინტერვიუში, რომელიც მოაწყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ატლანტიკურმა საბჭომ“.

„ჩვენ, ნატოში, მიგვაჩნია, რომ სამივე ქვეყანა იმსახურებს დიდ მხარდაჭერას თავიანთი თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისთვის. მე ვიტყოდი, რომ ამ სამი ქვეყნიდან საქართველო ღებულობს ყველაზე დიდ მხარდაჭერას ნატოს მხრიდან თავდაცვის შესაძლებლობათა გაფართოების თვალსაზრისით. ამას გარდა, მე ვიტყოდი, რომ საქართველო სხვებზე მეტად სარგებლობს ამ შესაძლებლობებით“, — თქვა აპატურაიმ, როდესაც საქართველოს მცხოვრების შეკითხვას უპასუხებდა.

ნატოს ხელმძღვანელის სპეციალურმა წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ 2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე საქართველოს მიერ მიღებული საქართველო-ნატოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის ტემპი — „ძალიან კარგია“, და რომ ნატოს ექსპერტები ეხმარებიან საქართველოს თანამედროვე სასწავლო ცენტრის შექმნაში. აპატურაის სიტყვებით, შემოდგომაზე საქართველოს და ნატოს ერთობლივი სწავლება გაიმართება.

სპეციალურმა წარმომადგენელმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მთავრობის მოქმედებებს.

„ნატო ყოველთვის არ მოქმედებს სწრაფად, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სწორედ ასე იყო... მაგრამ საქართველოს მთავრობაც ჩქარობს და მოქმედებს მიზანდასახულად“, — ხაზგასმით აღნიშნა აპატურაიმ.

მან შეგვახსენა, რომ ნატო აღიარებს საქართველოს მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და მოუწოდა რუსეთს გამოიყვანოს თავისი ჯარები აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან.

„ჩვენ მივესალმებით ყველა ძალისხმევას — ჟენევაში მოლაპარაკებიდან ადამიანებს შორის კონტაქტებამდე — ამ სიტუაციის გადაწყვეტის მიზნით“, — დაწერა აპატურაიმ, როდესაც უპასუხებდა საქართველოს ერთ-ერთი მცხოვრების შეკითხვას.

„დიპლომატიური განცხადებები“

პარლამენტის დეპუტატი ოპოზიციური პარტიიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა „ქმნის დაბრკოლებებს“ ქვეყნის გზაზე ნატოსკენ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელთა განცხადებებს, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ხსნის იმით, რომ ნატოსთვის „დამახასიათებელია დიპლომატიური განცხადებების გაკეთება“. საჯაროდ ნატოს წარმომადგენლები არ ისაუბრებენ იმის შესახებ, რომ ინტეგრაციის პროცესში არის „პრობლემები“, მიაჩნია დარჩიაშვილს.

„იმ შემთხვევის გარდა, თუ ალიანსში არ გადაწყვეტენ, დაუსვან წერტილი საქართველოსთან დაახლოებას და, ბუნებრივია, ეს ყველაზე უარესი ვარიანტია, მაშინ ნატოს წარმომადგენლები საჯაროდ არ ისაუბრებენ პრობლემების შესახებ. თუმცა, მცირე მნიშვნელობა როდი აქვს იმას, თუ რა განცხადებები ისმის ევროპარლამენტის დეპუტატებისგან“, — თქვა დარჩიაშვილმა „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ სამთავრობო სტრუქტურაში დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლებული არიან „ბევრი პროფესიონალი“, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოს და ნატოს დაახლოებაზე. ამ ფონზე, აღნიშნა მან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ადამიანი, რომელიც წარსულში იყო პარტიაში, რომელიც გამოდიოდა საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის წინააღმდეგ.

„დღეს ეს ადამიანი პასუხისმგებელია ნატოსთან ურთიერთობისთვის. ეჭვი მეპარება, რომ მისი პრიორიტეტები შეცვლილიყო ასეთ მოკლე დროში“, — ხაზგასმით აღნიშნა დარჩიაშვილმა.

შექმნილ სიტუაციაში, ამტკიცებს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის წარმომადგენელი, ერთადერთი გამოსავალი, რაც ოპოზიციას რჩება, ეს არის ზემოქმედება ხელისუფლებაზე.

„თუ მეც ვილაპარაკებ პრობლემებზე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის ძლიერი მხარდაჭერის გათვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის მხრიდან, არის იმედი, რომ მთავრობა გახდება იძულებული — განახორციელოს ქართველი ხალხის არჩევანი“, — დაასკვნა პოლიტიკოსმა.

„ფრთხილი მიდგომა“

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდის პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილი ოპოზიციის განცხადებას ამჟამინდელი მთავრობის მისწრაფების შესახებ — შეცვალოს საქართველოს პოლიტიკური კურსი, გადაჭარბებულად მიიჩნევს. მისი აზრით, არ ღირს ეს განვიხილოთ შინაპოლიტიკური ბრძოლის კონტექსტში. იმის მტკიცებისთვის, რომ საქართველო უხვევს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზიდან, რეალური საფუძვლები არ არსებობს, მიაჩნია ექსპერტს. კრიტიკა ოპოზიციის მხრიდან უფრო მეტად შეეხება ტაქტიკას, რომელიც აირჩია მმართველმა კოალიციამ თავისი იმ საგარეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან.

„ტაქტიკური ნაბიჯები, რომლებსაც დგამს მმართველი კოალიცია, შეიძლება, სავსებით არ შეესაბამებოდეს იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით აქვთ ოპოზიციურ პარტიებს“, — აღნიშნა ექსპერტმა „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის კორესპონდენტთან საუბარში.

მისი აზრით, ოპოზიციას შეიძლება დაეთანხმო, კრიტიკა ხელისუფლების მისამართით რომ შეეხებოდეს მთავრობის მხოლოდ არასაკმარის აქტიურობას შეიარაღებული ძალების აგებაში, სამხედრო პროგრამების დაფინანსებაში, საქართველოს სამხედრო განვითარების საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმებაში. მაგრამ, როგორც პოლიტოლოგს მიაჩნია, მთავრობა, როგორც ჩანს, ითვალისწინებს რუსეთის ფაქტორს, თუმცა, არ აპირებს გადაუხვიოს წინა პოლიტიკური კურსიდან, მაგრამ ცდილობს იმოქმედოს უფრო ფრთხილად.

„რასაკვირველია, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიერ არჩეული ფრთხილი მიდგომა აყოვნებს საქართველოს მოძრაობის ტემპს ნატოსკენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის საგარეოპოლიტიკური გეგმები შეიცვალა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. საქართველო მიისწრაფვის ნატოსკენ, თუმცა, ფრთხილი ნაბიჯებით“, — დარწმუნებულია კახა გოგოლაშვილი.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ბოლო გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა კვლავინდებურად მხარს უჭერს კურსს ჩრდილოატლანტიკურ ინტეგრაციაზე. მაგალითად, თებერვალში შეკითხვაზე — „უჭერთ მხარს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში“ — გამოკითხულთა 78 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 15 პროცენტმა კი — უარყოფითად.

რესპონდენტების 85 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში, და მხოლოდ 9 პროცენტი გამოვიდა ქვეყნის ევროკავშირში წევრობის წინააღმდეგ.

გამოკითხვა 3-8 თებერვლის პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს ყველა რეგიონში, მასში მონაწილეობა ქვეყნის 1,5 ათასმა სრულწლოვანმა მოსახლეობამ მიიღო.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

გაეროს ეგიდით უკრაინის სასურსათო დახმარების პროგრამა სახსრების უკმარისობის გამო ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა

გაეროს მონაცემებით, სასურსათო დახმარება სჭირდება რეგიონის 80 ათას მცხოვრებს. მაგრამ 316 მილიონი დოლარიდან, რაც აუცილებელია ორგანიზაციისთვის, რომ გააგრძელოს მიწოდება, მიღებულია მხოლოდ 16 პროცენტი. სახსრების უკმარისობის გამო მიწოდება შეიძლება შემცირდეს, აცხადებენ გაეროში.

ევროპაში განგაშს ტეხენ: რუსეთი უნგრეთს 10 მილიარდ ევროდ „ყიდულობენ“

მოსკოვი დათანხმდა გამოუყოს უნგრეთს კრედიტი 10 მილიარდი ევროს ოდენობით ატომური ელექტროსადგურის „პაკშის“ გაფართოების დაფინანსების ფარგლებში. პროექტის ევროპელი კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ამ ნაბიჯს აშკარად პოლიტიკური მოტივები აქვს: კრემლი ევროკავშირის ერთ-ერთი მთავრობის განწყობილებას „ყიდულობს“.

ავსტრალიის გაფართოებული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შევიდა

ქვეყნის ხელისუფლებამ გასცა განკარგულება შეკვეცოს შეიარაღებისა და ნავთობგაზის მოწყობილობის ექსპორტი რუსეთში. რუსეთის სახელმწიფო ბანკებს ასევე აეკრძალათ გავიდნენ კაპიტალის ავსტრალიურ ბაზარზე. თავის კომპანიებს მთავრობამ აუკრძალა აწარმოოს ვაჭრობა ყირიმთან და მოახდინოს ნახევარკუნძულზე ინვესტირება.

ჩაძირული კრუიზული ლაინერით „კოსტა კონკორდიათი“ ნარკოტიკების დიდი პარტია გადაჰქონდათ

ხომალდის ავარიის შემდეგ კოკაინის პარტია, რომელიც იტალიის ერთ-ერთ მაფიოზურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა, მაინც ვერ აღმოაჩინეს. იტალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, „კოსტა კონკორდიას“ ყოფილი კაპიტანი ფრანჩესკო სკეტინო უდანაშაულოა ნარკოტიკების ტრანსპორტირებაში, ბორტზე ისინი გუნდის სხვა წევრებმა შეიტანეს.

საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში

(მეთერთმეტე გვერდიდან)

საით მივდივართ?!

ცნობილ ექსპერტ-თეორეტიკოსთა შეფასებით, მსოფლიო გლობალური ომისთვის ემზადება. და უნდა გავაკეთოთ არჩევანი: სად არის ჩვენი ადგილი?! ვიყოთ მარტო, სუვერენული (ნეიტრალური) ქვეყანა თუ ავირჩიოთ რეგიონული კავშირი - მსგავსი ან საერთო კულტურული ნიშნით?! ჩვენი მართლმადიდებელი „მეგობარი“ - რუსეთი, ქმნის გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას „ევრაზიული კავშირის“ სახით და ეს სწორედ „დიდი მზადების“ ეტაპია. ჩავიხედოთ მათ პროექტებში: **„ევრაზიული კავშირის მსგავსი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შექმნა, შესაძლებელს გახდის, გადაავადოს რუსეთის უშუალო ჩართვა ომში. ეს შეიძლება უზრუნველვყოთ კოალიციური სიძლიერის ჯერადი ზრდით და ბუფერული სასაზღვრო ზონების შექმნით, რამდენადაც, წინა ომების გამოცდილებით, აქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები შეიძლება არც გავრცელდეს მეტროპოლიის ტერიტორიაზე, და ეს არის საკვანძო საგარეო** პოლიტიკური ამოცანა“ (რუსი მეცნიერების – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის წევრების მოხსენებიდან.). **ამგვარად, რაიმე კავშირში გაერთიანებით, ჩვენ სხვის ომში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას, როგორც მოკავშირე, ხოლო ევრაზიულ კავშირში შესვლით რუსეთისთვის პირდაპირი მნიშვნელობით ბუფერად – „დამცავ ზონად“ ვიქცევით – ეს მათი „საკვანძო საგარეო პოლიტიკური ამოცანაა“!!**

იმის მიუხედავად, რომ ქვეყნები, როგორც წესი, თავიანთ ინტერესებს ცივილიზაციის შინაარსის გათვალისწინებით განსაზღვრავენ, ჩვენნაირი ჩამოუყალიბებელი და მაძიებელი ქვეყნისთვის ფუნქციის შეძენა ან ადგილის „პოვნა“ საკმაოდ რთულია. მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნები სრულიად განსხვავებულ ცივილიზაციებს მიეკუთვნებიან, ამასთან, ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ. ჩვენს რეგიონშიც კი, კავკასიურ სახელმწიფოთა ინტერესები სამად იყოფა და სხვადასხვა მიმართულებით აირეკლება. ამიტომ, ჩვენი განვითარების ამოსავალი ფუნქცია თუ სამოქმედო სტრატეგია, დროში და გარემოებებში მუდმივი ადაპტაცია და შესაბამისად – მუდმივი აკადემიური კვლევის საგანი უნდა იყოს.

მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად და საქართველოში თაობათა შეცვლის პარალელურად, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული განვითარების კონცეფციები უნდა იწერებოდეს და მერე იცვლებოდეს. ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია, ფეხი ავუწყოთ ეპოქალურ ცვლილებებს და მოვახდინოთ ადაპტირება. დღეს, „ცივი ომის“ შემდეგ – 1990-ანი წლებიდან, უკვე მეორედ იცვლება მსოფლიო წესრიგი. საქართველოს კი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული განვითარების გზამკვლევი რუკა ამ გლობალურ „ნაბიჯებში“ არა აქვს. არადა, აზროვნებისთვის და პოლიტიკური საქმიანობისთვის, რაღაც გამარტივებული რუკა-მოდელი, როგორც ორიენტირი, უნდა გვქონდეს. სხვა შემთხვევაში, მოგვიწევს ვამტკიცოთ, რომ ვმოქმედებთ რაღაც „ობიექტური ფაქტორების“ ზეგავლენით, და თან ურთულეს – „მდუღარე“ რეგიონში. მაგრამ, ამით მხოლოდ თავს მოვიტყუებთ. საჭიროა თეორიული სტრატეგიის შემუშავება, კვლევები და უდავო და ერთიანი ეროვნული პოლიტიკური სტანდარტის განსაზღვრა, მათ შორის, კავკასიური ეთნო-ეროვნული რეალობის და საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია, რომ ახალი – XXI-ე საუკუნის გეოპოლიტიკური კონცეფცია დღეს არც დასავლურ ცივილიზაციას აქვს. ის ახლა იქმნება, რადგან „იძულებულია, დაიბადოს“. მაგრამ, როგორც ნებისმიერ პარადიგმაში, აქაც იქნება აბსტრაქცია, არასრულყოფილი თეორიები, ანომალიები და თეთრი ლაქები, თუნდაც ჩვენნაირი – განუსაზღვრელი კონცეფციის და ორიენტაციის ქვეყნების სახით. ამიტომ, უნდა ჩამოვყალიბდეთ და მსოფლიოს ახალ გლობალურ კონცეფციაში, როგორც უძველესი სახელმწიფო, ღირსეულად დავფიქსირდეთ.

ჰეროდოტეს დავუბრუნდეთ... **საქართველო, გეოგრაფიული თვალსაზრისით, დღესაც რჩება მსოფლიოს განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და გზაგასაყარის ცენტრად. ე.ი. დღევანდელი მსოფლიოს ეს გეოგრაფიული რეგიონი ფუნქციურად დღესაც მნიშვნელოვანია თავისი ეროვნულ-კონფესიური, კულტურული მრავალფეროვნების და რეგიონის პოლიტიკური აქტივობების გათვალისწინებით.**

სწორედ აქედან – საქართველოდან იწყება დასავლეთი და აღმოსავლეთი, აქ იკვეთება ცივილიზაციები, რელიგიური განშტოებები, მათ შორის, ქრისტიანული (მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული) და ისლამური (სუნიტური და შიიტური) მიმდინარეობები; თავმოყრილია უძველესი წარმოშობის და კონფესიების ხალხები (ებრაელები, ქურთები, იეზიდები, ასირიელები და ა.შ.), და ამ მრავალფეროვნების მხრივ, ამ „კულტურათაშორის ცენტრში“ (სახელმწიფოს წიაღში) სრული, ისტორიული სიმშვიდეა - უნიკალური ტოლერანტობაა. ეს ფაქტორიც, ცივილიზაციათა დიალოგში, შემეცნების თვალსაზრისით, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია, შესასწავლი და შესაფასებელია. როგორც განსხვავებული ინტერესების გეოგრაფიულ გზაგასაყარს, ჩვენ „რაღაც“ გეოპოლიტიკური მისია და ფუნქცია მართლაც გვაკისრია.

ჰეროდოტემ თავის რუკაზე ალბათ შემთხვევით არ მოგვიჩინა **„ცენტრის“** პოზიცია. ისტორიის ნებით, 2500 წლის მერე აქ ცივილიზაციის მწვერვალი არა, მაგრამ კულტურათაშორისი ურთიერთობის შემეცნების ცენტრი და გზაგასაყარი ჩამოყალიბდა. ამგვარად, ეს ის „ბუნებრივი“ გეოგრაფიული ადგილია, სადაც საერთაშორისო ინსტიტუტები მსოფლიოს პრობლემათა შესწავლის და გადაწყვეტის სფეროში, ალბათ წარმატებით იფუნქციონირებენ. **უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალის კავკასია, ამ საუკუნეში, ნებისმიერი სახის დიალოგისთვის საერთაშორისო „სიმშვიდის ცენტრის“ ფუნქციას დაიმკვიდრებს.**

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის (ცივილიზაციის) საიდენტიფიკაციო კონცეფცია მხოლოდ აბსტრაქციაა – პირობითობაა დროში „მოგზაურობის“ რაღაც ეტაპზე. მაგრამ ქვეყნის ფუნქციის განმსაზღვრელი გზამკვლევი აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ორიენტაციისთვის, რომ არ დავიკარგოთ – სად ვართ და საით შეიძლება წავიდეთ! ამიტომ, განუსაზღვრელი კამათი, ჩვენს შეზღუდულ არჩევანზე, არ ვარგა. ქვეყანა კონცეპტუალურად „შეკრული“ უნდა იყოს. თანაც, ჩვენი „არჩევანი“ ჩვენს გეოპოლიტიკურ მეგობრებსაც დაეხმარება, ჩამოყალიბდეს და რეალურად შეგვაფასოს, ვინც ასეთად თვლის თავს და გვეხმარება, ან ვისაც „უნდა“ ასეთი იყოს და ჩვენზე „მუშტრის“ თვალი უჭირავს.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია თამამად უთხრას მსოფლიოს, რომ მას თვითმყოფადი კულტურის საკუთარი, დამოუკიდებელი ისტორია აქვს, რის საფუძვლებიც ევროპის ცივილიზაციის ისტორიაზე ძველია. და ის მხოლოდ მართლმადიდებლური კულტურით არ განისაზღვრება, რადგან სცილდება რელიგიის ფაქტორს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია – ადამიანის არსებობის და აზროვნების ყველა სფეროში. ეს თვითმყოფადი კულტურა, დოკუმენტურად კარგად აისახა ყველაზე უტყუარ და წარმომადგენლობით სფეროში – ხალხურ პოეზიაში, სიმღერაში და ცეკვაში, როგორც ეროვნული ფილოსოფიის, არისტოკრატიზმის, რაინდობის და ზოგადად, საკაცობრიო ფასეულობათა უმთავრესი ღირებულებების გამომხატველი.

დაბოლოს, ეს სტატია მეცნიერულად დახვეწილი, ცხადია არ არის. ამიტომ, ეს მიმოხილვა, იმედია, კვლევის პრეტენზიად არც ჩამეთვლება. ამ თემაზე მობილიზებული მკვლევარი, მით უფრო გეო-პოლიტოლოგი, არ ვარ. მე უფრო ჩემი შვილების დამრიგებელი – ახალი თაობის ქართველთა, ასევე აფხაზთა და ოვსთა მრჩეველი მინდა ვიყო, და ეს წერილიც სწორედ მათ ეძღვნება!!

ნუკრი მიხანაშვილი

◎ დედაქალაქი

„ტროტუარის“... შემწვარი ქათმები და ცოცხალი თევზი

თბილისის ქუჩების ტროტუარები ფეხით მოსიარულეთათვის გადასაადგილებელ ზონებად სულ უფრო ნაკლებად გამოსადეგი რომ ხდება, ამის თაობაზე ბევრჯერ გვქონია ლაპარაკი.

დედაქალაქის ცენტრის მრავალი ქუჩის ფეხით სავალი ნაწილი ავტომანქანების დაკანონებულ ადგილებად რომ გადაიქცა, ამაში მძღოლთათვის რახანია მოუშორებელ „თავის ტკივილად“ და „ქისის მღრღნელად“ გადაქცეულ ავად სახსენებელ „სითი პარკს“ კი ვადანაშაულებთ, მაგრამ, განა ქუჩაში ავტომანქანების მოძრაობასა და გაჩერებაზე პასუხისმგებელი საპატრულო პოლიცია აღარ არის? თანაც ისეთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო უბანზე, როგორიცაა თავისუფლების მოედნიდან სოლოლაკის მიმართულებით ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა, რომლითაც ყოველდღიურად უამრავი თბილისელი თუ დედაქალაქის სტუმარი მოძრაობს? განა შეიძლება იქ, საკმაოდ ვიწრო ტროტუარზე, დღისით, მზისით ავტომანქანის ისე გაჩერება, რომ ფეხით მოსიარულეს მისთვის გვერდის ასაქცევად სავალ ნაწილზე გადასვლა უწევდეს? და ეს იმ ქუჩაზე ხდებოდეს, რომლითაც მთელი დღის განმავლობაში აუარება სამარშრუტო ტაქსი, ახლომდებარე სოფლების სარეისო ავტობუსი, სულაც, მთავრობის კანცელარიის სამსახურებრივი და მოქალაქეთა პირადი ავტომანქანა მოძრაობს? თანაც იქ გამუდმებით მორიგეობს საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი, მაგრამ, ამას, აბა განა რა აზრი აქვს? როგორც ფოტოებზე ხედავთ, ბატონებო, თავისუფლებისა მოედნისა და ლეონიძის ქუჩის კუთხეში ტროტუარის ეს ნაწილი, მუდმივ ავტოსადგომადაა გადაქცეული. ვინ არის აქაურობის „პატრონი“, ეს ჩვენ, ცხადია, არ ვიცით, ეს საპატრულო პოლიციის საქმეა, თუმცა კი, როგორც ჩანს, მას ეს ამბავი არაფერში აინტერესებს.

არადა, როგორც ირკვევა, თბილისური ქუჩების „ოკუპაცია“ მარტო მოურიდებელ ავტომფლობელთა პრეროგატივა არ არის, რაშიც თბილისის ცენტრის კიდევ ერთი დიდად დატვირთული მარჯანიშვილის ქუჩის ფეხით მოსიარულეები ყოველდღიურად რწმუნდებიან. წინამძღვრიშვილის ქუჩასთან გზაჯვარედინიდან რამდენიმე მეტრში, მეტრნახევრის სიგანის ტროტუარის უმეტესი ნაწილი ახლა გრილზე შემწვარი ქათმებითა და აკვარიუმში ცოცხალი თევზით მოვაჭრეებს აქვთ დაკავებული(?!). საინტერესოა, ვინ მისცა ამ ხალხს ამის უფლება, თუ არა ან ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ან, კიდევ უარესი, თბილისის მერიამ?

საერთოდ კი, რახანია – უკვე წლების მანძილზე! – ვერაფრით გავარკვიეთ, რატომ აძლევენ თავს უფლებას სხვადასხვა რანგის თბილისის საქალაქო ჩინოსნები დედაქალაქს თავიანთ „ხოშზე“ მოექცნენ, ქალაქელები კი აბუჩად აგვიგდონ?

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო





◎ ალიან-ჩალიანი

შობადობა იზრდება

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2014 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2014 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 4,8%-ით გაიზარდა და 60 635 შეადგინა, მათ შორის, 31 325 ბიჭი და 29 310 გოგო.

საქსტატის ინფორმაციით, 2008 წლიდან ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, პირველი შვილის წილი კი შემცირდა (მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით რაოდენობრივი მაჩვენებელი გაიზარდა), ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს ტენდენცია 2014 წელსაც გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის წილი1,7 პუნქტით გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილმა უმნიშვნელოდ – 0,1 პუნქტით მოიმატა.

2014 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ შობილი ბავშვების წილი 42,6 %-დან 40,7 %-მდე შემცირდა. 2014 წელს ბუნებრივმა მატებამ (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას შორის) წინა წელთან შედარებით 23,8 %-ით მოიმატა და 11 548 შეადგინა. 2014 წელს ბუნებრივი კლება დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

ინტერპრესი

◎ ჭიდაობა

რიგიდან — 20 მედლით

საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეები წლევანდელი მნიშვნელოვანი ასპარეზობებისთვის მონდომებით ემზადებიან. საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად სხვადასხვა ქვეყნის ტურნირებშიც მონაწილეობენ. ამ დღეებში ჩვენმა ბიჭებმა რიგიდან 20 მედალი (!) წამოიღეს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 9 მედალი დაიმსახურეს, რაც გუნდური პირველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ამ მონაგრიდან 4 „ოქროა“, 2 — „ვერცხლი“ და 3 — „ბრინჯაო“. გიორგი გოგშელიძის შეგირდთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ლეჟავა (55), შმაგი თოდუა (60), ავთანდილ კენჭაძე (66) და ტარზან მაისურაძე (84). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ ედემ ბოლქვაძე (55) და გივი მაჭარაშვილი (96), ხოლო რობერტ დინგაშვილი (55), მექი სიმონია (84) და ლაშა ჯელაძე (120) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

ბალტიისპირეთში მეტი ჯილდო მოიხვეჭეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ზაზა სილაგაძის ხელმძღვანელობით: 11 მედალი და გუნდური პირველობა — ასეთია მათი ნადავლი. ოქროს მედლები გიორგი კურტანიძემ (60), რამაზ ზოიძემ (66), გელა ბოლქვაძემ (74), გიორგი მელიამ (84), ნიკოლოზ კახელაშვილმა (96) და ბექა კანდელაკმა (120) მოიპოვეს. ლევან ქავჟარაძესა (60) და გურამ ხეცურიანს (74) „ვერცხლი“, ირაკლი შავაძეს (55), გიორგი ჩხარტიშვილსა (66) და ზვიად პატარიძეს (120) კი „ბრინჯაო“ ერგოთ.

გიორგი გაგუა

◎ მემორიალი

თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“



სტამბოლში ყოველწლიურად იმართება იაშარ დოგუს ტრადიციული მემორიალი, რომელშიც სახელოვანი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ასპარეზობენ. წლევანდელ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა, უმთავრესად, სათადარიგოებით მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ ორ მედალს გამორჩა — მესამე ადგილზე ოთარ გოგავა (57 კგ) გავიდა, ხოლო დავით მარსაგიშვილმა (97) ფინალი დათმო.

ტურნირის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ რუსეთმა თურქეთში საჭიდაოდ ჩაიყვანა ისეთი ფალავნები, როგორებიც არიან: ოლიმპიური ჩემპიონი ჯამალ ოთარსულთანოვი და მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული ვიქტორ ლებედევი (ორივე - 61), ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი აბდუსალამ გადისოვი (97), მსოფლიოს ხუთგზის, ევროპის სამგზის და ოლიმპიური ჩემპიონი ჰაჯიმურატ გაცალოვი (125) და სხვები.

ოთარ გოგავამ 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა — ზედიზედ სძლია მაროკოელ მოხამად ნაზინის, რუს დავიდ კარაიბრაგიმოვსა და ამერიკელ ჯო კოლონს. ნახევარფინალში ქართველმა ფალავანმა მასპინძელთა მსოფლიოს ფინალისტსა და ევროპის მრავალგზის მედალოსან სეზერ აკგულთან წააგო, დამამშვიდებლის ფინალში კი მოლდოველი ალექსანდრუ ჩირტოაკა დაამარცხა და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

მწვრთნელებმა დავით მარსაგიშვილს წონა არ დააკლებინეს და 97 კილოში დააყენეს. ტიტულოვან ქართველს არც აქ შეურცხვენია თავი: პირველ წრეში თანაგუნდელი ზვიად მეტრეველი დაამარცხა (3:1), მერე სლოვაკ იოზეფ იალოვიარსა (6:0) და თურქ რეზა ილდირიმს (10:0) აჯობა, ნახევარფინალში კიდევ ერთ მასპინძელ იბრაგიმ ბოლუკბასს (6:0) მოუგო, ფინალი კი რუსეთელ აბდუსალამ გადისოვთან უშანსოდ დათმო (1:11) და მეორე ადგილზე გავიდა.

ლაშა დიდია

სურათზე: დავით მარსაგიშვილი.

◎ კალათბურთი

ფაჩულიამ „ატლანტასთან“ 17 ქულა, 13 მოხსნა და საუკეთესოს ტიტული მოიპოვა

ზაზა ფაჩულიამ კიდევ ერთი უმაღლესი დონის შეხვედრა გამართა. ქართველმა ცენტრმა თავის ყოფილ გუნდ „ატლანტასთან“ შთამბეჭდავად ითამაშა, ოღონდ მისი შედეგიანობა აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერის სტუმრად დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

„მილუოკიმ“ ატლანტაში ჩატარებული მატჩი 13 ქულით — 88:101 წააგო. „ხარირმებმა“ ბოლომდე იბრძოლეს და შანსს უკანასკნელ წუთებამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ როცა დუელის დასასრულმა მოატანა და სხვაობა 10-ქულიან ზღვარს არ ჩამოსცდა, ყველაფერი დამთავრდა.

ფაჩულია „მილუოკიში“ საუკეთესო იყო. ზაზამ 36 წუთი ითამაშა და ბურთი არ დაუკარგავს. ქართველმა ცენტრმა 10-დან 8 ორქულიანი და 3-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. შესაბამისად, 17 ქულა დაგროვა, რასაც 13 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაყოლა. გიანის ანტეტოკოუმპომ მილუოკელებს 18 ქულა და 6 მოხსნა მიაშველა. ატლანტელთა ცენტრმა ალ ჰორფორდმა შეხვედრა 18 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა, თუმცა მას თამაშიდან ფაჩულიაზე ბევრად უარესი სროლათა ბალანსი ჰქონდა — 18 ცდიდან 8 ბურთი ჩააგდო.

წაგებამ ვერ ავნო „მილუოკის“ სატურნირო მდგომარეობას. 36 მოგებითა და 38 მარცხით მილუოკელები აღმოსავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-6 ადგილზე არიან. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი დღეს შინ „ჩიკაგოსთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაც დავთესეთ...

ქართული მხარე უეფასგან სანქციას ელის

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მომდევნო ოფიციალური შეხვედრა შესაძლოა უმაყურებლოდ ჩაატაროს. მიზეზი გერმანიასთან წაგებულ (0:2) შესარჩევ მატჩში გულშემატკივართა მოედანზე შეჭრის ფაქტებია.

უეფას სადისციპლინო კომიტეტი მატჩის მსვლელობისას მოედანზე გულშემატკივართა შეჭრის რამდენიმე შემთხვევას უახლოეს სხდომაზე განიხილავს. ფულადი სანქციების გარდა, ეროვნულმა ნაკრებმა შესაძლოა შოტლანდიასთან 4 სექტემბერს გასამართი დაპირისპირება მაყურებლების გარეშე ჩაატაროს.

აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ დაადასტურა.

„მიდის საუბარი, რომ შოტლანდიასთან შეხვედრა უგულშემატკივროდ ჩატარდეს. რა თქმა უნდა, ფულადი ჯარიმები იქნება, თან საკმაოდ დიდი. თამაშის დასრულების შემდეგ ჩვენ გვქონდა საუბარი შსს-ს თანამშრომლებთან. მათ ამოიღეს ყველა ჩანაწერი, რომელსაც შეისწავლიან“, — განაცხადა სიჭინავამ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ შეხვედრაში მოედანზე შვიდი ქართველი ქომაგი შეიჭრა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მთელი ხმით!

კრუიფი ჰოლანდიის ნაკრების თამაშით შეშფოთებულია



ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი საკუთარი ქვეყნის ნაკრების თამაშით უკმაყოფილოა. ამის შესახებ მან ჰოლანდიურ მედიას განუცხადა. კრუიფის თქმით, ჰოლანდიის ნაკრების თამაშის მშვიდად ცქერა წარმოუდგენელია.

„ასეთი ჰოლანდიის ნაკრების ყურება საშინელებაა. ფაქტობრივად, თვალები მეტკინა. თუ არაფერი შეიცვლება, წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდება“, — განაცხადა კრუიფმა.

„ორანიე“ მიმდინარე შესარჩევ ციკლში თავის ქვეჯგუფში 5 ტურის შემდეგ 7 ქულით მესამე ადგილს იკავებს ჩეხეთისა და ისლანდიის ნაკრებების შემდეგ.

კობა კობახიძე

◎ მეზობლებთან

სომხეთი უმწვრთნელოდ დარჩა

63 წლის შვეიცარიელმა სპეციალისტმა ბერნარდ შალანდმა სომხეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანანმდებობა ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარუმატებელი სტარტის გამო დატოვა.

სომხებმა ევროშესარჩევის მე-4 ტურის მატჩი სტუმრად ალბანეთთან 1:2 დათმეს და თავის ჯგუფში 1 ქულით ბოლო ადგილზე იმყოფებიან. შვეიცარიელმა სპეციალისტმა საქართველოს მეზობელი ქვეყნის ნაკრები 2014 წლის 28 თებერვალს ჩაიბარა და სადებიუტო მატჩი წარმატებული გამოუვიდა, დაამარცხა რა არაბთა გაერთიანებული საამიროები 4:3. მას შემდეგ შალანდის გაწვრთნილმა სომხეთმა 8 მატჩი ჩაატარა: 7 დათმო, ერთიც ფრედ ითამაშა.

გიორგი შოთაძე

◎ ნიჩბოსნობა

მინგეჩაურში 12 ქართველი იასპარეზებს

ფოთში დამთავრდა კანოესა და კაიაკში (ბაიდარა) საქართველოს პირველობა, რომელშიც ორი ასაკის 60-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:

კაიაკი

გოგონები. უფროსები. 500 მ. ქრისტინე ნოზაძე (ფოთი, 2.16), **3000 მ.** რუსუდან ჯიქურაული (დუშეთი, 11.02). **2001 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი. 500 და 3000 მ.** სალომე ჯიქურაული (დუშეთი, 2.99 და 11.23).

ვაჟები. უფროსები. 1000 მ. გიორგი ოგბაიძე (მცხეთა, 3.17), **5000 მ.** გელა ფიცხელაური (თბილისი, 16.24). **2001 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი. 1000 და 3000 მ.** ბაჩანა გოჩაშვილი (თბილისი, 3.54 და 10.57).

კანოე

უფროსები. 1000 და 5000 მ. მალხაზ ჭინჭარაშვილი (დუშეთი, 3.31 და 17.04). **2001 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი. 1000 მ.** 1. ავთანდილ სტურუა (ფოთი, 4.17), **3000 მ.** სერგო სტურუა (ფოთი, 11.55).

მალთაყვაში ჩატარებული საქართველოს პირველობის შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები (ქრისტინე მგელაძე, გარუშა ხიზანიშვილი, გიორგი გოგიჩაიშვილი, მურმან მალანია, მალხაზ ჭინჭარაშვილი, გიორგი ოგბაიძე, ლევან ტატუნაშვილი, ლუკა თხილაიშვლი, გელა ფიცხელაური, მარიამ ქერდიყოშვილი, მწვრთნელი აკაკი იოსავა), რომელიც 2-5 აპრილს მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატაში მოსინჯავს ძალებს. ჩვენს გუნდს იქვე შეუერთდებიან მცხეთელი ზაზა ნადირაძე (კანოე) და თბილისელი ბადრი ყაველაშვილი (კაიაკი), რომლებიც ამჟამად მინგეჩაურში იმყოფებიან და ბაქოს პირველი ევროპული თამაშებისთვის ემზადებიან.

ლექსო ციცაძე

სურათზე: ზაზა ნადირაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

სახვითი ხელოვნება ჩრდილშია

მოვლენების განვითარებას უსასრულო ობიექტური ფაქტორები განაპირობებს. რელიგია კი ასე გვმოძღვრავს, უფლის ნებაა ყველაფერიო. ასე არის თუ ისე, ქართველმა ხალხმა სანუკვარი ოცნება აიხდინა – დამოუკიდებლობა მოიპოვა. მართალია, ჯერჯერობით დამოუკიდებლობის ხარისხი არც ისე მაღალია, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდება და ქართული სახელმწიფოებრიობა განმტკიცდება. მთავარია, მსოფლიო რუკაზე გაჩნდა დამოუკიდებელი საქართველო.

გული სიამაყით მევსება, როცა ქუჩაში ქართველ ჯარისკაცს ვხედავ, სადღაც შორიდან მოისმის ქართული საჯარისო ნაწილების საწვრთნელი სროლების ექო.

დამოუკიდებლობა თავისთავად აღსაფრთოვანებელია, რამაც არ შეიძლება კაცის გული სიამოვნებით არ აღავსოს, მასში მრავლისმომცავი შინაარსი დევს.

ჩვენი მოსაზრებით, ქვეყნის დამოუკიდებლობა ნიშნავს, როდესაც საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავენ ერის წიაღში წარმოშობილი ინტელექტუალები, ქვეყნის ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე ადგილზევე რჩება და მას მკვიდრი მოსახლეობა მოიხმარს; სახელმწიფოს ტერიტორია შემოსაზღვრულია და მასზე ვრცელდება ეროვნული პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, ვითარდება მეცნიერება, ლიტერატურა, კულტურა, სახვითი ხელოვნება და სხვა მრავალი სფერო. არაკეთილმოსურნე გარეშე ძალები ვერ ახდენენ ზეგავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

ეროვნული კულტურა ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის. როგორც ფრინველი ვერ იარსებებს უფრთებოდ, ისე ქვეყანა ვერ გამოდგება კულტურის გარეშე. მე, როგორც სახვითი ხელოვნების წარმომადგენელი, ამ წერილში მასზე ვისაუბრებ. ვიტყვი მოკლედ, ამ მხრივ საქართველოში საქმე მაინცდამაინც ვერ მიდის სწორი მიმართულებით – სუფევს იდეური დაბნეულებაც. მდარე ხელოვნებამ დაღი დაასვა მრავალსაუკუნოვან ქართულ სახვით ხელოვნებას. არადა, თუ გადავხედავთ ქართულ სიძველეებს, გული სიამაყით აგვევსება. ქართული მოზაიკური მხატვრობა ყველა ეკლესიასა და ტაძარში გვხვდება, რითაც მოფენილია საქართველოს ტერიტორია და ადრინდელი ქართული მიწები. ყველა ქვეყნის კულტურას დამშვენებდა ბექა და ბეშქენ ოპიზრების ჭედური ხელოვნება, შესანიშნავია ძველი ქართული ფრესკები და მოზაიკები. შეიძლება, ითქვას გასული საუკუნე ქართული ხელოვნებისთვის რენესანსი იყო. ფიროსმანი, კაკაბაძე, გუდიაშვილი, ქობულაძე, თოიძე, ნიკოლაძე, კანდელაკი – ეს ის გვარებია, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. არანაკლებ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან ჩემი მოქმედი კოლეგები. რასაკვირველია, ეროვნული სახვითი ხელოვნება ვითარდება და მდიდრდება მსოფლიო შედეგრებით, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია, საზღვარგარეთული მდარე ხარისხის ხელოვნებამ დაანაგვიანოს ეროვნული. იაპონია უაღრესად ცივილიზებული ქვეყანაა, მაგრამ მას უაღრესად განვითარებული ნაციონალური კულტურა აქვს. თურქეთში, შეიძლება ითქვას, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ევროპეიზაცია, მაგრამ ეს ვითარება გავლენას ვერ ახდენს ეროვნულ კულტურაზე. ჩვენთან ევროპეიზაცია სხვანაირად ესმით, სწორედ ეს არის საგანგაშო.

ქართველი მოქანდაკეები მსოფლიოში ცნობილი არიან მაღალი ინტელექტით, ფორმის და შინაარსის შემცველი მონუმენტური ფიგურებით, მაგრამ სააკაშვილის მიერ შემოტანილი უგემოვნო და უშინაარსო ფიგურებით დაამახინჯეს მთელი საქართველო. რას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული პრომეთეს ქანდაკება, რაც უცხოელებს შეუკვეთეს და დიდი ფულიც გადაიხადეს? რას წარმოადგენს გმირთა მოედანზე ვითომ მემორიალი? აღარაფერს ვამბობ შლოპანცებზე, კვერცხებსა და ველოსიპედზე.

განსხვავებული აზრი და ხედვა ყველა მხატვარს აქვს, მაგრამ ჩვენ ისეთს უნდა გავუწიოთ მხარდაჭერა და პროპაგანდა, რომელშიც ჩადებულია ღრმა შინაარსი, რაც ახალგაზრდობას შემეცნებაში სასიკეთოდ დაეხმარება, პატრიოტულ გრძნობებს გაუღვიძებს, ხოლო მდარე ხარისხის კარიკატურული სასაცილო ფიგურები მომავალ თაობას უხამს გრძნობებს ჩამოუყალიბებს.

ქართული ტელევიზია ძირითადად დაკავებული შოუ-კონცერტებით, კულინარიით, ზოგჯერ ისეთი გადაცემებიც არის, რაც ხელს უწყობს ადამიანში უარყოფითი ინსტინქტების გამოღვიძებას. ბუნებრივია, ჩვენ არ ვართ იმის წინააღმდეგი, რომ სატელევიზიო გადაცემები იყოს მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, მაგრამ მაინც მთავარია, ისეთ გადაცემებს დაეთმოს დიდი დრო, რაც ადამიანში ეროვნულ თვითშეგნებას და ინტელექტუალურ დონეს აამაღლებს. ასეთებია: მეცნიერება, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება და მასთან კავშირში მყოფი სფეროები.

კარგი იქნება თუ კვირაში ერთხელ ტელევიზია ეთერს დაუთმობს სახვით ხელოვნებას, სადაც გამოვლენ ქვეყნის წამყვანი მხატვრები და მოქანდაკეები, რომლებიც მაყურებელს მოუთხრობენ ამ დარგის არსზე, მის მნიშვნელობაზე ადამიანის თვითაღზრდისა და თვითშემეცნების ჩვევების გამომუშავებაში.

ვიყოთ გულახდილი, ქართული ტელევიზიები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარსა და მნიშვნელოვანს.

შეიძლება, ვინმე შემეკამათოს და მითხრას: ხომ ეწყობა მხატვართა ნამუშევრების პერსონალური გამოფენებიო. მართალია, მაგრამ იშვიათად. ჯერ ერთი, ასეთი გამოფენების მოწყობისათვის საჭიროა დარბაზის დაქირავება (მისი ღირებულება დღეში ასიდან ორას ლარამდე მერყეობს), ნახატი ჩარჩოშია მოსათავსებელი. ბუკლეტი, აფიშა, მოსაწვევი ბარათი, ფურშეტი – ყველაფერი ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული. ყველა ამ ღონისძიებას ტელევიზია მცირე დროს უთმობს – გამოაცხადებენ ორი სიტყვით: „გაიხსნა ამა და ამ მხატვრის გამოფენა“, ეს არის და ეს. ამით მთავრდება მხატვრის ან მოქანდაკის მრავალი წლის ნაშრომის, შემოქმედების შეფასება.

არაა მოსაწონი თავის თავზე ლაპარაკი, მაგრამ მას მაგალითად გამოვიყენებ. ოთხჯერ მქონდა პერსონალური გამოფენა თბილისში – მხატვრის სახლში, ეროვნულ გალერეაში, ქარვასლაში. ვარ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ჯილდოებზე აღარაფერს ვამბობ. შეტანილი ვარ მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა კატალოგში, სადაც საქართველოდან რამდენიმე მხატვარია წარმოდგენილი. მაგრამ ვინმემ იცის ამის შესახებ, გარდა კოლეგებისა და ახლო მეგობრებისა? – არა. ასე ჩრდილშია უამრავი შემოქმედი და ღირსეული მხატვარი. აუცილებელია, მხატვარი ფიროსმანივით კიბის ქვეშ მოკვდეს მშიერ-მწყურვალი? სიკვდილის შემდეგ ველირსოთ სათანადო დაფასებას? ნუთუ ძნელია, დასაფასებელი ადამიანები სიცოცხლეშივე დავაფასოთ?

ხელოვნებათმცოდნეებიც პასიურობენ. თუ რომელიმე ქართველ მხატვარს საზღვარგარეთი აღიარებს, მოგეცეთ ლხენა, მათ შეფასებას თუთიყუშივით იმეორებენ, არ ძალუძთ დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრება.

ასეთ დროს ჟურნალ-გაზეთებიც თავს გამოიდებენ, ახმაურდებიან და ზედმეტადაც კი აქებენ შემოქმედს, აქამდე რომ ყველასგან მივიწყებული იყო.

დროა, ღირსეული ადგილი მივუჩინოთ ქართულ სახვით ხელოვნებას, რომელიც თვალსაჩინოა მსოფლიო მასშტაბითაც.

გიორგი ჩალაძე,
საქართველოს დამსახურებული მხატვარი
ქ.რუსთავი.

სანთელი

მარიამ კვესელავა

გარდაიცვალა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი **მარიამ კვესელავა**.

იგი დაიბადა 1968 წლის 30 მარტს მარტვილში. 1985 წელს დაამთავრა მარტვილის მე-3 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1990 წელს დაამთავრა.

1990-1993 წლებში მარიამ კვესელავა მუშაობდა თსუ სოხუმის ფილიალის თანამედროვე ქართული ენის კათედრაზე ლაბორანტად.

2004-2005 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მთავარ სპეციალისტად.

2009 წლიდან იგი კვლავ დაბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტში და მუშაობა დაიწყო ბიბლიოთეკარად. ამავე დროს, მარიამ კვესელავამ განაგრძო სამეცნიერო მუშაობა და ჩააბარა სსუ-ს დოქტორანტურაზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის მიმართულებით.

სამწუხაროა, რომ მოურჩენელმა სენმა ახალგაზრდა ასაკში გამოაცალა ხელიდან ეს დიდებული პიროვნება ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს. იგი, მართლაც რომ, მისაბაძი იყო თავისი ადამიანური თვისებებით – სიკეთით, გულისხმიერებით, მეგობრობით, თანადგომით... ასეთი იყო შინ თუ გარეთ – საოცარი სითბოთი სავსე და გამორჩეულად უყვარდა გაზაფხული... ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ მარტში დაბადებული მარტშივე შეერწყა ზეცას...

მარიამ კვესელავას დარჩა ულამაზესი უჯახი - მეუღლე აბესალომ მიქელაძე და ქალ-ვაჟი – გიორგი და ქრისტინე მიქელაძეები.

მსუბუქი იყოს მარიამ კვესელავასთვის ქართული მიწა!

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დედაქალაქი

სარეაბილიტაციო სამუშაოები ნაძალადევში

ნაძალადევის რაიონში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ ინიციირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, ამ დროისთვის სადარბაზოების შიდა რემონტი 8 ობიექტზე მიმდინარეობს, 6 კორპუსში კი უკვე დასრულდა. ორ ობიექტზე შესრულებული სამუშაოები გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების განყოფილების თანამშრომლებმა დაათვალიერეს.

„გარემონტდა დადიანის გამზ. № 303-ში მდებარე ხუთსართულიანი კორპუსის 4 სადარბაზო, სადაც 60 ოჯახი ცხოვრობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ნაძალადევის რაიონის გამგეობამ 10,783 ლარით დააფინანსა. 4 სადარბაზოს შიდა რემონტი განხორციელდა ასევე მეორე ხუთსართულიან სახლში – ლომთათიძის ქ. № 2-ში. აღნიშნულ კორპუსში 70 ოჯახი ცხოვრობს. ლომთათიძის № 2-ში მდებარე მაღალსართულიანი სახლის სადარბაზოების შიდა რემონტი ნაძალადევის რაიონის გამგეობამ 12 457 ლარით დააფინანსა“, – ნათქვამია განცხადებაში.

თბილისის მერიის ინფორმაციით, 2015 წლის იანვარ-თებერვალში ნაძალადევის რაიონის გამგეობამ სადარბაზოების შიდა რემონტისთვის 218 000-მდე ლარი გამოყო.

განცხადება

1991 წლის 14 თებერვალს გარდაიცვალა სერგო ზაქარის ძე აკოფოვი, მისი სამკვიდრო საქმე გაიხსნა ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო ბიუროში, ვისაც პრეტენზია გაგაჩნიათ მის სამკვიდრო ქონებაზე, გთხოვთ 20 დღის ვადაში მიაკითხოთ ნოტარიუს ა. მანიას. მის: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია.

კრიმინალი

ამოღებულია უკანონო იარაღი და დიდი ოდენობით ჰეროინი

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-11 განყოფილების თანამშრომლებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

1991 წელს დაბადებული გიორგი ზ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, ხოლო 1976 წელს დაბადებული ზურაბ ა. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში, გიორგი ზ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 1 მჭიდი ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული იარაღი ზურაბ ა-მ გიორგი ზ-ს შესანახად გადასცა. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივების და უბნის ინსპექტორების სამმართველოების თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღეს.

1978 წელს დაბადებული მამუკა ბ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონო შემოტანის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას 16 შეკვრად დაფასოებული 25,95 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 6,496 გრ ჰეროინს შეიცავს. მამუკა ბ-ს ნარკოტიკი ჯინსის შარვლებში ჩაკერებული სპეციალური სამალავებით უკანონოდ გადაჰქონდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

◎ ჩვენი კარაბადინი

ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა

ჰაერი ბინაში შეიძლება უფრო ბინძური იყოს, ვიდრე ქუჩაში

ზამთარში დროის დიდ ნაწილს შენობაში ვატარებთ, ჯანმრთელობას ეს არ გვმატებს: სხვადასხვა დაანგარიშებით, ჰაერი ქალაქის საშუალო სტატისტიკურ ბინაში 2-4-ჯერ უფრო ბინძურია, ვიდრე ქუჩაში. საიდან ხვდება იქ ძირითადი დაბინძურებანი?

ფანჯრები

მათი გავლით ბინაში შემოდის ყველაფერი, რაც ქუჩის ჰაერშია. რისკის ძირითადი ფაქტორი აეროზოლური ნაწილაკებია: მიკროსკოპული მტვერი, ასფალტის, ავტომობილების საბურავების, მტვრის კომპონენტები. ყველაზე სახიფათოა 2,5 და უფრო ნაკლები მიკრომეტრის ნაწილაკები. ისინი ადვილად ძლევენ ორგანიზმის ბუნებრივ „ფილტრებს“ ცხვირ-ხახასა და ბრონქებში, აღწევენ ფილტვებში და იწოვებიან სისხლში, აზიანებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

ქუჩიდან შემოდის მავნე გაზებიც: ფორმალდეჰიდი, გოგირდწყალბადი, აზოტის, გოგირდის მჟავები, ვერცხლისწყლის ორთქლი და სხვ. ჰაერის ასეთი „კოქტეილი“ აქვეითებს იმუნიტეტს და მას აქვს კანცეროგენური თვისებები.

გასაწყობი მასალები, ავეჯი

თუ მწარმოებელმა გამოიყენა ტოქსიკური მასალები, მათ შეუძლიათ, გამოყონ ტოქსიკური გაზები. ყველაზე ხშირად — ფორმალდეჰიდი. ამ მხრივ ყველაზე მავნებელია ავეჯი ხისფეროვანი პლასტიკისგან. ფორმალდეჰიდს არა აქვს ფერი და სუნი, მაგრამ იგი ტოქსიკურია და აქვს კანცეროგენური თვისებანი. მოწამლვის ძირითადი სიმპტომი თავის ტკივილია.

ჭუჭყიანი ფეხსაცმელი

როდესაც ქუჩაში დავდივართ, ფეხსაცმლის ძირით შემოგვაქვს სიბინძურე. იგი შრება, გაიწოვება, იქცევა მტვრად, ადის ჰაერში და ხვდება ფილტვებში. მასთან ერთად კი — მიკრობები, ალერგენები, ცხოველთა ფიკალიების ნაწილაკები. სხვათა შორის, იგივე მოხდება, თუ ძაღლთან ერთად სეირნობის შემდეგ არ ვურეცხავთ მას თათებს.

კედლები

აქ ხშირად ჩნდება ობი, რომლის სპორებიც ვრცელდება ჰაერში. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ალერგიული რეაქციები, მოახდინონ ასთმის პროვოცირება.

ობის გაჩენის მიზეზი არის გაზრდილი ტენიანობა, ამიტომ სოკოები განსაკუთრებით აქტიურად იზრდება აბაზანასა და სამზარეულოში. მათს გამრავლებას ხელს უწყობს მიკრობზარები კედლებში და ამომწოვის ცუდი მუშაობა.

უმოქმედო ამომწოვი

ჩვენთან სახლების უმრავლესობა აღჭურვილია ბუნებრივი ამომწოვით. თუ ყველა ფანჯარა და კარი გაქვთ დაკეტილი, მას არ ჰყოფნის შემოსული ჰაერი ნორმალური მუშაობისთვის. თანაც ამომწოვი შეიძლება „გვერდზე გადაიხაროს“ და მაშინ სამზარეულოს ყველა სუნი, ჭუჭყი, თამბაქოს კვამლი და პროდუქტების დამზადების დროს წარმოქმნილი ორთქლი რჩება თქვენს ბინაში.

ქურა

განსაკუთრებით სახიფათოა გაზის ქურები: მათი მუშაობის პროცესში ჰაერში ხვდება დაწვის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტები. ეს ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების რისკის ფაქტორია.

სპეციალისტების კომენტარი

ექსპერტი შენობაში მიკროკლიმატის დარგში მიხეილ ამაშუკელი:

— გასული საუკუნის ჯერ კიდევ 80-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოიღეს ტერმინი „ავადმყოფი შენობების სინდრომი“. ამერიკაში ასეთ დიაგნოზს უსვამენ ადამიანებს, ვისი ჯანმრთელობაც უარესდება იმის გამო, რომ ისინი დიდი დროის განმავლობაში იმყოფებიან სათავსოში, სადაც ისუნთქავენ ყველა იმ დაბინძურებას, რაზეც აქ არის საუბარი.

პრობლემის გადაჭრა შეიძლება რამდენიმე ხერხით. ერთ-ერთი მათგანია შემოდინებული ვენტილაციის მოწყობილობა. ამისთვის იყენებენ სპეციალურ ხელსაწყოებს — ბრიზერებს. ისინი „იღებენ“ ქუჩიდან ჰაერს, ასუფთავებენ მას და შემოაქვთ ბინაში (ამ დროს ფანჯრის გაღება საჭირო არ არის). თუმცა ჰაერი, თავის მხრივ, ოთახიდან დევნის ჭუჭყიან ჰაერს. სწორედ ასეთი პრინციპით აპროექტებენ მრავალ სამედიცინო საოპერაციოებს. ბრიზერების საყოფაცხოვრებო მოდიფიკაციებს იყენებენ ჩვეულებრივ ბინებში.

მეორე ვარიანტია მოწყობილობა, რომელიც ასუფთავებს ჰაერს მხოლოდ შენობის შიგნით. როდესაც მას იყენებენ, საჭიროა, პერიოდულად გაიღოს ფანჯრები, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჰაერის შემოდინება.

თუ არ არის შესაძლებლობა ბინის აღჭურვისა ამ ხელსაწყოებით, საჭიროა, რეგულარულად გავანიავოთ იგი, გავაღოთ სარკმელი. საჭიროა ასევე ხშირად მოვაწყოთ ბინის ე.წ. სველი დალაგება და დროულად ვასუფთაოთ ტექსტილების ნაკეთობანი.

მილოცვა

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილის გახსენება“** მიესალმება და გულთბილად ულოცავს **დაბადების საიუბილეო, 90 წელს** საქართველოს სახელოვან მამულიშვილებს, ცნობილ ქართველ პედიატრს, ჯანმრთელობის დარგის ღვაწლმოსილ ორგანიზატორს, მრავალი ნორჩი პაციენტის სიცოცხლის გადამრჩენს, პროფესორ ბატონ **ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეს** და დამსახურებულ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს,

ოთხი ვაჟიშვილის, შვიდი შვილიშვილისა და ხუთი შვილთაშვილის პატრონს, ქალბატონ **სირანა სამხარაძე-კოპაძეს**.

ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახისა და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.

საუკეთესო სურვილებით, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ გამგეობა.

◎ ინფორმაცია

პატივი მიაგეს ზვიად გამსახურდიას ხსოვნას

ზუგდიდის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ზვიად გამსახურდიას ხსოვნას პატივი მიაგეს და მისი ბიუსტი გვირგვინით შეამკეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზვიად გამსახურდიას ღვაწლზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ზვიად გამსახურდიას დაბადებისა და რეფერენდუმის დღე საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

საქართველოს პირველ პრეზიდენტს 76 წელი შეუსრულდებოდა.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ოფიციანტო!** ჩემს წვნიანში ყურსასმენი აპარატი დაცურავს!
— მაპატიეთ, რა მითხარით?

* * *

— **რად ხარ ასე მოწყენილი?**
— ერთ ტიპს ჩემი ვალი აქვს...
— მერე მისი კოორდინატები არა გაქვს?
— კოორდინატები კი მაქვს, მაგრამ... რაკეტა — არა!

* * *

— **გახსოვს,** მერვე კლასში კიბის ქვეშ რომ გამოგვიჭირეს სიგარეტის წევისას?
— ჰოო... კარგად მახსოვს... ჩაცმაც მოვასწარით!

* * *

— **შვილო,** დალიე ჩემთან ერთად, — ეუბნება მამა თავის მოსწავლე გოგოს.
— რას ამბობ, მამი..
— რა იყო, მე ხომ მოგიმზადე საშინაო დავალება...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24